გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

2024 წელს
განხორციელებული
სამეცნიერო-
კვლევითი
საქმიანობის

ანგარიში



ანგარიშის ერთიანი ფორმა

უნივერსიტეტების, სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტებთან და სხვა სტრუქტურებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

(2024 წელი)

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ს-კ. ერთეულის ხელმძღვანელი:
მარიამ გაჩეჩილაძე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ს-კ. ერთეულის სტრუქტურა:
ადმინისტრაცია
ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება
ახალი ქართული ხელოვნების განყოფილება
მატერიალური კულტურის ძეგლთა აღწუსხვის განყოფილება
საარქივო-საბიბლიოთეკო სექტორი
სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტო-ფიქსაციის ლაბორატორია
ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

ს-კ. ერთეულის სამეცნიერო შემადგენლობა (სტრუქტურებისა და თანამდებობების მიხედვით):

ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება

განყოფილების გამგე
დავით ხოშტარია - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი:

1. ხუსკივაძე ლეილა
2. მაჩაბელი კიტი
3. დიდებულიძე მარიამი
4. ჭიჭინაძე ნინო
5. ელიზბარაშვილი ირინე
6. ოქროპირიძე ასმათი
7. გომელაური ნინო
8. ხუნდაძე თამარი
9. ყენია მარინე
10. სურამელაშვილი მანანა

11. ჩაჩხუნაშვილი ციცინო
12. მიქელაძე ქეთევანი
13. ჯანჯალია მზია
14. ბულია მაკა
15. დევდარიანი ფლორი

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი:

1. კვაჭატაძე ეკატერინე
2. გედევანიშვილი ეკატერინე
3. გაბაშვილი მაკა
4. ჭანიშვილი გიორგი
5. ნაცვლიშვილი ნათია

მეცნიერ თანამშრომელი:

1. აბაშიძე ქეთევანი
2. ხოშტარია თინათინი
3. პატაშური გიორგი
4. დადიანი თამარი
5. ლილუაშვილი მანონი
6. ციციშვილი ნინო
7. ჩიხლაძე დავითი
8. მანია ირინე
9. ჩიტიშვილი ნატალია
10. საბაშვილი ქრისტინე
11. ხოსროშვილი თამთა
12. არონიშიძე ნოდარი
13. ედიშერაშვილი ეთო

თანამედროვე ხელოვნების განყოფილება

განყოფილების გამგე

მარიამ გაჩეჩილაძე - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი:

1. ლეჟავა სამსონ
2. ხოშტარია გიორგი
3. მეძმარიაშვილი მარინა
4. გერსამია თამაზი
5. ანდრონიკაშვილი ლალი
6. მანია მაია
7. თუმანიშვილი ელენე
8. ბელაშვილი თამარი
9. ოკლეი მარიანა

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი:

1. ჩიხრაძე მზია

2. ტაბატაძე თეა
3. კილაძე ცისია
4. ყიფიანი ნანა
5. ჩიტორელიძე სოფიო
6. ჭოღოშვილი ნინო

მეცნიერ თანამშრომელი:

1. ლებანიძე დალი
2. ქანთარია-ჯაბადარი თემური
3. ყარსელიშვილი ეკატერინე
4. ჭინჭარაული ნინო
5. მიქაძე მარიამი

ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება

I. სახელმწიფო პროგრამით (ბიუჯეტით) დაფინანსებული თემა/თემები (საანგარიშო წლისათვის):

ეს პუნქტი ეხება იმ სამეცნიერო ერთეულებს, რომლებიც კვლევას აწარმოებენ ოფიციალურად დამტკიცებული სამუშაო გეგმით (პროგრამული დაფინანსებით) ანუ სსიპ სამეცნიერო-კვლევით და უნივერსიტეტებთან და სხვა სტრუქტურებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს

№	თემის დასახელება	ვადები	კონკრეტული ეტაპი	შემსრულებლები (მათი როლებით)
1	**სამშენებლო პროცესი შუა საუკუნეების საქართველოში**	2024	დასრულებული	დავით ხოშტარია ძველი ხელოვნების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
2	**საუფლო დღესასწაულები შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ და მინანქრულ ხელოვნებაში**	2024-2026	გარდამავალი	ლეილა ხუსკივაძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
3	**ჭედური ხატები წერილობით წყაროებში**	2024	დასრულებული	კიტი მაჩაბელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
4	**ძველი აღთქმისეული თემები შუა**	2023-2024	დასრულებული	მარიამ დიდებულიძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

	საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში			
5	ქართული ხელოვნების სახვითი ენის თავისებურება და მისი მიმართებანი	2023-2025	გარდამავალი	ასმათ ოქროპირიძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
6	თბილისის ტერიტორიაზე მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესები, წინაქრისტიანულ ხანაში, აქ აღმოჩენილი მხატვრული ნაკეთობების მიხედვით	2023-2025	გარდამავალი	ნინო გომელაური, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
7	ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე ასახული სამეფო ინსიგნიები მეზობელ კულტურებთან კავშირში	2022-2024	დასრულებული	თამარ ხუნდაძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
8	სვანური ფერწერული სკოლა XV-XVII საუკუნეებში	2024-2027	გარდამავალი	მარინე ყენია, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
9	ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა IX-XIV სს-ში	2021-2024	დასრულებული	ირინე ელიზბარაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი ციცინო ჩაჩხუნაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
10	თბილისური საცხოვრებლის არქიტექტურულ-სტრუქტურული	2023-2025	გარდამავალი	მანანა სურამელაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

	გადაწყვეტის სახეცვლა გვიანი შუა საუკუნიდან XX ს-მდე			
11	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის სამი მუნიციპალიტეტის (ცხინვალი, ყორნისი, ახალგორი) ეკლესიებში (არმაზი, ყანჩაეთის კაბენი, წირქოლი, იკორთა, თირი, დორეთკარი) შემონახული კედლის მხატვრობის ძეგლთა აღწერილობა	2022 – 2024	დასრულებული	ფლორ დევდარიანი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
12	XII საუკუნის ქართული მხატვრობა თანადროული ბიზანტიური მხატვრული ტენდენციების კონტექსტში	2023-2024	დასრულებული	მარინე ბულია, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
13	კულტურული იდენტობის ნიშნულები შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო მხატვრობაში	2022-2025	გარდამავალი	მზია ჯანჯალია, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
14	ქრისტიანული გამოსახულებების საბრძოლო კონტექსტი: ბიზანტიური და შუა საუკუნეების	2024	დასრულებული	ნინო ჭიჭინაძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

	ქართული ხატების კომპარატივისტული ანალიზი			
15	გვიანი შუა საუკუნეების საქტიტორო პორტრეტის ზოგი თავისებურება	2023-2026	გარდამავალი	ქეთევან მიქელაძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
16	იკვის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობა	2022-2025	გარდამავალი	ეკატერინე გედევანიშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
17	XIX საუკუნის საფასადო ქანდაკება ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში	2023-2025	გარდამავალი	ეკატერინე კვაჭატაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
18	მხატვრულ-კულტურული ინტერაქციები: კოლხურ-იბერიული ლითონ-მქანდაკებლობა ჩრდილოკავკასიურ და ევრაზიულ კონტექსტში (ძვ.წ. I ათასწლეული - ახ.წ. I-III სს.)	2023-2025	გარდამავალი	მარიამ გაბაშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
19	ქალთა მონასტრები შუა საუკუნეების საქართველოში	2023-2024	დასრულებული	ნათია ნაცვლიშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
20	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ოყურეშის (ხვამლის) წმ. გიორგის ეკლესია	2024	დასრულებული	გიორგი ჭანიშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
21	XII და XIII სს-ის ზოგიერთი ტაძრის	2024-2027	გარდამავალი	ქეთევან აბაშიძე, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

	დათარიღების საკითხისათვის - კირანცის ტაძრის ეროვნული სახის ძიებისათვის (არქიტექტურული ნაწილი)			
22	შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის ლიტურგიკული გეგმარება საქართველოში: პატრონიკეები	2023-2024	დასრულებული	ნატალია ჩიტიშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
23	ისლამური ხელოვნების გავლენის შემცველი საეკლესიო ხელნაწერების მიმოქცევის ისტორიის და მათი მომხატველ-გადამწერების ვინაობის დაზუსტებისათვის (XV-XVIII სს)	2024-2025	გარდამავალი	ნინო ციციშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
24	H 1665 ფსალმუნის მხატვრობის თარიღისა და იკონოგრაფიული თავისებურებების ათვის	2023-2024	დასრულებული	ეთერ ედიშერაშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
25	ბობნევის წმ. იოანე მახარებლის ტაძრის მოხატულობა (XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან)	2020-2025	გარდამავალი	თინათინ ხოშტარია, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

26	საზოგადოებრივი ბაღები საქართველოში 1801-1918 წლებში	2024-2025	გარდამავალი	მანონ ლილუაშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
27	სამეფო რეგალიები XVI-XVII საუკუნეების ჭედურ ხელოვნებაში	2023-2024	დასრულებული	თამარ დადიანი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
28	ლუიჯი ლონგო და მისი საეკლესიო მოხატულობები	2024	დასრულებული	თამარ ხოსროშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
29	გიორგი ჩუბინაშვილის კვლევის მეთოდოლოგიის საკითხები	2023-2024	დასრულებული	ნოდარ არონიშიძე, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
30	დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი მონასტრების მთავარი ეკლესიების განვითარების ხაზის დაზუსტების მცდელობა ძველი მონაცემების გადააზრებისა და ახალი მასალის დამატების მეშვეობით	2024-2025	გარდამავალი	დავით ჩიხლაძე, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
31	საიმპერატორო ინსიგნიები შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე წარმოდგენილ	2023-2025	გარდამავალი	ქრისტინე საბაშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

	მეფეთა გამოსახულებებზე			
32	**ქართული მართკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები და მათი მიმართება გუმბათოვან არქიტექტურასთან**	2024	დასრულებული	თამარ დოლიძე, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

ანოტაცია

1 **სამშენებლო პროცესი შუა საუკუნეების საქართველოში**

შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა, ცხადად მოწმობს მის შემქმნელთა მაღალ პროფესიულ ოსტატობას და შემოქმედებით ძალას. ჩვენი წარმოდგენა ამ არქიტექტურაზე არ იქნება სრული, თუ არ გვეცოდინება როგორ იქმნებოდა ის. წერილობითი წყაროების ცნობებისა და თვით ნაგებობების კვლევის საფუძველზე შეიძლება ზოგად ხაზებში მაინც წარმოვაჩინოთ შუა საუკუნეების მშენებლობის პროცესის სხვადასხვა ასპექტი, როგორიცაა ადგილის შერჩევა, საფუძვლის სიმბოლური ჩაყრა და კურთხევა, მშენებლობის ორგანიზება და მართვა, მშენებელთა გუნდის შეკრება, მშენებელთა შრომის ანაზღაურება, სამშენებლო ნახაზები და მოდელები, საზომი ერთეულები, მასალის მოპოვება და ტრანსპორტირება, ხარაჩოები, უსაფრთხოება და უბედური შემთხვევები, მშენებლობის ვადები.

2 **საუფლო დღესასწაულები შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ და მინანქრულ ხელოვნებაში**

საკვლევ თემად განისაზღვრა შუა საუკუნეების მინანქრულ ხელოვნებაში შემორჩენილი საუფლო დღესასწაულების კომპოზიციები. ხელოვნების ამ დარგში საუფლო სცენების შემცველი ნიმუშები არცთუ მრავალრიცხოვანია, მაგრამ მათ შორის არის მეტად საყურადღებო იკონოგრაფიული რედაქციები; ამას გარდა სამინანქრო ხელოვნებამ შემოინახა VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული საუფლო სცენების ნიმუშები.

მიმდინარე წელს განხორციელდა საუფლო დღესასწაულთა სცენების კლასიფიკაცია; თითოეული ნიმუშის იკონოგრაფიული და მხატვრული ანალიზი. ნაშრომში განხილულია როგორც ქართული ხელობის, ისე საქართველოში შემორჩენილი ბიზანტიური ხელობის მინანქრები.

3 ჭედური ხატები წერილობით წყაროებში

ნაშრომში განხილულია ქართულ წერილობით წყაროებში - სამონასტრო ტიპიკონებში, საისტორიო საბუთებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში შემონახული ცნობები ჭედური ხატების შესახებ. ქართულ წერილობით წყაროებში ბევრი ცნობაა შემორჩენილი ზოგადად ჭედური ქმნილებების შესახებ, მაგრამ საკუთრივ ძვირფასი ლითონის ხატების შესახებ ცნობები საკმაოდ ძუნწია. ამის გამო ქართულ წყაროებთან ერთად გამოყენებულია ისტორიული ცნობების შემცველი ბიზანტიური მასალები, რომლებიც დაგვეხმარა უფრო ფართოდ განგვეხილა შუა საუკუნეებში ჭედურ ხატებთან დაკავშირებული საკითხები.

4 ძველი აღთქმისეული თემები შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების გამოსახვის თემები ძირითადად ახალ აღთქმას ეფუძნებოდა, ისევე როგორც ეკლესიის მამათა თხზულებებს, ჰიმნოგრაფიას, ჰაგიოგრაფიას და სხვა ტექსტებსაც. თუმცა კანონიკური ტექსტების გარდა აპოკრიფული თხზულებებიდან აღებული სიუჟეტებიც გამოისახებოდა. ასევე საკმაოდ პოპულარული იყო ძველი აღთქმის სიუჟეტები. მათ განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდათ სახითმეტყველებითი თვალსაზრისით, როგორც სახარებაში განცხადებული მოვლენების წინასახეებს და წინასწარ-უწყებებს.

შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ძველი აღთქმიდან აღებული თემები საკმაოდ ხშირად აისახება როგორც მხატვრობაში, ასევე ქვის რელიეფებში (მაგ., დანიელი ლომთა ხაროში, იონა წინასწარმეტყველის ხსნა, სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილში, აბრაამის სტუმართმოყვარეობა, უძილი თვალი და სხვა).

ნაშრომში თავმოყრილია შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობის პროგრამებში ჩართული ძველი აღთქმისეული ძირითადი თემები, მოცემულია იმ ეკლესიათა ჩამონათვალი, სადაც ეს თემები არის გამოყენებული, განხილულია მათი იკონოგრაფიული შინაარსი და ადგილი მთლიან პროგრამაში. ნაშრომში განსაკუთრებით გამოყოფილია ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XIII ს-ის დამდეგის კედლის მხატვრობის პროგრამაში ჩართული ორი გამოსახულება, რომელიც ძველ აღთქმას უკავშირდება და სახით-მეტყველებითი დატვირთვა აქვთ, კერძოდ, ძირი იესესი და სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილსა შინა, რომლებიც თავისი შინაარსით ღმრთისმშობელი მარიამის წინასწარ-უწყებათა რიგს უკავშირდება. თუმცა სხვა მნიშვნელობებიც გააჩნიათ და საქართველოს სამეფოს იმდროინდელ რელიგიურ და პოლიტიკურ ვითარებასთანაც არიან დაკავშირებულნი.

5 ქართული ხელოვნების სახვითი ენის თავისებურება და მისი მიმართებანი

2024 წელს დავამუშავე ქართული სახვითი ხელოვნების ე.წ. „რენესანსულობის“ პრობლემა ევროპულ ხელოვნებასთან მიმართების კონტექსტში.

შედარებითი, ე.წ. „კომპარატივისტული“ ანალიზის საფუძვლად აღებული მაქვს ქრისტოცენტრულობისა და ანთროპოცენტრულობის მსოფლმხედველობრივ

მოდელთა პრინციპული განსხვავებულობა. ეს არ შეეხება მხოლოდ სახვით ხელოვნებას, არამედ კულტურის მრავალ დარგს. საერო დამხრობის გაძლიერება მაგ. „ვეფხისტყაოსანში“, არ ნიშნავს მის რენესანსულობას. ეს მით მეტად შეეხება საეკლესიო რიგის სახვით ხელოვნებას, სადაც, მიუხედავად მაგ. პროპორციული სისტემების რეალური, ანატომიური კანონზომიერების წვდომასთან მიახლოებისა (თუგინდ ჭედურობასა და რელიეფში), თავად სააზროვნო სისტემა მართლმადიდებლური ხედვისა არ უშვებს კომპრომისებს და ინარჩუნებს იმ გადამწყვეტ პრინციპს, რომლის თანახმადაც ტაძარი როგორც საკრალური ცენტრი, სახვით გამოხატულებათა ავტონომიურობის ხასიათს მხოლოდ იმ დოზით ავლენს, რომელიც ვერასგზით ეხება თავად ტაძრისავე შუაგულისეულობას.

6 თბილისის ტერიტორიაზე მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესები, წინაქრისტიანულ ხანაში, აქ აღმოჩენილი მხატვრული ნაკეთობების მიხედვით

თბილისის უძველესი ისტორიის შესახებ წერილობითი ძეგლები არ მოგვეპოვება, თუმცა გაგვაჩნია ნივთიერი კულტურის ძეგლები, რომლებითაც შეიძლება თვალი გაედევნოს აქ მიმდინარე კულტურულ-ისტორიულ პროცესებს ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ამ ტერიტორიაზე ქალაქური ტიპის დასახლების გაჩენამდე.

საუკუნეთა განმავლობაში თბილისი სხვადასხვა კულტურის არეალში იყო მოქცეული. აქ კვეთდა ერთმანეთს საქართველოსა და მთელს სამხრეთკავკასიაში გავრცელებული არქეოლოგიური კულტურები და გარედან შემოსული მხატვრული ნაკადები, რომლებიც განსხვავებულ იერს ანიჭებდნენ აქ აღმოჩენილ მასალებს.

ამ პროცესთა ამსახველი მრავალრიცხოვანი არტეფაქტებიდან მიმდინარე წელს გავეცანი ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკულ მასალას, რომელიც მოპოვებულია დიღმის მასივში, საქართველოს სამხედრო გზის პირას მდებარე თრელიგორებად წოდებულ ბორცვებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. განსახილველად შერჩეულ იქნა თიხის ჭურჭლის ის ეგზემპლარები, რომლებიც ეპოქალურ ნიშნებთან ერთად გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

7 ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე ასახული სამეფო ინსიგნიები მეზობელ კულტურებთან კავშირში

კვლევის ფარგლებში, გამოვლენილ და შესწავლილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ქვის რელიეფურ პლასტიკაში (ქვაჯვარებისა და ტაძართა ფასადების რელიეფები) არსებული უმაღლეს საერო ხელისუფალთა გამოსახულებების ატრიბუტები - სამოსი, გვირგვინი-თავსაბური, შარავანდი, კვერთხი-სკიპტრა და სხვ. განისაზღვრა თითოეული ინსიგნიის რაობა, წარმომავლობა, სიმბოლურ-იდეური საზრისი, სოციალური დატვირთვა;

კონკრეტულ შემთხვევებში, ამა თუ იმ ატრიბუტის ფორმებისა თუ მხატვრული გადაწყვეტის მიხედვით, გამოიკვეთა სხვა ქვეყნების კულტურული ზეგავლენა და წარმოჩინდა ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი.

უცხოურ პარალელებთან შედარების საფუძველზე, ნათლად გამოჩნდა, რომ V-VII სს-ის ქართველ ხელისუფალთა სამოსისა თუ ინსიგნიების გადაწყვეტაში სასანური ირანის იკონოგრაფიიდან მომდინარე, ძალაუფლების აღმნიშვნელი ატრიბუტები დომინირებს, როგორიცაა ე. წ. "ბაფთიანი" თავსაბურები (მაგ. ბოლნისის „ლამაზი გორას" პიტიახშის, ატენის სიონის ნადირობის სცენის მხედრისა და სხვა გამოსახულებები), შროშანისებრი ყვავილი დიდებულთა ხელში (ბრდაძორის, უკანგორის, დმანისის, ნაგზაურას ქვაჯვარათა ფიგურები და სხვ.). თუმცა, ასევე თვალსაჩინოა ბიზანტიური ხელოვნების გავლენაც, როგორც მხატვრულ შესრულებაში (მაგ. მცხეთის ჯვრის რელიეფები), ისე შესამოსლის დეტალების ფორმებში (მაგ. სამწევრისის ფილა - ბიზანტიური ტავლიონი, პენდილიებიანი თავსაბური). ამავდროულად, ამ პერიოდის ნიმუშებზე, საერო ხელისუფალთა დიდი ნაწილი, ადგილობრივი ხასიათის ცრუ-სახელოებიანი მოსასხამებით წარმოგვიდგებიან (მაგ. მცხეთის ჯვრის ქტიტორები, ატენის სიონისა და ქვა-ჯვარათა ისტორიულ პირთა გამოსახულებანი). ამგვარი ტრადიციული სამოსი გვხვდება შემდგომი ხანის სამეფო გამოსახულებებზეც, როგორიცაა მაგ., X საუკუნის ლეონ აფხაზთა მეფის რელიეფი კუმურდოს ტაძარში, ტბეთის სკულპტურა და სხვ.

განხილულმა მასალამ, საერო ხელისუფალთა რელიეფური გამოსახულების ატრიბუტიკის მეშვეობით, ნათლად წარმოაჩინა როგორც შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების ადგილობრივი რეგალიები, ისე, ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს დიპლომატიური ორიენტაცია, ამა თუ იმ ქვეყნის (ძირითადად, სასანური ირანისა და ბიზანტიის) პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები და კავშირები.

8 სვანური ფერწერული სკოლა XV-XVII საუკუნეებში

ნაშრომი მიზნად ისახავს გვიანა ხანის ზემო და ქვემო სვანეთის მოხატულობათა ანალიზს, კერძოდ, ზემო სვანეთში - ლეხთაგის ლამარიას (XV ს.), უღვალის ჯგრაგის (XV ს.), მაცხვარიშის თარინგზელის (XVI ს.), ჩაჟაშის მაცხოვრის (XVII ს.) და ქვემო სვანეთში - საყდრის ჯგრაგის (XV ს., მრავალგზისი გვიანი გადაწერა-განახლებით), ჩიხარეშის ოქონ დაბიშის (XVII ს.), ჩუკულის (XVII ს.) ეკლესიათა მოხატულობების იკონოგრაფიული თუ სტილური მახასიათებლების განხილვას და საქართველოს სხვა კუთხეებში მათ თანადროულ მოხატულობებთან შედარებას.

წლევანდელი კვლევა მოიცავდა განსახილველ მოხატულობათა აფსიდალური სქემებისა და პროგრამების ანალიზს, მათ თავისებურებათა გამოვლენას და სვანური ფერწერული სკოლის განვითარების წინარე ეტაპებზე დადასტურებულ ნიშან- თვისებებთან მათი მიმართების ანალიზს.

9 ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა IX-XIV სს-ში

საისტორიო წყაროების მიხედვით, IV საუკუნეში დასავლეთი საქართველო ერთიან ეგრისის სამეფოდ ჩამოყალიბდა (ბერძნული წყაროების მიხედვით, ლაზიკის სამეფო), რომელიც ძველი კოლხეთის უშუალო მემკვიდრეს წარმოადგენდა. VIII ს-ის 80-იანი წლებიდან კი, საკუთრივ აფხაზეთის და ეგრისის გაერთიანების შემდეგ, შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოც ეწოდება, რადგან მისი გაერთიანება აფხაზთა სამეფოდან დაიწყო დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს თბილისის ქვეყნისათვის შემოერთებამდე, დასავლეთი საქართველო უფრო მეტად ითვლებოდა სამეფოდ, ვიდრე ქვეყნის სხვა მხარეები. ამასვე მოწმობს მათი დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობა ქუთაისში, ბედიაში, გელათში, გეგუთში, სამეფო საძვალეები ბედიასა და გელათში.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული საეკლესიო არქიტექტურის ჩამოყალიბება განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა X საუკუნემდე, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ ცალკეულ სამეფოებად იყო დაშლილი. დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლებზე ბოლო ხანებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებმა არაერთი სიახლე გამოავლინა, რაც ახლებურ გააზრებას და გაღრმავებულ გამოკვლევას მოითხოვს. ყურადღება გამახვილდა შემდეგ ძეგლებზე: ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის (ბაგრატის ტაძარი) ადრეული სამშენებლო ფენები; წმ. გიორგის ეკლესია ქუთაისის შიდა ციხეში; ეკის იოანე ნათლიმცემლის ეკლესია, სქურის მაცხოვრის ფერისცვალების, წალენჯიხის მაცხოვრის, ეხობის ღმრთისმშობლის ეკლესიები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „აბასთუმნის“ ეკლესია, ეკის ფერისცვალების ეკლესია.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნითი მოსაზრება შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: ქართულ სახელმწიფოებში საერთო არქიტექტურული ფორმების არსებობა უძველეს ისტორიულ ძირებზე და საერთო ზოგადქართული კულტურის არსებობაზეა დაფუძნებული. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლის მიხედვით, სულიერ-კულტურული ერთობა ჯერ კიდევ იბერიულ-კოლხურ კულტურაში ვლინდება და ანტიკური ხანის ქართველური ტომების შეგნებაშიც ჩანს. აღსანიშნავია, რომ დღემდე შემონახული დათარიღებული ეკლესიების მიხედვითაც, აშკარაა, რომ საქართველო ადრე შუა საუკუნეებიდანვე იყო ჩართული საეკლესიო ნაგებობის ზოგადი ფორმის ჩამოყალიბებაში და ამ პროცესში ყოველი ისტორიული მხარე თავისებურად იღებდა მონაწილეობას. ეს მოსაზრება იკვეთება, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პროცესშიც. თემა ფართოა, მასალა ძალიან ბევრია, რაც ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას მოითხოვს.

10 თბილისური საცხოვრებლის არქიტექტურულ-სტრუქტურული გადაწყვეტის სახეცვლა გვიანი შუა საუკუნიდან XX ს-მდე

თემის დამუშავების მოცემულ ეტაპზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გვიანი შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები და

ცალკეული სადგომები XIX საუკუნით დათარიღებული თბილისური საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ჯგუფის სარდაფის სართულებშია შემონახული; ამის ნიმუშად ადრე შესწავლილ ბეთლემის კლდისუბანთან ერთად ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე განაშენიანებაც გამოდგება, სადაც თითქმის ყოველ სახლში დაცულია სიძველეები (ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/ ბ. ახოსპირელის I ჩიხი №1, გ. აბესაძის ქ. №21, ლ. გუდიაშვილის მოედანი/ ბ. ახოსპირელის გასასვლ. №7/3, ლ. გუდიაშვილის მოედანი/ ბ. ახოსპირელის ქ. №7/2, ბ. ახოსპირელის ქ. №4, ბ. ახოსპირელის გასასვლ. და გ. ჯიბლაძის ქ. კუთხის №7/3, გ. ჯიბლაძის №5, ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, №9, №1/17 და სხვა).

გარდა ამისა, აღსანიშნავია იმ ნაგებობათა გამოვლენის ახალი შემთხვევებიც, სადაც სამ-ოთხ საუკუნოვან ასაკს არა მხოლოდ სარდაფის სადგომები და კედლის ფრაგმენტული ჩანართები ითვლის, არამედ შენობათა სრული სტრუქტურაა XVII-XVIII სს-ების და მათი სიძველე ბოლო სამშენებლო პერიოდში განხორციელებული გარეგანი სახის ცვლილების შედეგად არის შენიღბული. ბოლო ათწლეულებში მკვლევართა მიერ თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში მიკვლეულ გვიანი შუა საუკუნეების დროინდელ ნაგებობათა რიცხვს შეემატა შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქქ-ის კუთხის №34/17 საცხოვრებელი სახლი, რომლის სარდაფის სადგომებსა და საცხოვრებელ სართულებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება აქამდე სხვადასხვა სამშენებლო პერიოდს მიეწერებოდა. რეაბილიტაციის პროცესში ზედა სართულების ნალესობის ჩამოხსნამ კი, თვალსაჩინო გახადა XIX საუკუნის შუა წლებში განხორციელებული სახეცვლის პროცესი და გამოაშკარავდა მთელი ნაგებობის ერთდროული ასაკი. ირკვევა, რომ ამ დროს მომხდარა ძველ სახლში არსებული მცირე ზომის, სწორკუთხა ღიობების შეცვლა აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელი თაღოვანი კარ-ფანჯრებით, რისთვისაც მომხდარა კედლებში ჩატანებული ხის სარტყლების ჩაჭრა; ამავე დროს შეუსრულებიათ ფასადისა და ინტერიერის დამუშავება-შემკობა პროფილირებული სარტყლებით, კარნიზებით, საპირეებით, მოხატულობით და ამგვარ სამოსელს სრულიად ახლებური სახე მიუნიჭებია სახლისთვის.

ძველი შენობის სახეცვლის განსხვავებული, საყურადღებო სურათი გამოიკვეთა გ. ჯიბლაძის ქ. №3 საცხოვრებელი სახლის შემთხვევაში. ქვედა სართულის დანგრევის პროცესში (რაც კონსტრუქტორის მიერ მძიმე ავარიული მდგომარეობის დასკვნის საფუძველზე განხორციელდა), ცილინდრულ-კამაროვანი დიდი სადგომის კედლების ზედა ნაწილში გამოჩნდა როგორ მიუშენებიათ კამარის რკალი ბრტყელ ჭერიანი გადახურვის მქონე მოცულობის სწორ კედელზე, რითაც დაუფარავთ და შეუცვლიათ ძველი სადგომის თავდაპირველი სივრცობრივი გადაწყვეტა. სავარაუდოდ, ეს ცვლილება XVIII ს-ის მიწურულის მძიმე კატაკლიზმის შემდგომ, თბილისში ფართოდ გაშლილი სწრაფი აღდგენითი სამუშაოების საწყის ეტაპზე, მშენებლობის ცოცხალი ტრადიციების პირობებში უნდა მომხდარიყო.

ამ შემთხვევამ დაგვანახა, რომ, თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში ძველ ნაგებობათა გარეგნულ სახეცვლასთან ერთად სტრუქტურული ცვლილების პრაქტიკაც ყოფილა გავრცელებული.

11 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის სამი მუნიციპალიტეტის (ცხინვალი, ყორნისი, ახალგორი) ეკლესიებში (არმაზი, ყანჩაეთის კაბენი, წირქოლი, იკორთა, თირი, დორეთკარი) შემონახული კედლის მხატვრობის ძეგლთა აღწერილობა

დასრულდა ქართლის მთიანეთში შემონახული კედლის მხატვრობის ძეგლთა შესწავლა. დაიწერა სტატიები ყანჩაეთის კაბენის (IX, XI, XII სს.), არმაზის (IX ს.), წირქოლის (X ს.), იკორთის (XII-XIII სს.), თირის (XIV ს.), დორეთკარის (XV ს.) ეკლესიების მოხატულობათა შესახებ.

განხილული საკითხების საფუძველზე განისაზღვრა თითოეული მათგანის იკონოგრაფიული პროგრამის და შესრულების სტილის თავისებურებები. გამოვლინდა მხატვრული ტენდენციების მსგავსება საქართველოს სხვა რეგიონების ქრონოლოგიურად დაახლოებულ მოხატულობებთან და, ასევე, მხატვრული მოღვაწეობის საერთო სურათი IX-XV საუკუნეების მანძილზე, რომელშიც აისახა ქართული მონუმენტური ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპი.

12 XII საუკუნის ქართული მხატვრობა თანადროული ბიზანტიური მხატვრული ტენდენციების კონტექსტში

XII საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოხატულობები, რომლებიც მეფის მხატვარ თევდორეს მიერაა შექმნილი იფრალის (1096 წ.), ლაგურკას (1112 წ) და ნაკიფარის (1130 წ.) ეკლესიებში, უკვე კარგა ხანია მკვლევართა საგანგებო ყურადღების არეალშია მოქცეული. ეს მოხატულობები განხილულია ქართულო ხელოვნებისადმი მიძღვნილ, არსებითად ყველა განმაზოგადებელ ნაშრომში (მაგ., Ш. Амиранашвили, *История грузинской монументальной живописи*, Тбилиси 1957; მისივე, *ქართული ხელოვნების ისტორია,* თბილისი 1961; Т. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, *Избранные труды,* Тбилиси 2007; *ქართული ქრისტიანული ხელოვნება,* თბილისი 2008 და ა.შ.). თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მათდამი მიძღვნილი მონოგრაფიული კვლევები, რომელიც ნათელა ალადაშვილს, გაიანე ალიბეგაშვილსა და ანელი ვოლსკაიას ეკუთვნის (იხ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, *Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии*, Тбилиси 1966; მათივე, *Живописная школа Сванети*, Тбилиси 1983). მათ ნაშრომებში სრულად არის წარმოჩენილი თევდორეს მოხატულობათა მხატვრული თავისებურებები, მათი ღირებულება და როლი ქართული მხატვრობის განვითარების ერთიან სურათში. ამ ნაშრომებში, ისევე როგორც შემდეგი დროის გამოკვლევებში, თევდორეს მოხატულობები უმთავრესად, ადგილობრივ მხატვრობის, ვიწროდ კი, სვანური ფერწერული სკოლის კონტექსტშია ნაჩვენები.

კვლევის მიზანია ახალი რაკურსით წარმოვაჩინოთ მეფის მხატვარ თევდორეს მოხატულობები და ისინი განვიხილოთ არა მხოლოდ ადგილობრივი,

და ზოგადად აღმოსავლეთ-ქრისტიანული მხატვრობის, არამედ თანადროული ბიზანტიური ფერწერის მხატვრული ტენდენციების კონტექსტში. უფრო მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ის სტილური თუ იკონოგრაფიული ნიშნები, რომლებიც ამ მოხატულობებს ერთი მხრივ, ადგილობრივ, მეორე მხრივ კი, ბიზანტიური არეალის მხატვრობას უკავშირებს, შესაბამისად კი, ცვლის მათ მასშტაბს და მნიშვნელობას. 2024 წლის ეტაპის ამოცანა მეფის მხატვარ თევდორეს მოხატულობების სტილის თავისებურებების ანალიზს გულისხმობდა.

13 კულტურული იდენტობის ნიშნულები შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო მხატვრობაში

კვლევის ეს ეტაპი დაეთმო 2022-2023 წლებში მიღებული შედეგების დამუშავებას ბიზანტიური სამყაროს ცენტრების ხელოვნების ნიმუშთა გათვალისწინებით. თანადროული ბიზანტიური სამყაროს კონტექსტში გაანალიზდა მეფის მხატვარ თევდორეს მოხატულობათა შინაარსობრივი და მხატვრული თავისებურებები, მოხატულობების მაგალითზე გამოიკვეთა ხელოვნების საისტორიო კვლევებში დამკვიდრებული ცენტრი-პერიფერიის სამეცნიერო დისკურსის მეთოდოლოგიური პრობლემები.

მ. ბულიას თანაავტორობით, მომზადდა ინგლისურ ენოვანი პუბლიკაცია, რომელიც ყველა სარედაქციო მოთხოვნის გათვალისწინებით, გამოსაქვეყნებლად გადაეცა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს. ჟურნალის რედაქციასთან მუშაობა დასრულდება მომავალ წელს. მიმდინარეობს მუშაობა უცხოეთის ქართული ცენტრების მემკვიდრეობის თავისებურებებზე.

14 ქრისტიანული გამოსახულებების საბრძოლო კონტექსტი: ბიზანტიური და შუა საუკუნეების ქართული ხატების კომპარატივისტული ანალიზი

კვლევა ეხება ხატის როლს საბრძოლო კამპანიებში, რაც თავის მხრივ, ქრისტიანული ხატების პოლივალენტურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა დაცვასა და მფარველობაში დედაღვთისას ხატებს ენიჭებოდა. მფარველობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა და განსხვავებული იკონოგრაფიული ტიპის გამოსახულებებს მიეწერებოდა. როგორც არსებული წერილობითი და ვიზუალური მასალის ანალიზი ცხადყოფს, მარიამის მიერ დახმარება ბრძოლებში, ქალაქის ალყის დროს მტრის უკუგდება მისი წყალობის მანიფესტაციად მოიაზრებოდა. აღნიშნული იდეები გენერირდებოდა მმართველთა იდეოლოგიური სისტემის ფარგლებში და კონკრეტული მმართველის განდიდება-წარმოჩენასაც ემსახურებოდა.

15 გვიანი შუა საუკუნეების საქტიტორო პორტრეტის ზოგი თავისებურება

სამეცნიერო თემის მიზანია გვიანი შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ისტორიულ პირთა პორტრეტებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების კვლევა.

2024 წელს საკვლევად შერჩეული იყო ლევან II დადიანის (1611–1657) გამოსახულებები წალენჯიხის (1630–იანი წწ.), ხობის (1640–იანი წწ.), კორცხელისა (XVI ს. I ნახ.) და ცაიშის მოხატულობებში. შესწავლილია თითოეული მათგანი. ლევან დადიანის პორტრეტების მახასიათებლების გამოვლენის მიზნით, ისინი შედარებულია თანადროულ საერო პორტრეტებთან. შედარებითმა ანალიზმა წარმოაჩინა ზოგადი ხასიათის საერთო ნიშნებიც და ლევან დადიანის პორტრეტების ინდივიდუალური მახასიათებლებიც, მათი იკონოგრაფიული და მხატვრულ–სტილური თავისებურებანი. ლევან დადიანის ფერწერულ გამოსახულებებთან ერთად ნაშრომში განხილულია მისი პორტრეტები ჭედურ ხატებზე, თავაქარაშვილისეული ვეფხისტყაოსნის მინიატიურაზე (1646) და ასევე დონ კრისტოფერო დე კასტელის მიერ შესრულებული ლევან დადიანის პორტრეტები.

16 იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა

თემა მიზნად ისახავს მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლის მონოგრაფიულ შესწავლას. ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული მოხატულობის იკონოგრაფიულ-სტილისტური ანალიზი ფართო ისტორიულ კონტექსტში.

17 XIX საუკუნის საფასადო ქანდაკება ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში

შუა საუკუნეები საქართველოში XVIII საუკუნის ჩათვლით გახანგრძლივდა. ამ დიდი ეპოქის ქვაზე კვეთილობის ტრადიციაც თითქმის 14 საუკუნეს ითვლის. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების განვითარების დამასრულებელ ეტაპზე - გვიან შუა საუკუნეებში, სახისმეტყველებითი რთული პროგრამების შექმნის კვალად, ზოგან, თვალშისაცემია მხატვრული და საშემსრულებლო ოსტატობის ერთგვარი დაქვეითება, ფორმის გაუბრალოება-გამარტივება. ამის მიუხედავად ხუროთმოძღვრული ქანდაკება ბოლომდე ინარჩუნებს ტრადიციის უწყვეტობასა და მდგრადობას. ამ ეპოქის ქართულ ქანდაკებას უმთავრესად ეკლესიათა საფასადო რელიეფური პლასტიკის ძეგლებით ვიცნობთ.

შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ, ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც – XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური რეპერტუარის თავისებურ რემინისცენციებშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფ: შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი და, ამავდროულად თავისებური სიახლეების შემომტანი საფლავის ქვათა რელიეფები (ხალხური ნაკადი) და დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის

უკვე სპორადულად გვხვდება (ბუეთი, მაქათუბანი, ინაშაური, ამაღლება, მრავალძალი, ზემო და ქვემო აკეთი, ყაზბეგის მთავარანგელოზთა და სხვ.).

18 მხატვრულ-კულტურული ინტერაქციები: კოლხურ-იბერიული ლითონმქანდაკებლობა ჩრდილოკავკასიურ და ევრაზიულ კონტექსტში (ძვ.წ. I ათასწლეული - ახ.წ. I-III სს.)

წლევანდელი, 2024 წელს შესრულებული სამუშაოები კვლევის მეორე ეტაპს წარმოადგენს. ის პირდაპირი გაგრძელებაა პირველი ეტაპზე დაწყებული სამუშაოებისა და გულისხმობს შემდეგს: შეგროვილი მასალა - ლითონმქანდაკებლობის სხვადასხვა არტეფაქტები - დაჯგუფდა ტიპოლოგიური, მხატვრული სტილისა და იკონოგრაფიული თავისებურებების მიხედვით. ამათგან, კლასიფიკაციის რამდენიმე საფეხური გამოიკვეთა. აღიწერა და მხატვრულად გაანალიზდა თითოეული ნივთი. მოხდა მათი და ჩრდილო კავკასიური მასალის შეჯერება და მხატვრულ-სტილური ანალიზის მეშვეობით საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა; დამუშავდა არქეოლოგიური ლიტერატურის საგულისხმო ნაწილი, რომელიც მოიცავს როგორც კოლხურ ისე ჩრდილოკავკასიურ მასალებზე დაყრდნობით შექმნილ ნაშრომებს (მათ შორის უახლესი გამოცემები); ისინი კვლევის მომდევნო, დასკვნით ეტაპზე შემაჯამებელი სახით გადმოვა.

19 ქალთა მონასტრები შუა საუკუნეების საქართველოში

დედათა მონასტრები საქართველოში მეექვსე საუკუნიდან გვხვდება. მათ შესახებ ცნობები წმ. მამების - სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებებშია დაცული. ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თანახმად ზანავის მონასტრის (დღევანდელი ადიგენის რაიონი) პირველმაშენებლები ამასპო და ქურდია არიან. მოგვიანებით მონასტერს კვლავ დიდგვაროვანი ქალი, სამცხის აზნაურის გიორგი ჩორჩანელის და ლატავრი პატრონობს. საფიქრებელია, რომ ლატავრი აქცე შემონაზვნდა თეკლას სახელით და ალბათ აქვე დაიკრძალა, ისევე როგორც მისი უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი ძმა. მერესა და გუნათლეს ვანის ქალთა მონასტრები იხსენიება ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. როგორც ტექსტიდან ირკვევა, დაფანჩულთა გვარის წამომადგენელ ქალებს კაცებისგან განცალკევებით გუნათლეს ვანში კრძალავდნენ.

XII საუკუნიდან ჩვენთვის ცნობილია ორი - თიღვისა და ზემო ლისის დედათა მონასტრები. პირველი დავით აღმაშენებლის ასულის, შირვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობას უკავშირდება (ეკლესია 1152 წელს აკურთხეს), ხოლო მეორე ფებრონიას, აბულეთისძეთა შთამომავლის შემონაზვნების ადგილია, სადაც მან ეკლესია ააშენა. მომდევნო საუკუნეებში დედათა მონასტრის დამაარსებლად გვევლინება ვანენ აბუსერისძე (XII-XIII სს-ის მიჯნა), რომელმაც თხინვალას მონასტერი ააგო. გვიანი შუა საუკუნეებიდან ჩვენთვის ცნობილია ახალი შუამთის მონასტერი. ის ლევან კახთა მეფის ცოლმა თინათინ გურიელმა ააშენა. 1540-იან წლებში აგებული მონასტერი კახთა დედოფლის შემონაზვნების ადგილად იქცა.

როგორც კვლევამ აჩვენა, შუა საუკუნეების საქართველოში დედათა მონასტრების დიდი ნაწილი სწორედ ქარლთა პატრონაჟით შენდებოდა, ხოლო მონასტრის გეგმასა და არქიტექტურულ გადაწყვეტაზე გავლენას სწორედ ქტიროორის გემოვნება ახდენდა.

ქალები მონასტრებს მხოლოდ სულის სახსნელად ან ძალაუფლების დემონსტრირების ნიშნად როდი აგებდნენ. მათ წმინდა პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა. დაქვრივებულ, მმართველობა დაკარგულ ან ასაკში შესულ დიდგვაროვან ქალებს სჭირდებოდათ თავშესაფარი, სადაც ისინი საკვებითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ. ცალკეულ შემთხვევებში,მათ გარკვეულ ეტაპზე მონაზვნად აღკვეცა ჰქონდათ გადაწყვეტილი და საკუთარი მონასტრის დაარსებაზე საერო ცხოვრების დროსვე გეგმავდნენ. ამის ნათელი მაგალითებია თიღვისა და ახალი შუამთის მონასტრები.

20 ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ოყურეშის (ხვამლის) წმ. გიორგის ეკლესია

ხვამლის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ლეჩხუმში, დღეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხვამლის მთის დასავლეთ კიდეზე სოფ. ოყურეშის მაღლა, სამხრეთით. ცაგერის საავტომობილო გზიდან 12 კმ-ში. ცაგერიდან 22კმ. ქ. ქუთაისიდან პირდაპირი ხაზით 25, ხოლო სამანქანო გზით 50 კმ-ის მანძილზე, წყალტუბოდან 38კმ. ზღვის დონიდან 1 944მ. სიმაღლეზე. დარბაზული ეკლესია დგას ხვამლის მთის კიდესთან რომელიც შემოფარგლულია მასიურ ლოდებიანი დაბალი გალავნით. ირგვლივ სხვადასხვა ნანგრევია.

ეს არის მცირე ზომის (8.9 x 6.08 მ.). დარბაზულ ნაგებობა აღმოსავლეთით შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით. ერთსაფეხურიან ცოკოლზე შემომდგარი ფასადების წყობის წიბოები კირქვის თლილი კვადრებისაა, დანარჩენი კი, ძირითადად შირიმის პირ-მომრგვალებული, ერთი ზომის ქვებია. თლილი ქვები იყო გამოყენებული სარკმელთა და შესასვლელთა მოჩარჩოებისა და სხვა კონსტრუქციული დეტალებისათვის. თლილი ქვითაა გადაყვანილი თაღებიანი შესასვლელები. თლილი ქვის უნდა ყოფილიყო ამჟამად აღარ არსებული ლავგარდანის ქვებიც. 1910 წელს აგებულ ამ სამლოცველოს კედლებში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ძველი ეკლესიის ქვები. ნაგებობა ძალიან დაზიანებულია. ჩანგრეულია გადახურვა და ოთხივე კედლის ზედა ნაწილები. გადახურულია ხის სტრუქტურაზე მოწყობილი თუნუქის საფარიანი სახურავით.

ხვამლის მთის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია ქართული საეკლესიო არქიტექტურის და ლეჩხუმის რიგითი საეკლესიო ნაგებობაა. თუმცა, იგი წარმოადგენს დიდი ისტორიის მქონე მრავალ სამშენებლო ფენიან საინტერესო საეკლესიო კომპლექსის ნაწილს, რომელსაც აქვს სახასიათო ხუროთმოძღვრული ნიშნები და შეიცავს მრავალ არტეფაქტს.

21 XII და XIII სს-ის ზოგიერთი ტაძრის დათარიღების საკითხისათვის - კირანცის ტაძრის ეროვნული სახის ძიებისათვის (არქიტექტურული ნაწილი)

ეს დიდი და რთული თემა, ფაქტობრივად, მოიცავს ძალიან ბევრი ეკლესიის განხილვას. დასაწყის ეტაპზე მხოლოდ დასმულია კითხვები იმგვარ დეტალებზე, ცალკეულ შემთხვევაში, არქიტექტურულ და სტრუქტურულ გადაწყვეტაზე, რომელიც, ვფიქრობ, მოითხოვს ახლებურად გადახედვას.

კვლევა ამჯერად შემოიფარგლა კირანცის ტაძრით, რომელიც ქართულ-მართლმადიდებელ ეკლესიად მიაჩნიათ უცხოელ სპეციალისტებს. იგი შეიცავს ერთგვარ „ორმაგობას“ და, რაც მთავარია, იძლევა საშუალებას, გამოიკვეთოს ის ნიშნები, რაც ხელოვანმა-არქიტექტორმა მიიჩნია საჭიროდ გამოეყენებინა, რომ მის მიერ შექმნილ ხუროთმოძღვრულ მთელს მიეღო ქართული, ანუ მართლმადიდებელი სახე: არქიტექტურული ტიპოლოგია, სარკმლები და მათი განლაგება ტაძრის ხუროთმოძღვრულ სხეულზე, სამკუთხა ნიშები აღმოსავლეთის ფასადზე და სხვ.; არქიტექტურული ფორმებიდან, თუ ცალკეული სივრცით-მოცულობებიდან რას მიანიჭა უპირატესობა, რომ გამოეხატა არსი ჯვარგუმბათოვანი კომპოზიციისა. ამასთანავე, ყურადღება გამახვილებულია ისეთ დეტალებზე, როგორიცაა ოთხივე ფასადზე აღმართული რელიეფური ჯვარი, აღმოსავლეთის ფასადზე ორ ნიშას შორის წარმოდგენილი ერთიანი ცენტრალურ-ვერტიკალური ღერძი - ორი რომბით, რომელსაც ებმის საკურთხევლის სარკმელი და გვირგვინდება ტრიუმფალური ჯვრით და სხვ.

22 შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის ლიტურგიკული გეგმარება საქართველოში: პატრონიკეები

წლიური თემა შეეხებოდა საეკლესიო არქიტექტურის ლიტურგიკული გეგმარების საკითხს შუა საუკუნეების საქართველოში. კვლევის კონკრეტული საგანი იყო ეკლესიათა პატრონიკეები, მათი განვითარების ისტორია, მოწყობა და ფუნქციური დატვირთვა. პირველი წლის ეტაპზე მოძიებული იყო კვლევისთვის აუცილებელი მასალა, ლიტერატურა, არქეოლოგიური მასალა, რომლის დამუშავებაც მოხდა კვლევის მეორე ეტაპზე (2024 წელს). საქართველოს მაგალითებზე მოძიებული იყო 40-მდე ნიმუში, როგორც საკათედრო ტაძრებში, ასევე დიდ თუ პატარა სამონასტრო ცენტრებსა და მცირე სამრევლო ეკლესიებში.

კვლევამ აჩვენა, რომ დაზუსტებით მსჯელობა პატრონიკეთა ფუნქციის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე ძეგლის ნიმუშზე: თიღვა, ალავერდი, ქუთაისის კათედრალი. ამ ძეგლთა შესახებ შემორჩენილი წერილობითი წყაროები თუ ლაპიდარული წარწერები საშუალებას იძლევა დანამდვილებით ითქვას თუ კონკრეტულ პერიოდში რა ფუნქციის მატარებელი იყო პატრონიკეები.

პატრონიკეთა კვლევის საკითხი არა მარტო საქართველოში არამედ ბიზანტიაშიც (სადაც ხელმოსაჭიდი მასალა _ როგორც ტექსტუალური, ასევე არქეოლოგიური - უფრო მეტი შეიძლება იყოს), დიდწილად ეფუძნება ცალკეული ეკლესიების ისტორიისა და არქიტექტურის შესწავლას, მათ შორის არქეოლოგიური

თვალსაზრისით. პირდაპირი წერილობითი მოწმობების გარეშე კი მხოლოდ ვარაუდების გამოთქმაა შესაძლებელი. ფაქტია, რომ ამ არქიტექტურულ ფორმას და მის შინაარსს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება უკვე VI-VII საუკუნეებიდან ეცნობა და აქტიურად იყენებს შუა საუკუნეების სატაძრო არქიტექტურის რეპერტუარში სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგარ პირთა ტაძრის სივრცეში განსათავსებლად ან გამორჩეულ საეკლესიო პირთათვის იზოლირებული სივრცის შესაქმნელად. თუმცა, ბიზანტიასთან შედარებით სხვაობა ხუროთმოძღვრულ ფორმაში საკმაოდ დიდია, ეკლესიათა განსხვავებული სივრცითი გადაწყვეტიდან, მასშტაბიდან და არქიტექტურულ ფორმათა ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე. გარედან შემოსული ფორმისა და მისი ფუნქციის უბრალო კალკირება ხომ არასოდეს მომხდარა ქართულ სივრცეში, არამედ ის შემოდიოდა გადამუშავებული, ადგილობრივ რეალობას, არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებს მორგებული სახით. უფრო მეტიც, ამ არქიტექტურულ ფორმას ქართველებმა შესაბამისი ტერმინიც კი მოუფიქრეს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დავინახეთ, ერთ-ერთი ხელნაწერის თარგმნისას ხდება ბიზანტიაში მიღებული ტერმინის კალკირება (კატვიხუმელი), ის უცხო აღმოჩნდა ქართველთათვის.

23 ისლამური ხელოვნების გავლენის შემცველი საეკლესიო ხელნაწერების მიმოქცევის ისტორიის და მათი მომხატველ-გადამწერების ვინაობის დაზუსტებისათვის (XV-XVIII სს)

საკვლევი თემის შესრულება მასალის რაოდენობის და ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონის გათვალისწინებით, ორ ეტაპადაა განსაზღვრული. სამუშაო მოიცავს ისლამური ხელოვნების ნიშნების შემცველი სასულიერო ხელნაწერების იმ ნიმუშების მოკრებას, თავმოყრას, ქრონოლოგიზაციას და სისტემატიზაციას, რომელიც მომხატველის და/ან გადამწერის ვინაობას ამხელს. სწორედ ეს ნაწილი განხორციელდა მიმდინარე წელს.

მოძიებულ-მოკრებილი მასალის მაგალითზე გამოიკვეთა, რომ ნიმუშთა უმეტესობამ შემოგვინახა გადამწერის ვინაობა, თუმცა მომხატველებზე ცნობები ან არ გვხვდება, ან მხოლოდ ირიბი მინიშნებებია მოცემული (მაგ: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ყანჩაეთის ჟამნ-გულანის დამკვეთის, ურბნელი ეპისკოპოსის ევდემონ რატიშვილისა და ძველაღთქმისეული მინიატიურების ოსტატის იგივეობის შესახებ (1674 წ. ხეც. H-1452), ასევე საინტერესო მინიშნებას იძლევა 1746 წლის ხეც. A-1454 კრებულის გადამწერის, ნიკოლოზ სიონის დეკანოზის შვილის ამავე ხელნაწერის „ზოდიაკითა და ყოვლითა გამშვენებლითა“ შემამკობლად მოხსენიება). თავის მხრივ, ეს ძალზედ საინტერესო საკითხია, რადგან საკვლევი ნიმუშების ისლამური ხელოვნებიდან შეთვისებული დეკორატიული გაფორმება ამავე ხელნაწერების მინიატიურებისგან მკაფიოდ სხვაობს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით და ჩნდება კითხვა მინიატიურებისა და ორნამენტული გაფორმების ავტორების იგივეობასთან ან,

პირიქით, სრულიად სხვა გამოცდილების ოსტატების მოხმობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. საგულისხმო საკითხად დგას იდენტიფიცირებული ოსტატების კავშირი დამკვეთებთან, ასევე მათი კავშირი სხვა ხელნაწერებსა თუ, შესაძლოა, სახვითი ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებთანაც. ეს არა მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამინიატურო ხელოვნების სიღრმისეულად კვლევის, არამედ სახვითი ხელოვნების დარგების ურთიერთმიმართების შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობასაც ქმნის. კვლევის მომდევნო ეტაპი, სწორედ ამ კითხვებზე პასუხების მოძიებას დაეთმობა.

გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა პუბლიკაციაზე *„კიდევ ერთხელ "კულტურათა გზაჯვარედინის" შესახებ XV-XVI საუკუნეების ხელნაწერთა ერთი ჯგუფის მხატვრობის მაგალითზე*".

24 H 1665 ფსალმუნის მხატვრობის თარიღისა და იკონოგრაფიული თავისებურებებისათვის

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ე.წ. ჯრუჭის ფსალმუნის (H 1665) მინიატიურები შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია. მისი უაღრესად საგულისხმო მხატვრობა არაერთ კითხვას ბადებს. ფსალმუნის მინიატიურების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სადღეისოდ არსებული ცოდნა მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის, როგორც ცალკეული საკითხების ხელახლა გააზრების, ისე ახალი ასპექტების წამოჭრისთვის.

კვლევის მიზანს ე.წ. ჯრუჭის ფსალმუნის მინიატიურების გარშემო არსებულ იმ ცალკეულ საკითხებზე კონცენტრირება წარმოადგენდა, რომელიც მისი მხატვრობის თარიღისა და მინიატურების იკონოგრაფიული გადაწყვეტის მიმართ დაისმის. სამუშაო სხვადასხვა ნაწილს მოიცავდა, რომლებიც ეტაპობრივად შესრულდა. საწყისი ეტაპი ითვალისწინებდა ხელნაწერის გარშემო არსებული სახელოვნებათმცოდნეო, ისტორიული და ფილოლოგიური ლიტერატურის მოძიება-დამუშავებას. ამ ყოველივეს თან ახლდა ექვთიმე თაყაიშვილის საარქივო ფონდში (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ფსალმუნის შესახებ დაცული საარქივო მასალის დამუშავება. აღსანიშნავია, რომ ეს მასალა ხელნაწერის და მისი მინიატიურების შესახებ არსებულ პირველ აღწერილობას წარმოადგენს, თანმხლები საგულისხმო ცნობებითა და ე. თაყაიშვილის მოსაზრებებით, რასაც დაეფუძნა კიდეც მეცნიერთა შემდგომი კვლევები.

სამუშაოს ფარგლებშივე განხორციელდა ხელნაწერის მხატვრული გაფორმების სისტემისა (მინიატიურების ზომა, ურთიერთმიმართება და სხვა) აღწერა მათი ფიზიკური მდგომარეობისა და დაზიანებების აღნიშვნით. ამავდროულად, მოინიშნა მოგვიანო ხანის ჩარევებიც, რამაც მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა კვლევის პროცესში. მინიატიურების აღწერილობის პარალელურად თემატურად დაჯგუფდა და გამოიკვეთა ქართული სახვითი ხელოვნებისთვის იშვიათი იკონოგრაფიული სიუჟეტების შემცველი კომპოზიციები და გამოვლინდა იკონოგრაფიული და სტილური მახასიათებლები. ჩამოთვლილი სამუშაოების ეტაპობრივმა განხორციელებამ საშუალება მოგვცა რომ მთლიან სურათში წარმოდგენილიყო ხელნაწერის მხატვრული გაფორმების თავისებურებები და მის თარიღთან დაკავშირებული ნიშნულებიც, რომელთა შესახებაც, სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკეული მოსაზრებები უკვე განხილულია (მათ შორის ყველაზე ვრცლად ლ. შერვაშიძის მონოგრაფიულ ნაშრომში).

ფსალმუნის იკონოგრაფიული თავისებურებები, ისევე როგორც მინიატიურების სტილი, არაერთგვაროვანია და სხვადასხვა კულტურათა (ქრისტიანული და ისლამური აღმოსავლეთის) სინთეზს წარმოადგენს, რაც ასევე გამორჩეულად საინტერესო სტილურ მახასიათებლებთან ერთად ქმნის იმ ინდივიდუალურ სახეს, რომელიც განაპირობებს ხელნაწერის მხატვრობის განსაკუთრებულ ადგილს შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში და ასევე, გამორჩეულ ნიმუშად ჩნდება ბიზანტიური ხელოვნების სივრცეშიც. ჩატარებული კვლევის შედეგები და ამ პერიოდში შემუშავებული დასკვნები წარმოდგენილი იქნება პუბლიკაციაში, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა.

გამოსაცემად მზადდება სტატია *"Illumination of the Psalter H 1665: an overview of the key issues".*

25 ბობნევის წმ. იოანე მახარებლის ტაძრის მოხატულობა (XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან)

ამა წლის ძირითადი თეორიული საქმიანობა, როგორც აღვნიშნეთ ბობნევის ეკლესიის მოხატულობას ეხება. ნაშრომში დაყოფილია ქვეთავებად: გვიან ფეოდალური პერიოდის XVII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ნიშან-თვისებების შესწავლა, აღწერა ანალიზი, მოვიძიეთ პარალელური მასალა (ათონური და ათონთან დაკავშირებული, ასევე მეტეორას ძეგლები), ცხადია დროის გათვალისწინებით. გამოვავლინეთ მათი თავისებურებები და შემდგომ კი შედარდა ბობნევის მოხატულობასთან, განხილულ იქნა თუ რა მხატვრულ-სტილისტური ნიშნები იქნა აღებული ათონური სკოლიდან და რა არის მათ შორის განსხვავებული, შემდგომ გაკეთდა გარკვეული ანალიზი ამ ყველაფრისა. ბობნევის მოხატულობის მხატვრულ - სტილისტური კვლევ საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად წარმოვიდგინოთ XVI-XVII სს-ის ქართული ფერწერის განვითარების საერთო სურათი, თუ როგორ ყალიბდება იგი, ადგილობრივი და გარე ფაქტორების გათვალისწინებით.

ბობნევის მოხატულობა თავისი დროის გამორჩეული ძეგლია, გვიან ფეოდალური ხანის ქართულ სახვით ხელოვნებაში შემოდის ევროპული ილუზორულობა, რომელიც თანაარსებობს გვიან პალეოლოგოსურ ხელოვნებასთან

. ამის მაგალითები ჩვენ უხვად გვაქვს როგორც საქართველოში ასევე დასავლეთშიც. ქართულ მხატვრობაში თვალსაჩინოდ იკვეთება ევროპული ილუზიონიზმისკენ მიმართული ახლებური გეზი, მაგრამ სახვით ხელოვნებაში წარმოჩენილი ამგვარი ცვლილება, არსებითად სხვაგვარი პრინციპებისკენ მიქცევა შეუძლებელი იქნებოდა ზოგადად ერის სულიერი თუ უშუალოდ ხელოვნების შინაგანი აუცილებლობის გარეშე. XVIII საუკუნის დასაწყისში ევროპული მხატვრობის სახვითი ფორმების მიღება თავისთავად მოწმობს უკვე საიმდროოდ ჩვენში ემპირიულის გარკვეულ მნიშვნელობას.

ბობნევის მოხატულობა ერთი მხრივ შეიცავს ქართული XIV-XV საუკუნეების ტრადიციებით ნასაზრდოებ „პროფესიული“ მხატვრობის სახვით ხერხებს, მეორე მხრივ გვიან პალეოლოგოსურ, ზოგად საქრისტიანოში, ათონურ-ბერძნულ სივრცეში შემუშავებულ სქემებს და ბოლოს XVII საუკუნისათვის დამახასიათებელი ევროპული გარდაუვალი ილუზორიზმის პრინციპებს.

ბობნევის შემოქმედის პროფესიული უნარი მის ბერძნულ-ბიზანტიურ ნიმუშებში განსწავლულობაზე და ადგილობრივ ნიადაგზე მათ გაღვივებაზე მეტყველებს.

ბობნევის მოხატულობა XVII საუკუნის მხატვრული ღირებულების ერთ-ერთი ღირსეული ძეგლია.

ცხადია რთულია განისაზღვროს ბობნევის ოსტატის ეთნიკური თუ კულტურული წარმომავლობა, თუმცა ერთი რამ ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ათონიდან ჩამოსულ მხატვარს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართლის გარკვეულ ძეგლების ჯგუფთან თუ სახელოსნოსთან.

ბობნევის მოხატულობის მხატვრული გადაწყვეტა მჭიდროდ უკავშირდება XVI-XVII საუკუნის ბერძნულ, კერძოდ ათონის, მეტეორას, კრეტის, მისტრის მონუმენტურ ტრადიციებს, პოსტ ბიზანტიური ხანის მხატვრობის სწორედ იმ ნიმუშებს, სადაც ჩანს ფიგურის სწორი აგების მცდელობა. ორენოვანი წარწერები (ბერძნულ-ქართული) საინტერესო მაგალითია ქართულ და იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს კულტურული ურთიერთობებისა, რომელშიც თვალნათლივ ჩანს როგორც საუკუნეების შემოქმედებითი გამოცდილება, ასევე თანადროული მხატვრული აზროვნება.

ძეგლი ავლენს მემკვიდრეობით მიღებულ მხატვრულ-სტილისტურ ტენდენციებს, რაც იმ ეპოქაში, ბიზანტიისა და შემდგომი საქართველოს მძიმე მდგომარეობის ფონზე საკმაოდ რთული ამოცანა იყო, თუმცა გარკვეულწილად იგი კვლავ ცდილობს შეინარჩუნოს მაღალ პროფესიონალური შემოქმედებითი დონე. აქ ნათლად აისახება იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს მხატვრული გემოვნება და ტრადიციისადმი, იკონოგრაფიისადმი, სტილისადმი ერთგულება.

26 საზოგადოებრივი ბაღები საქართველოში 1801-1918 წლებში

ევროპული ტიპის საზოგადოებრივი ბაღები საქართველოში, რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ, უკვე XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება.

ამ თემის შესასწავლად წელს ჩატარებულ ძირითად სამუშაოს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ბაღების შესახებ საარქივო მასალის შეგროვება და დამუშავება, წყაროების (ქართული და რუსული პრესა, მოგზაურთა ჩანაწერები, არსებული სამეცნიერო ლიტერატურა) მოძიება და გაცნობა, ასევე საველე კვლევა თბილისში.

27 სამეფო რეგალიები XVI-XVII საუკუნეების ჭედურ ხელოვნებაში

XVI-XVII საუკუნეების საქართველოში არსებული ისტორიული ვითარების შესაბამისად, კვლევა ინტერდისციპლინარულ მიდგომას მოითხოვს.

მეფეებისა და თავადების გვირგვინთა თუ სხვა რეგალიების ფორმა და სემანტიკა ამ ისტორიულ მონაკვეთში ხშირად პოლიტიკური მიზეზებით იყო ნაკარნახევი და ღრმა ისტორიულ-სოციალურ კონტექსტს გულისხმობს. მაგ., XVI საუკუნის გელათის ხატზე იმერეთის მეფე ბაგრატ III ბიზანტიური ინსიგნიებითაა წარმოდგენილი.

ბიზანტიურ სამოსში გამოწყობილ ბაგრატ III-ს ვხედავთ ასევე გელათის მონასტრის ფრესკაზე, რომელზედაც საგანგებოდაა ხაზგასმული საიმპერატორო პენდილიები და ლოროსი.

ბაგრატ III, აქტიური პოლიტიკოსი და გამჭრიახი დიპლომატი იყო, რომელიც იღვწოდა დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გადასაქცევად. ამდენად,იმერეთისმეფის ოფიციალურ გამოსახულებებზე დიდი მნიშვნელობა ზუსტად ისტორიულ ტრადიციას ენიჭებოდა.

ამ პერიოდის ხატთაგან დიდ ინტერესს იწვევს ლევან დადიანის საოქრომჭედლოში შექმნილი ჯგუფი. ჭედურ ხატებზე კარგად ჩანს სამეგრელოს თავადისა და მისი მეუღლის - ნესტან-დარეჯანის - სამოსი და თავსაბურავები. ლევან II-ის რეგალიებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამეფო ატრიბუტიკის ისტორიაში, რადგან XVII ს-ის საქართველოში ოდიშის სამთავრო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ რეგიონად ითვლებოდა. მისი მთავარი კი მთელ საქართველოზე აცხადებდა პრეტენზიას, რაც ცხადია მის ოფიციალურ იკონოგრაფიაზე აისახებოდა. ამის მკაფიო მაგალითია - კორცხელის („წინასწარმეტყველთა“) ხატი (1640 წ.) ლევან დადიანის ოჯახის საქტიტორო გამოსახულებებით. მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული ჯგუფის ყველა ხატზე დადიანები აღმოსავლური ყაიდის რეგალიებით წარმოგვიდგებიან. ეს გარემოება დადიანისა და ირანის მჭიდრო პოლიტიკური კავშირით იყო განპირობებული. მაგ., შარდენი გვაწვდის ცნობას, რომ ლევანი „სპარსეთის მეფეს ხშირად უგზავნის შევარდენს და სხვა მტარვალ ფრინველს. სამაგიეროდ, მეფე ოქროსა და აბრეშუმის ფარჩეულობას, ნოხებს, იარაღს, ჭურჭელს და სხვა საქონელს უგზავნის“.

ამგვარად, მეფეთა და თავადთა ატრიბუტიკა უცხოური (ბიზანტიური და ირანული) პარალელური მასალის გათვალისწინებით შევისწავლეთ.

28 ლუიჯი ლონგო და მისი საეკლესიო მოხატულობები

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში იტალიელი მხატვარი ლუდვიგ ლონგო ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მის შესახებ დღემდე საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. იგი დაახლოებით 70-იანი წლებიდან ცხოვრობდა თბილისში და მხატვრობის პარალელურად პედაგოგიური საქმიანობითაც იყო დაკავებული. ლუდვიგ ლონგომ საქართველოში განსაკუთრებულად საეკლესიო მონუმენტურ მხატვრობაში დაიმკვიდრა თავი. მის თანადროულ ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში დანანებითაც კი აღნიშნავს ავტორი ლონგოსგან დიდი მოლოდინები გვქონდა მაგრამ იგი ხატმწერის პროფესიაზე ჩამოქვეითდაო. მას იმ დროს ხატწერის მაესტროდაც მოიხსენიებდნენ.

თბილისის საისტორიო არქივში რამდენიმე დოკუმენტია დაცული, რომლებშიც ლონგოს შესახებ დღემდე გამოუქვეყნებელი მასალაა თავმოყრილი მის მიერ რესტავრირებული მხატვრობების თუ ეკლესიების მოხატვების შესახებ. ლუდვიგ ლონგოს ჩაუტარებია 1870-იან წლებში სიონის მხატვრობის რესტავრაცია, თანაც ორჯერ. ასევე მარტყოფის ეკლესიის მოხატულობის რესტავრაციაც. 1890-იან წლებში კი ლონგომ ჯერ თბილისის სამების ეკლესია მოხატა, შემდეგ კი, თბილისის ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი.

ნაშრომში განხილულია საეკლესიო მხატვრობის რამდენიმე მასშტაბური პროექტი, რომელთა კვლევა ძირითადად საქართველოს საისტორიო არქივსა და პერიოდიკაში არსებული მასალის საფუძველზე განხორციელდა.

29 გიორგი ჩუბინაშვილის კვლევის მეთოდოლოგიის საკითხები

ნაშრომი წარმოადგენს გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდების ანალიზის მცდელობას. გ. ჩუბინაშვილის კვლევითი კონცეფცია, რომელიც მან ქართული ხელოვნების შესწავლის პროცესში შეიმუშავა და მასვე მიუსადაგა, განხილულია მისი ერთი ნაშრომის - „ქართული არქიტექტურის გზები“-ს მაგალითზე.

აღნიშნული წიგნი 1936 წელს დაისტამბა და აღსანიშნავია, რომ დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ხსენებული გამოცემა ნათლად, მკაფიოდ და სტრუქტურულად წარმოგვიდგენს ქართული არქიტექტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას - ქართული ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბება-განვითარების, სამეტყველო ენისა და თვითმყოფადი კულტურული იმპულსების გათვალისწინებით. ნაშრომი სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ცხადია, კარგადაა ცნობილი, თუმცა ჩვენი კვლევის ფარგლებში მოცემულია მისი სხვადასხვა ასპექტები.

ამასთანავე, იგი მოიცავს ზოგად-კონტექსტუალური ტიპის ვრცელ პასაჟებს, რომელთა საფუძველზეც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება გ. ჩუბინაშვილის, როგორც პიროვნების, მეცნიერისა თუ სახელოვნებათმცოდნეო სკოლის ფუძემდებლის განსაკუთრებული როლი ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლის პროცესში.

30 დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი მონასტრების მთავარი ეკლესიების განვითარების ხაზის დაზუსტების მცდელობა ძველი მონაცემების გადააზრებისა და ახალი მასალის დამატების მეშვეობით

დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი მონასტრების არქიტექტურაში, თავისი მნიშვნელობითა და გამომსახველობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ე.წ. მთავარი ეკლესიების თემას. ამ თემამ თავისი წამყვანი ადგილი დაიკავა გარეჯის უდაბნოების ისეთი მეცნიერების კვლევებში, როგორებიც არიან გიორგი ჩუბინაშვილი და დიმიტრი თუმანიშვილი. ამასთან მათი კვლევების შემდგომ დაგროვდა დიდი რაოდენობის ახლად მიკვლეული ან ახლებურად იდენტიფიცერიებული ეკლესიების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

შესაბამისად, ჩნდება საჭიროება მთავარი ეკლესიების განვითარების ხაზში მათთვის ადგილის მოძიება-დაზუსტების. ამასთან, ჩვენის აზრით, ამ მასალაზე დაკვირვება იძლევა საშუალებას, ახლებურად შევხედოთ როგორც აღნიშნულ განვითარების ხაზს, ისე, ზოგადად, გარეჯის მონასტრების ისტორიისა და ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს.

წლევანდელი მუშაობა დაეთმო ექსპედიციებსა და საველე სამუშოებს ადგილზე, ფოტოს, ნახაზებისა და სხვა მასალის შეგროვებას, არსებული ლიტერატურის მოძიება-თავმოყრას, სამაგიდო კვლევას. მოეწყო 6 ექსპედიცია დავით გარეჯის უდაბნოს ივრისპირეთის მონასტრებზე: საბერეები, ბერთა სერი, ქოლაგირი, დიდი ქვაბები; 8 ექსპედიცია დავით გარეჯის უდაბნოს ცენტრალურ და მტკვრის აუზის მონასტრებში: დავითის ლავრა, დოდო-რქა, ნათლისმცემელი, წამებული, მრავალ-წყარო, თეთრი სენაკები.

31 საიმპერატორო ინსიგნიები შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე წარმოდგენილ მეფეთა გამოსახულებებზე

კვლევის საგანს წარმოადგენს შუა საუკუნეების მონეტებზე გამოსახული სამეფო პორტრეტები და მასზე ასახული სამეფო თუ საიმპერატორო ინსიგნიები. ასეთ მონეტებს მიეკუთვნება დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ის, ლაშა–გიორგის, დავით ნარინისა და დავით ულუს მონეტები.

გარდამავალი თემის ამ ეტაპზე შესრულებული სამუშაოები, რომელიც მასალის გაცნობისა და შეგროვების მიზნით მოიცავდა სამუზეუმო და საარქივო აქტივობას, წყაროების და ლიტერატურის დამუშავებას, პარალელური მასალის გაცნობას, ასევე, ამ მხრივ (სამეფო ინსიგნიების გამოსახვის თვალსაზრისით) სხვა დისციპლინებში არსებული საჭირო ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას

ნაწილობრივ შესრულებულია. კვლევის შედეგი სტატიის სახით გამოქვეყნდა ყოველწლიურ ჟურნალში „საქართველოს სიძველენი“, რომელშიც განხილულია დავით IV-ის და გიორგი IV-ის სამეფო გამოსახულებიანი მონეტები.

32 ქართული მართკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები და მათი მიმართება გუმბათოვან არქიტექტურასთან

საქართველოში მართკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები, ისევე როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოს სხვადასხვა რეგიონში, ადრეულ შუა საუკუნეებში ჩნდება და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გვხვდება. საქართველოში, როგორც წესი, საკურთხევლის სივრცე გადახურულია კონქით ან ცილინდრული კამარით. კონქიან IX-X საუკუნეების ნიმუშებს შორის არის ნაგებობათა ჯგუფი, სადაც საკურთხეველი გარკვეულ სიმაღლემდე სწორკუთხაა და ზევით კი ნახევარწრიული ხდება.

კვლევის მიზანია სწორედ ამ ჯგუფის ეკლესიებისა და გუმბათოვან ხუროთმოძღვრებასთან მათი მიმართების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გადაიხედა ასევე კლიკის ჯვრის, ცხავატისა და ზონკარის ეკლესიების დათარიღების საკითხი და ქოროღოს ეკლესიის ზოგიერთი არქიტექტურული თავისებურება.

II. სამეცნიერო საგრანტო პროექტები (სამამულო დაფინანსებით):

ა) დასრულებული:

№	თემის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწ. რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურიდან
1	**დიმიტრი თუმანიშვილი (კრებული)**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	დავით ხოშტარია, ნოდარ არონიშიძე, მარინე ყენია	დავით ხოშტარია, ნოდარ არონიშიძე, მარინე ყენია
2	**ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული	საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების	თეიმურაზ ხუციშვილი, ნოდარ არონიშიძე, ანა იმედაშვილი,	ნოდარ არონიშიძე

	ონლაინ კატალოგი	სამეცნიერო ფონდი	კვლევის ცენტრი	ბებურ გოზალიშვილი	

ანოტაცია

1 **დიმიტრი თუმანიშვილი (კრებული)**

პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა გამორჩეული ქართველი მეცნიერის, ხელოვნების ისტორიკოსის, დიმიტრი თუმანიშვილის შრომათა კიდევ ერთი კრებული. აქამდე დიმიტრი თუმანიშვილის სამეცნიერო წერილების ორი კრებული არსებობდა, ხოლო მომზადებულ მესამე კრებულში თავი მოიყარა 2008-2019 წლებში გამოსულმა მისმა სხვადასხვა პუბლიკაციებმა. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ გამოცემას თან ახლავს დიმიტრი თუმანიშვილის სრული ბიბლიოგრაფია, რომელიც აქამდე არ იყო გაკეთებული.

2 **ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი**

კატალოგი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის“ – გამარჯვებული პროექტის – „ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი“ [NFR–19–12539] – ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ. კატალოგი მოამზადეს: პროფესორმა თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნოდარ არონიშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა, პროფესორმა დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე).

კონსულტანტი - არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამი პატაჯი (თურქეთი). ინგლისური ტექსტი - ლადო მირიანაშვილი, ყდის დიზაინი - დავით ჯამრიშვილი. კატალოგი დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

უშუალოდ 2024 წელს მოხდა ექსპედიციების განმავლობაში მოძიებული მასალის შეჯერება, დახარისხება და მომზადება საბეჭდი ფაილისთვის. ამასთანავე, ამავე 2024 წლის მანძილზე მომზადდა ანოტაციები კატალოგის ძირითადი ტექსტისთვის. ანოტირებული ნუსხები დაეფუძნა ექსპედიციების ფარგლებში მომზადებულ საველე ჩანაწერებს, რომლებიც ყველა ექსპედიციის დროს მიზნობრივად ხორციელდებოდა. ასევე ექსპედიციების ფარგლებში შესრულდა საველე ნახაზები და ანაზომები, რომლებიც 2024 წლის მანძილზე ეტაპობრივად გამოიხაზა ელექტრონულად. ამავე წელს მომზადდა წიგნის ყველა ძირითადი მონაკვეთი – ფოტო მასალების დალაგება–შერჩევა, შესავალი, დასკვნა, ანოტაციები და ძეგლების ნუსხის დანართი.

ბ) გარდამავალი (ანოტაცია - მხოლოდ საანგარიშო წელს შესრულებულ სამუშაოს):

№	თემის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწ. რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურიდან
1	**ლანდშაფტის გეგმარება და საპარკო ხელოვნება საქართველოში (1801-1918)**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	დავით ხოშტარია, ნათია ნაცვლიშვილი, მანონ ლილუაშვილი	დავით ხოშტარია, ნათია ნაცვლიშვილი, მანონ ლილუაშვილი
2	**ძველი თბილისის უცნობი ურბანული მემკვიდრეობა**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ნატო ცინცაბაძე, მათე სულხანიშვილი	მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩხუნაშვილი
3	**ტრადიციული საცხოვრისი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	ეკატერინე კვაჭატაძე, ნოდარ არონიშიძე, სამსონ ლეჟავა, გოგოთურ მისრიაშვილი, ელდარ ნადირაძე	ეკატერინე კვაჭატაძე, ნოდარ არონიშიძე, სამსონ ლეჟავა
4	**სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის	თამარ ხუნდაძე ქრისტინე საბაშვილი მარიამ გველესიანი ანა კლდიაშვილი	თამარ ხუნდაძე ქრისტინე საბაშვილი ქეთევან მიქელაძე თამარ დადიანი

			ეროვნული კვლევითი ცენტრი	ქეთევან მიქელაძე თამარ დადიანი	
5	**ოკუპირებული ტერიტორიების ხელნაწერი მემკვიდრეობა /ორენოვანი ინტეგრირებული გამოცემა და გამოფენა**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ესმა მანია ბეჭან ხორავა თემო ჯოჯუა ნინო ციციშვილი თეა ქართველიშვილი ირინა გოგონაია	ნინო ციციშვილი
6	**წმ. მეომართა კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	ეკატერინე გედევანიშვილი, თამარ დადიანი, ირმა მამასახლისი, ქეთევან მამასახლისი, ნიკოლოზ ალექსიძე	ეკატერინე გედევანიშვილი, თამარ დადიანი, ირმა მამასახლისი
7	**კულტურის შემსწავლელი მეცნიერება საქართველოში**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	ნოდარ არონიშიძე, თეიმურაზ ქანთარია-ჯაბადარი, დავით ნიორაძე	ნოდარ არონიშიძე, თეიმურაზ ქანთარია-ჯაბადარი

ანოტაცია

1 ლანდშაფტის გეგმარება და საპარკო ხელოვნება საქართველოში (1801-1918)

პროექტის გეგმა გრაფიკის შესაბამისად, 2024 წელს მუშაობა მიმდინარეობდა ორ კვლევით საკითხზე: „ბაღები და პარკები მინერალური წყლების კურორტებზე: ბორჯომი და აბასთუმანი“ და „ბაღები მცირე ქალაქებსა და დაბებში: დუშეთი, გორი, თელავი, ახალციხე, ფოთი, კოჯორი, ლაილაში, დიდი ჯიხაიში”. ჩასატარებელი სამუშაო მოიცავდა ვრცელი პირველადი ლიტერატურის

(მოგონებები, ანგარიშები, მოგზაურობის ჩანაწერები, საგაზეთო პუბლიკაციები და სხვა) გაცნობას, საარქივო მასალის დამუშავებას და საველე კვლევას. ივლისში კვლევითი ჯგუფის წევრები მივლინებით იმყოფებოდნენ ლატვიასა და ესტონეთში. საპარკო არქიტექტურისა და ლანდშაფტის დიზაინის ნიმუშების გასაცნობად.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად დანაკარგებისა, რომლებიც დროთა განმავლობაში გარდაუვალად ახლავს ადამიანის მიერ დაპროექტებულ და გაშენებულ ლანდშაფტებს, საქართველო კვლავ მდიდარია ისტორიული ბაღებით. ისინი შექმნილია სხვადასხვა არქიტექტორებისა და მებაღეების მიერ სხვადასხვა მიზნით და განსხვავდება ერთმანეთისაგან ფუნქციით, ზომით, ფორმითა და სტილით. მათი შემქმნელები იდეებსა და მეთოდებს ევროპიდან იღებდნენ, მაგრამ ცდილობდნენ დაგეგმარებისა და დიზაინის ევროპული კონცეფციები მოერგოთ ახალი ამოცანებისათვის დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებულ კულტურულ და გეოგრაფიულ გარემოში.

2 ძველი თბილისის უცნობი ურბანული მემკვიდრეობა

პროექტის სამუშაო გეგმის მიხედვით, 2024 წელს გამოქვეყნდა სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და გაგრძელდა საპროექტო არეალში არსებული ურბანული ძეგლების კვლევა: ლ. გუდიაშვილის მოედანი/ ბ. ახოსპირელის გასასვლ. № 7/3, ლ. გუდიაშვილის მოედანი/ ბ. ახოსპირელის ქ. № 7/2, ბ. ახოსპირელის II ჩიხი № 3/4 საცხოვრებელი სახლები.

ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბანში, შუა საუკუნეების დროინდელი ვიწრო ქუჩებითა და მიხვეულ-მოხვეული ჩიხებით დაქსელილ განაშენიანებაში ყურადღებას იქცევს მოღნინის ეკლესიასა და ლ. გუდიაშვილის მოედანს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც ყოველი მხრიდან ქუჩებით გამოყოფილ სამკუთხა „კუნძულს“ ქმნის. მასზე თავმოყრილი სამი, მცირეეზოიანი საცხოვრებელი სახლიდან, ლ. გუდიაშვილის მოედანზე ფასადების ერთიანი ფრონტით გამოდის რთული გეგმარებითი სტრუქტურის მქონე №7/2 და №7/3 ნაგებობა. ეს სახლები მსგავსი გეგმარების, სიმაღლის და მჭიდროდ შეკავშირებული სამშენებლო ფენების წყალობით ერთიან, შერწყმულ ორგანიზმადაა ჩამოყალიბებული და ამავე დროს ინდივიდუალური გადაწყვეტით გამოირჩევა.

აღნიშნულ ნაგებობათა ვიზუალური შესწავლა და მოპოვებული დოკუმენტური მასალის ანალიზი აჩვენებს შენობათა ტრანსფორმაციას XIX ს-ის შუა წლებიდან XX ს-ის დამდეგამდე, სართულების დამატების ჩათვლით. ირკვევა, რომ №7/2 შენობის ადგილზე XX ს-ის დამდეგამდე მდგარა ძველი ნაგებობა, რომლის ძველი აგურით ნაშენი, შეისრულთაღოვანი ნიშების მწკრივითა და ბუხრით აღჭურვილი ერთი კედელი ჩაურთავთ მთლიანად ახალი აგურით ნაშენი ახალი შენობის პირველი სართულის დიდ დარბაზში.

ამასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ამ სახლების სარდაფებში შემორჩენილი ძველი მშენებლობის ფრაგმენტების და სადგომების

განსაკუთრებული სიმრავლე, მათ შორის ორდონიანი სარდაფის ნაწილში და ეზოს ტერიტორიაზე მიწის საფარს ქვეშ. სხვადასხვა დანიშნულების ეს სათავსები და ფრაგმენტები (სამეურნეო დანიშნულების ორმოები, კერამიკული ქურა, სავაჭრო ნაგებობა(?), საცხოვრებლის ნაშთები) სავარაუდოდ, XVII-XVIII სს-ს განეკუთვნება და მსგავსად მიწისზედა საცხოვრებელი სართულებისა, მრავალგზის ცვლილებას ასახავს, რაც თავის მხრივ ამ ადგილის მშფოთვარე ისტორიაზე მოწმობს.

ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა ლადო გუდიაშვილის მოედნის დასავლეთიდან იღებს სათავეს და მისდამი პერპენდიკულარულად მიმართულ სამ ვიწრო ჩიხად იშლება. I და II ჩიხებს შორის იდგა მცირე ზომის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელმაც ჩვენ დრომდე ძლიერ გადაკეთებული და დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ შემოინახა ძირითადი მახასიათებლები. მისი აგების დრო XIX ს-ის დასაწყისით განისაზღვრა. ნაგებობის სტრუქტურა ამ ადგილზე არსებულმა უფრო ძველმა (XIII-XVIII სს.) სამშენებლო ფენებმა განაპირობა, რომლებიც ნაწილობრივ იყო შეჭრილი ჩვენამდე მოღწეულ შენობაში. საცხოვრებელი სახლის შენარჩუნება ვერ მოხერხდა და ახლა მის ადგილზე 2022 წელს აგებული შენობა დგას. ძველი ნაგებობის დაშლის და ტერიტორიის გაწმენდის დროს გამოვლინდა წინა საუკუნეების სხვადასხვა სისრულით შემორჩენილი სამშენებლო ფენები, კერამიკული მასალა და საყოფაცხოვრებო ნივთები. როგორც გაირკვა, ქვეყნის რთული ისტორიის კვალდაკვალ, ამ ადგილზე მდგარი სხვადასხვა პერიოდის ნაგებობები არაერთგზის იქნა დარბეულ-დანგრეული, რასაც სწრაფად მოსდევდა აღდგენა-განახლება და ახალი მშენებლობა. მიწის სამუშაოების დროს გამოვლენილი რესტავრირებული არქიტექტურული ფორმები და კვადრატული აგურით მოგებულ სხვადასხვა პერიოდის იატაკები სტრატიგრაფიული მიმდევრობით განთავსდა ახლად აგებული შენობის სარდაფში.

3 ტრადიციული საცხოვრისი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში

საანგარიშო პერიოდში შესრულდა საგრანტო ხელშეკრულებით დასახული ყველა ამოცანა: 1. საველე სამუშაოები სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში; ექსპედიციები მოეწყო სამხრეთ საქართველოს შემდეგი ისტორიული მხარეებისა და მუნიციპალიტეტის სოფლებში: ასპინძის მუნიციპალიტეტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ადიგენის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, წალკის მუნიციპალიტეტი. 2. საანგარიშო პერიოდისთვის მოპოვებული საცხოვრისის ანოტირებული ნუსხის შედგენა (აღწერა-აღნუსხვა, კლასიფიკაცია); გამორჩეულ საცხოვრებელ ნიმუშთა ანაზომების მომზადება; ძეგლთა სრული ფოტო-ფიქსაცია; გაბარიტული ზომებისა და GIS კოორდინატების აღება. 3. საარქივო სამუშაოები (საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი ერმაკოვის კოლექცია) და ბიბლიოგრაფიული სამუშაოები. 4. საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.

5. არარეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებაზე თანხმობა.

4 სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში

საანგარიშო წელს ჩატარდა ექსპედიციები სამცხე–ჯავახეთში (ზარზმა, ვარძია), კახეთში (ხაშმი), ქართლში (ატენის სიონი, ყინწვისი და სხვ.), სამეგრელოში (ხობი, წალენჯიხა, მარტვილი, კორცხელი). ამ რეგიონებში არსებული ძეგლების კედლის მხატვრობისა და სკულპტურის ნიმუშებთან ერთად, შესწავლილ იქნა ადგილობრივ მუზეუმებში (ახალციხის, გორის მუზეუმები) დაცული წინაქრისტიანული ხანის არტეფაქტები, შუა საუკუნეების ჭედური, რელიეფური, ნუმიზმატიკის ნიმუშები. ჩატარდა ფოტო-ფიქსაცია, გაკეთდა სქემები და გრაფიკული ჩანახატები. შეგროვებული მასალა, წინა წელს მოპოვებულ მასალასთან ერთად, გამოყენებულ იქნა კვლევითი სამუშაოს ჩატარებისას. მომზადდა კვლევა შემდეგ თემებზე: „სამეფო ატრიბუტიკა დიდმოხელეთა გამოსახულებებში“, „სამეფო ინსიგნიები შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში დაცულ მეფედ კურთხევის სცენებში“.

მომზადდა და გამოქვეყნდა სტატიები - თამარ ხუნდაძის და ქრისტინე საბაშვილის ავტორობით – „სამეფო პორტრეტი და მათი ატრიბუტიკა X-XI საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში“; მარიამ გველესიანის სტატია - "საქართველო და სასანური ირანი: სამეფო გამოსახულებების ზოგიერთი ასპექტი ადრექრისტიანულ ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურულ ტრადიციაში" ბრილის სამეცნიერო გამოცემაში "ირანი და კავკასია"; ქრისტინე საბაშვილის სტატია – "საიმპერატორო ინსიგნიები შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე წარმოდგენილ მეფეთა გამოსახულებებზე"; თამარ დადიანის სტატია – „ოშკის ტაძრის რელიეფები: იდენტობა და კულტურული ურთიერთმიმართებები“, თამარ ხუნდაძის სტატია -„საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში“.

5 ოკუპირებული ტერიტორიების ხელნაწერი მემკვიდრეობა /ორენოვანი ინტეგრირებული გამოცემა და გამოფენა

მიმდინარე პროექტის სახელოვნებათმცოდნეო ნაწილის ფარგლებში მოძიებულ და მოკრებილ იქნა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სასულიერო დანიშნულების მხატვრულად გაფორმებული ის ხელნაწერები, რომლებიც ქვეყნის ოკუპირებულ რეგიონებთან ავლენს კავშირს. მასალის სისტემატიზაციის, ქრონოლოგიზაციისა და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შემდეგ დასრულდა მუშაობა პუბლიკაციაზე: *„მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები ოკუპირებული ტერიტორიებიდან“*.

სხვადასხვა დროის და განსხვავებული მხატვრულ-სტილური მახასიათებლების მქონე თითოეული ეს ნიმუში არა მხოლოდ თანადროული ეპოქის მხატვრულ მატიანედ, არამედ დღესდღეობით, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გათვალისწინებით, წარსულის პრიზმაში გააზრებული

აწმყოს და მომავლის ფუნდამენტადაც კი წარმოგვიდგება. ამდენად, მათი მოკრება და მიმოხილვა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ-კულტურული პროცესებისა თუ ტენდენციებისთვის თვალის მიდევნების საშუალებასაც ქმნის და ერთიანი საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ისტორიის და კულტურული მონაპოვრის შენარჩუნება-დაცვასა და პოპულარიზაციასაც ისახავს მიზნად, რაც ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად იქცევა.

6 წმ. მეომართა კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში

მონოგრაფია (ორენოვანი, ქართული და ინგლისური) წარმოადგენს წმ. მეომართა კულტსა და სახვით ტრადიციას შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. ვიზუალურ ისტორიასთან ერთად, მონოგრაფიაში საგანგებოდაა განხილული წმ. მეომართა მოხსენიების ლიტურგიკული ტრადიცია.

7 კულტურის შემსწავლელი მეცნიერება საქართველოში

პროექტის ფარგლებში გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის სხვადასხვა სოფელში ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებისთვის, ჩაატარეს შემეცნებითი ლექცია-მასტერკლასები, რომელთაც ჰქონდა ინტერაქტიური ხასიათი და მაქსიმალურადაა გათვლილი, ერთი მხრივ დარგისა და მეცნიერების პოპულარიზაციაზე, მეორე მხრივ კი მოსწავლეების აქტიურ ჩართულობაზე, ძეგლის შესწავლის პროცესში.

პროექტი გულისხმობს მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების სოფლებში გამართულ შეხვედრათა ციკლს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ორი მიმართულების „მასტერკლასები“. მოცემულობიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას, ინფორმირებასა და აქტიურ თანამონაწილეობას ქართული კულტურის შემსწავლელ მეცნიერებებში, მიზანშეწონილია გაიმართოს „კომბინირებული“ ლექცია-მასტერკლასები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე მოხდა „სამიზნე ჯგუფის“ თეორიული მომზადება, წინასწარ შემუშავებული პრეზენტაციით, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები გაეცნენ იმ ძირითად ტერმინებს, ელემენტებს და ხუროთმოძღვრების შემადგენელ კონსტრუქციულ თუ სიმბოლურ ნაწილებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა მათი უშუალო ჩართვა „საველე საექსპედიციო“ მასტერკლასებში.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტის დამასრულებელი ფაზა და დარჩენილია მხოლოდ საველე ექსპედიციების განხორციელება. ყველა სხვა ეტაპი უკვე მომზადებულია და პროექტის გეგმა-გრაფიკით ნაკისრი ყველა ვალდებულება შესრულებული. უახლოეს მომავალში განხორციელდება უშუალოდ საველე-

საექსპედიციო გასვლები სამიზნე ჯგუფებთან ერთად წინასწარ შერჩეულ ძეგლებზე.

გ) პროექტები უცხოური დაფინანსებით:

№	თემის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწ. რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურიდან
1	**Georgia and Iranian World in the Early Iron Age: Artifacts from Tbilisi's Royal Tomb**	The Shelby White and Leon Levy Program for Archaeological Publication	University of Harvard, University of Exeter	ნინო გომელაური	ნინო გომელაური
2	**Hidden Murals Journey**	აშშ საელჩო საქართველოში	ICOMOS საქართველოს ეროვნული კომიტეტი	ნატო ცინცაბაძე, ლია ბოკუჩავა, მარინე ყენია, ნინო კორძახია, მანანა თევზაძე, ლელო ნინოშვილი	მარინე ყენია

ანოტაცია

1 Georgia and Iranian World in the Early Iron Age: Artifacts from Tbilisi's Royal Tomb

ნაშრომში განხილულია დიღმის მასივის ტერიტორიაზე, თრელის სამაროვანზე გათხრილ მდიდრულ ყორღანში აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება.

აღნიშნული ნაკეთობები ნაშრომში განხილულია წინა აზიისა (ლურისტანი, ჩრდ-დას ირანი) და ირანული მოდგმის მომთაბარეთა კულტურის მასალათა ფონზე და ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ის მხატვრული ელემენტები, რომლებიც თრელის სკულპტურებს ამ ნაკეთობებთან ანათესავებს, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრული და ტექნოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც უდავოს ხდის ამ სკულპტურათა ადგილობრივ წარმომავლობას.

2 Hidden Murals Journey

პროექტით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, მოეწყო ექსპედიცია ზემო სვანეთის 9 თემის სოფლებში, იმ ეკლესიებში სამუშაოდ, სადაც შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაა შემორჩენილი. შერჩეულ იქნა შემდეგი ეკლესიები - 1. ლატალის თემი: მაცხვარიშის მაცხოვარი (1140 წ.), მაცხვარიშის თარინგზელი (XVI ს.), იფხის ჯგრაგი (ინტერიერი - X ს., ფასადი - XII-XIII ს.), იენაშის იანი (XIII-XIV ს.); 2. ლენჯერის თემი: ნეზგუნის მაცხოვარი (საკურთხეველი - IX-X სს. დარბაზი - XII ს-ის II ნახ.), მხერი (XIV ს-ის შუახანა), ლაშთხვერის თარინგზელი (საკურთხეველი - XIV ს-ის შუახანა, დარბაზი და ფასადები - XIV-XV სს-ის მიჯნა); 3. მესტია: ლაღამის მაცხოვარი (ქვედა ეკლესია - I ფენა, XI ს-ის დასაწყისი, II ფენა, XII ს-ის II ნახ., ზედა ეკლესია - ინტერიერი და ფასადები, XIV ს-ის შუახანა); 4. მულახის თემი: ჩვაბიანის მაცხოვარი (საკურთხეველი - X ს., დარბაზი - გვიანა ხანა), ჩვაბიანის თარინგზელი (XII ს-ის II ნახ.); 5. იფარის თემი: ნაკიფარის ჯგრაგი (1130 წ.), წვირმის მაცხოვარი (XII ს-ის I ნახ.), წვირმის ჩობან-თარინგზელი (XII ს.), წვირმის ჯგრაგ-ჩობანი (XII ს.), წვირმის თარინგზელ-ზაგარი (XIII ს.), იფრარის თარინგზელი (1096 წ.), ჰადიშის მაცხოვარი (XII-XIII სს.), ჰადიშის ჯგრაგი (XI-XII სს.), ჰადიშის თარინგზელი (XII ს.); 6. კალას თემი: ლაგურკა (წმ. კვირიკეს ეკლ., 1112 წ.), ხეს ბარბალი (XIII ს.); 7. უშგულის თემი: ჟიბიანის ლამარია (I ფენა - X ს., II ფენა - XIII ს.), ჩაჟაშის მაცხოვარი (ინტერიერი და ფასადი - XVII ს.), მურყმელის მაცხოვარი (XII ს.); 8. ბეჩოს თემი: ჭოხულდის მაცხოვარი (XIII ს.); 9. ფარის თემი: სვიფის ჯგრაგი (ინტერიერი - I ფენა, X ს., II ფენა, XIV ს-ის მიწურული. ფასადი - XII ს.).

ჩემს მიერ შედგენილ იქნა 26 აღნიშნული მოხატულობის ანოტაციები ქართულ ენაზე, პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებ. გვერდზე განსათავსებლად. მოხატულობათა ინგლისურ-ენოვანი ანოტაციების შედგენა მომავალ წელსაა დაგეგმილი.

III. სამეცნიერო პუბლიკაციები:

ივსება სამეცნიერო ერთეულის პერსონალის ანბანური სიის მიხედვით. პუნქტი, რომელიც არასრულად იქნება შევსებული, არ ჩაითვლება.

ა) მონოგრაფია/წიგნი:

№	ავტორი	სათაური	გამომცემ-ლობა	საერთ. კოდი	გვერ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	ნოდარ არონიშიძე	**ბასიანი, კულტურის**	საქართვე ლოს კულტურ	ISBN - 978-	201	თეიმურაზ ხუციშვილი, ნოდარ

		ძეგლების კატალოგი	ისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი	9941-9888-4-4		არონიშიძე, დავით გაჩეჩილაძე, ბებურ გოზალიშვილი, ანა იმედაშვილი, შალვა კოღუაშვილი, დავით მაისურაძე, ლევან წიქარიშვილი, დავუთ ჰაქქან ბერქი (მოფინაძე)
2	ნოდარ არონიშიძე	**ბასიანის ძეგლების 2023 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში**	საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი	ISBN - 978-9941-9888-5-1	68	თეიმურაზ ხუციშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბებურ გოზალიშვილი, ანა იმედაშვილი, შალვა კოღუაშვილი, დავით მაისურაძე, ლევან წიქარიშვილი, დავუთ ჰაქქან ბერქი (მოფინაძე)
3	თამაზ დვალი (შემდგენელი)	**საქართველოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – კახეთი**	სეზანი	ISBN - 978-99928-20-50-6	884	ფლორ დედარიანი

ანოტაცია

1 **ბასიანი, კულტურის ძეგლების კატალოგი**

კატალოგი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის“ – გამარჯვებული პროექტის – „ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი“ [NFR–19–12539] – ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და

ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ. კატალოგი მოამზადეს: პროფესორმა თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნოდარ არონიშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა, პროფესორმა დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე).

კონსულტანტი - არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამი პატაჯი (თურქეთი). ინგლისური ტექსტი - ლადო მირიანაშვილი, ყდის დიზაინი - დავით ჯამრიშვილი. კატალოგი დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით. ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია ავტორთა მიერ, მხარის საკვლევი ექსპედიციების დროს.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ბასიანის რეგიონის ორი ანგარიშის ერთგვარ შეჯერებას, სადაც თავმოყრილია გამორჩეული, მნიშვნელოვანი და ძლიერ სახასიათო ძეგლები. კატალოგის იდეა გულისხმობს ანგარიშებისგან განსხვავებული ტექსტის წარმოდგენას, სადაც შედარებით მოკლედაა წარმოდგენილი ტექსტუალური აღწერები. მოცემულ გამოცემაში წარმოდგენილი მიდგომა ასევე გულისხმობს იმას, რომ შედარებით მოკლედ და ნახევრად–სამეცნიერო ენით მოცემულია ანოტირებული ნუსხა, სადაც ფოტო–მასალის ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია ანგარიშებთან შედარებით.

2 ბასიანის ძეგლების 2023 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში

საკვლევი ექსპედიცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – "ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის" – გამარჯვებული პროექტის – „ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი" [NFR–19–12539] – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ.

ექსპედიციის ანგარიში მოამზადეს: პროფესორმა თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნოდარ არონიშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა, პროფესორმა დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე).

კონსულტანტები: არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამი პატაჯი (თურქეთი). ანგარიში იბეჭდება საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის დაფინანსებით. მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით. ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საექსპედიციო სამუშაოების დროს. ავტორთა ჯგუფის მიერ 2012-

2023 წლებში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებული 31 ექსპედიციის ანგარიშები ქვეყნდებოდა 2015 წლიდან.

3 საქართველოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – კახეთი

30 სტატია კახეთის ეკლესიებში შემონახული კედლის მხატვრობის ძეგლთა შესახებ შესრულებულია ფლორ დევდარიანის მიერ.

მოხატულობათა აღწერა - კომპოზიციათა შინაარსის და ასევე ცალკე მოცემულ გამოსახულებათა ვინაობის განსაზღვრა. შემონახული წარწერების წაკითხვა. სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის საფუძველზე სპეციფიკური სტილისტური ნიშნების გამოვლენა. მოხატულობათა დათარიღება. სხვადასხვა ფერწერული ფენების დადგენა.

გ) სახელმძღვანელო:

№	ავტორი	სათაური	გამომცემ-ლობა	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდენობა	თანაავტორობა
1						
2						
3						
4						

ანოტაცია

გ) სტატია:

№	ავტორი	სათაური	სამეცნ. ორგანო	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	ნოდარ არონიშიძე	**ისტორიული „ბასიანის“ რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში**	ჟურნალი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია #XI	ISSN 2449-285X	37(გვ. 682-719)	თეიმურაზ ხუციშვილი
2	ნოდარ არონიშიძე	**„ქართული არქიტექტურის გზები“ და გიორგი**	საქართველოს სიძველენი, # 27, 2024	ISSN 1512-1321	29 (გვ. 276-308)	

		ჩუბინაშვილის კვლევითი კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი				
3	ნოდარ არონიშიძე	**კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკის რამდენიმე ფრაგმენტის გამო**	ჟურნალი ქართული მწერლობა N5	ISSN 15 12 – 4444	5 (გვ. 51-56)	
4	ნოდარ არონიშიძე	**საბოლოო სიტყვა რესტავრატორისაა!**	ჟურნალი ქართული მწერლობა N8	ISSN 15 12 – 4444	4 (გვ. 43-47)	
5	ნოდარ არონიშიძე	**ღვინიას მონასტერი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ სამცხეში** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ჟურნალი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია #XII	ISSN 2449-285X	38 (გვ.132-154)	თეიმურაზ ხუციშვილი
6	ნოდარ არონიშიძე	**ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაციის სამი ეტაპი (განხორციელებული პროექტი და სარესტავრაციო მეთოდოლოგიური მიდგომების საკითხები)** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ჟურნალი ACADEMIA	ISSN 1512-0899	32	
7	ნოდარ არონიშიძე	**„მშვიდობის“ პროპაგანდისტული ბანერები -**	ჟურნალი ქართული მწერლობა	ISSN 15 12 – 4444	6	

		ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი *(გადაცემულია დასაბეჭდად)*				
8	მარინე ბულია	**გიორგი ჩუბინაშვილი და დავითგარეჯის კვლევები**	საქართველოს სიძველენი, # 27, 2024	ISSN 1512-1321	13 (გვ. 262-275)	
9	მარიამ დიდებულიძე	**იერუსალიმის გამოსახვის თავისებური ნიმუშები შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში**	საქართველოს სიძველენი, #26, 2024	ISSN 1512-1321	15 (გვ. 33-47)	
10	მარიამ დიდებულიძე	**გელათის მოზაიკა** (*დაიბეჭდება 2025 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე)*	კრებული "გელათი - დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა"	ევროპის აკადემიის გამოცემა	30	
11	თამარ დოლიძე	**ქართული მართკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები და მათი მიმართება გუმბათოვან ხუროთმოძღვრებასთან (VIII-X სს.)**	საქართველოს სიძველენი, #27, 2024	ISSN 1512-1321	36 (გვ. 33-72)	
12	კიტი მაჩაბელი	**ადრე შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები - საკრალური სირცის მარკერები**	ხელოვნებისა და მედიის კვლევის საერთაშორისო კრებული, 2022, #2 (14)	ISSN 2667-9914	10 (გვ. 215-225)	

13	კიტი მაჩაბელი	**ჭედური ხელოვნების ქმნილებები ზარზმის მონასტრის საგანძურიდან**	კრებული ბიზანტიური, შუა საუკუნეების ქართული და აღმოსავლეთ ქრისტიანული მონასტრები თბ., 2024	ISBN 978-9941-18464-2	23 (გვ. 29-50)	
14	ქეთევან მიქელაძე	**დავით აღმაშენებლის პორტრეტი გელათში** *(დაიბეჭდება 2025 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე)*	კრებული "გელათი - დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა"	ევროპის აკადემიის გამოცემა	12 (გვ. 295-306)	
15	ქრისტინე საბაშვილი	**საიმპერატორო ინსიგნიები შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე წარმოდგენილ მეფეთა გამოსახულებებზე**	საქართველოს სიძველენი, #27, 2024	ISSN 1512-1321	20 (გვ. 196-213)	
16	მანანა სურამელაშვილი	**ახალი მიკვლევები თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში**	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, V.18 n 3	ISSN – 0132-1447	5 (გვ. 165-169)	ც. ჩაჩხუნაშვილი

17	ნატალია ჩიტიშვილი	**პატრონიკე შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში**	საქართველოს სიძველენი, #27, 2024	ISSN 1512-1321	57 (გვ. 138-195)	
18	ნინო ჭიჭინაძე	**სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის იოანე თოხაბის ერთი ხატის იკონოგრაფიულ-იდეოლოგიური სტრუქტურის შესახებ**	საქართველოს სიძველენი, #27, 2024	ISSN 1512-1321	14 (გვ.124-137)	
19	თამარ ხოსროშვილი	**ფერმწერიდან „ხატწერის მაესტრომდე“ - იტალიელი მხატვარი ლუიჯი ლონგო საქართველოში** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ჟურნალი ACADEMIA	ISSN 1512-0899	10	
20	დავით ხოშტარია	**შენიშვნები თბილისისა და მისი გარეუბნების ბაღებზე (XIX საუკუნის I ნახევარი)**	საქართველოს სიძველენი, 27, 2024.	ISSN 1512-1321	23 (გვ. 239-261)	
21	დავით ხოშტარია	**გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი** *(დაიბეჭდება 2025 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე)*	კრებული "გელათი - დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა"	ევროპის აკადემიის გამოცემა	სტატია-10 გვ.	

22	თამარ ხუნდაძე	**საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში**	ჟურნალი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია #12, 2024-12-20	ISSN 2449-285X	27 (გვ. 487-514)	
23	ლეილა ხუსკივაძე	**ხახულის ღმრთისმშობლის კარედი ხატი** *(დაიბეჭდება 2025 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე)*	კრებული "გელათი - დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა"	ევროპის აკადემიის გამოცემა	24 (გვ. 317-340)	

ანოტაცია

1 ისტორიული „ბასიანის“ რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში

ისტორიული ბასიანის რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებით - გვხვდება, როგორც წინაქრისტიანული ხანის მეგალითური კულტურის ძეგლები ისე შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები, აბანოები, თურბეები და საკულტო დანიშნულების სხვადასხვა ტიპის ნაგებობები. წინამდებარე წერილის კვლევის მთავარ თემას სწორედ ბასიანის რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრება წარმოადგენს. მოკლედ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგიონში საეკლესიო მშენებლობა წარმოდგენილია, როგორც არქიტექტურული ობიექტების, ისე კლდეში ნაკვეთი კომპლექსების სახით, თუმცა მათი ერთმანეთის პარალელურად კვლევა, განსხვავებული სპეციფიკის გათვალისწინებით, შეუძლებელია. ამდენად, წინამდებარე წერილი მოიცავს ბასიანის რეგიონის სამი არქიტექტურული ძეგლის კვლევას - მათ კომპარატივისტულ ანალიზს, მხატვრულ-სტილისტური ნიშნებისა და არქიტექტურული მახასიათებლების გამოკვეთას, ისტორიული კონტექსტის ანალიზს და უშუალოდ ნაგებობათა დათარიღებას.

აღსანიშნავია, რომ სატაძრო არქიტექტურის, ჩვენ მიერ განხილული, ყველა ძეგლი თითქმის სრულადაა განადგურებული და გარდამავალი დაცულობით ხასიათდება, რაც ძლიერ ართულებს კვლევის პროცესს - შესაბამისად, მყარი სამეცნიერო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, წერილის ფარგლებში შესაძლებელი გახდა თავმოყრილი მასალის გარკვეული დაჯგუფება, სტილისტური მახასიათებლების გამოყოფა, კონფესიური კუთვნილების დადგენა და ძეგლთა დათარიღება.

საველე-საექსპედიციო სამუშაოების განმავლობაში შესწავლილი რამდენიმე ათეული ნაგებობიდან, მხოლოდ სამი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლის გამორჩევა გახდა შესაძლებელი, რომელთა გეგმარებითი კომპოზიცია და არქიტექტურული მახასიათებლები მეტ-ნაკლებად მაინც წაკითხვადია. ჩვენ მიერ შერჩეული ყველა ძეგლი გუმბათოვანი არქიტექტურის ნიმუშია და მათი აგების დროითი დიაპაზონი VII-XI საუკუნეებია. რამდენიმე ნაშთი იმდენად დაზიანებულია, რომ მათი კონკრეტული ტიპოლოგიის გარჩევაც კი შეუძლებელია, თუმცა არსებული ფრაგმენტების, მცირე ნაშთებისა და ზოგად-პროპორციული ანალიზის მიხედვით, გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც ხერხდება.

2 „ქართული არქიტექტურის გზები“ და გიორგი ჩუბინაშვილის კვლევითი კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი

სტატია წარმოადგენს გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდების ანალიზის მცდელობას. გ. ჩუბინაშვილის კვლევითი კონცეფცია, რომელიც მან ქართული ხელოვნების შესწავლის პროცესში შეიმუშავა და მასვე მიუსადაგა, განხილულია მისი ერთი ნაშრომის - „ქართული არქიტექტურის გზები“-ს მაგალითზე.

აღნიშნული წიგნი 1936 წელს დაისტამბა და აღსანიშნავია, რომ დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ხსენებული გამოცემა ნათლად, მკაფიოდ და სტრუქტურულად წარმოგვიდგენს ქართული არქიტექტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას - ქართული ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბება-განვითარების, სამეტყველო ენისა და თვითმყოფადი კულტურული იმპულსების გათვალისწინებით. გ. ჩუბინაშვილის ეს ნაშრომი სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ცხადია, კარგადაა ცნობილი, თუმცა სტატიაში მოცემულია მისი სხვადასხვა ასპექტები.

3 კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკის რამდენიმე ფრაგმენტის გამო

პუბლიკაცია წარმოადგენს ნახევრად-სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ეძღვნება საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვასა და ამ მიმართულებით არსებულ სისტემურ პრობლემებს. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ფართო წრისთვის ცნობილი იყოს და ხელმისაწვდომი ის ინფორმაცია, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, მხოლოდ პროფესიული წრის განხილვის საგანს წარმოადგენს ხოლმე. ამდენად, ჩვენი ეს და კიდევ რამდენიმე წერილი წარმოადგენს მცდელობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები და ამ სფეროში არსებული პრობლემები ფართო აუდიტორიის განხილვის საგნად ვაქციოთ.

სტატია შეეხება საქართველოში 2021 წლიდან კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს. კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება, მისი მართვა, სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია და უდიდესი

გამოცდილების მქონე კადრების პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან გათავისუფლება - ეს ის საკითხებია, რომლებმაც აშკარად და მკაფიოდ დაგვანახა დარგში არსებული კრიზისი და სისტემური უსუსურობა, რომელსაც მოჰყვა ათობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არასწორი რესტავრაცია (ნაწილის დაშლა-განადგურება) და არაერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციისა თუ პროექტის შეფერხება, შეჩერება ან შეწყვეტა.

4 საბოლოო სიტყვა რესტავრატორისაა!

პუბლიკაცია წარმოადგენს ნახევრად-სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ეძღვნება საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვასა და ამ მიმართულებით არსებულ სისტემურ პრობლემებს.

სტატიაში ძირითადი აქცენტი გადატანილია რამდენიმე ძეგლის რესტავრაციის ხარვეზზე - მათ შორისაა ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ტიმოთესუბანი, დოლოჭოპის ბაზილიკა და ქოროთოს არქიტექტურული კომპლექსი და განსაკუთრებით ზურგიანი კოშკი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სფეროს აქტიური კრიტიკის შედეგად საზოგადოებრივ მაუწყებელში მოეწყო გადაცემა უშუალოდ ამ თემების განხილვის მიზნით, სადაც კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ოფიციალურმა პირმა „გაახმიანა განწყობა“, რომელიც სისტემის აშკარა ნაკლოვანებებზე მიუთითებდა. მათ შორის იყო ფრაზები, რომ „ხელოვნებათმცოდნეობა ნაყვაა წყლის“ და რომ რესტავრაციის პროცესში „ბოლო სიტყვა რესტავრატორისაა!“ სწორედ ამ დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები გამოვიტანეთ ჩვენც ნაშრომის სათაურად, სადაც მკაფიოდ ჩანს სისტემური ხარვეზები, რომლებიც იწვევს ათეულობით ძეგლის არასწორ რესტავრაციასა და ზოგჯერ განადგურებას.

5 ღვინიას მონასტერი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ სამცხეში

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ისტორიული საქართველოს პროვინციები, რომლებსაც პირობითი სახელდებით ტაო-კლარჯეთის სახელწოდებაში აერთიანებენ - ეს მხარეებია: სამცხე (ფოცხოვისწყლის ზემო წელი), ერუშეთი (ნაწილი), ჯავახეთი (კარწახის ტბის მიდამოები), არტანი (ცენტრალური ნაწილი და კუთხე ფოსო), პალაკაციო (ჩრდილის ტბის მიდამოები), კოლა, მაჭახელი (მაჭახელისწყლის ზემო წელი), შავშეთი, კლარჯეთი (ცენტრალური ნაწილი, კუთხე ნიგალი და კუთხე ეგრის აღმოსავლეთი ნაწილი), ამიერ ტაო (ოლთისისწყლის აუზის ჩრდილოეთი ნაწილი და კუთხე პარხალი), იმიერ ტაო (ოლთისისწყლის აუზის სამხრეთი ნაწილი, ჭოროხის ხეობის ნაწილი, კუთხე თორთომი და კუთხე ნარიმანი), ქვემო სპერი.

XVI საუკუნიდან ისტორიული საქართველოს სამხრეთის (მესხეთის) ეს ნაწილი ოსმალური თურქეთის შემადგენლობაში იყო. აქედან მოყოლებული იწყება ამ მხარეებში ქართული კულტურის თანდათან დაკნინება და დროთა განმავლობაში მისგან მხოლოდ რამდენიმე ათეული ქართულენოვანი სოფელი, ისტორიული ტოპონიმი და არტეფაქტიღა რჩება, არქიტექტურის და

არქეოლოგიური ძეგლების, მოხატულობის, ხელნაწერების, ხატებისა თუ ლაპიდარული წარწერების სახით.

XIX საუკუნეში, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, მესხეთის მხარეების მნიშვნელოვანი ნაწილები, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა თუ სხვა ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო ქართული და სომხური კულტურის ძეგლების კვლევა შემოერთებულ ტერიტორიებზე. შესწავლილ იქნა თურქეთში მდებარე საქართველოს ისტორიული მხარეების ასეულობით არქიტექტურული ძეგლი და მათთან დაკავშირებული ხელნაწერები თუ არტეფაქტები. მესხეთთან დაკავშირებული ძველი ხელნაწერები და ნივთები ძირითადად საქართველოს სიძველეთსაცავებშია დაცული, თუმცა ბევრია უცხოეთის მუზეუმებში არსებული მესხური კულტურის არტეფაქტებიც.

ტაო-კლარჯეთის მრავალწლიანი კვლევა-ძიების მიუხედავად, რჩება არაერთი საკითხი, რომელთა დაზუსტება თუ ხელახალი შესწავლა უცილობლად საჭიროებს თანამედროვე ქართველი ჰუმანიტარული მეცნიერების აქტიურ ჩართულობას. სწორედ ასეთი, ვფიქრობთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, საკითხია აღნიშნულ ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსების იდენტიფიცირება. სწორედ ამ თვალსაზრისით წინამდებარე წერილი არსებით სამეცნიერო სიახლეს გვთავაზობს, სადაც ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიური მიდგომით დასაბუთებულია ისტორიულ სოფელ „ღვინიაში“ მონასტრის იდენტიფიცირება, რომელიც მანამდე, სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო, როგორც მხოლოდ ეკლესია.

6 ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაციის სამი ეტაპი (განხორციელებული პროექტი და სარესტავრაციო მეთოდოლოგიური მიდგომების საკითხები)

სტატიაში განხილულია კონკრეტულად ერთი ძეგლის რესტავრაციის საკითხები - ესაა ხინოწმინდის იოანე ნათისმცემლის X-XI საუკუნეების ეკლესია, რომლის რესტავრაციის იდეა ჯერ კიდევ 2006 წლიდან არსებობდა. საამისოდ, მაშინვე მომზადდა სარესტავრაციო პროექტი, რომელსაც თან ერთოდა საკმაოდ კვალიფიციურად შესრულებული სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, თუმცა მისი ფიზიკური სამუშაოები, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, არ განხორციელდა.

2016-2017 წლებში საკითხი ხელახლა დაისვა, თუმცა ამ ეტაპზეც, მიუხედავად მრავალმხრივი კვლევებისა, რესტავრაციის იდეა უგულებელყოფილ იქნა პროფესიონალთა მხრიდან, რადგან რესტავრატორთა და ხელოვნების ისტორიკოსთა მოსაზრებით, არ არსებობდა საკმარისი, ხელშესახები მასალა ძეგლის დასრულებისთვის. ამდენად, ამ ეტაპზე განხორციელდა მხოლოდ ძეგლის კონსერვაცია, რაც ჩვენი ხედვით, ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო ასეთი მნიშვნელობისა და სირთულის ძეგლისთვის.

2021 წლიდან აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ განახლდა, ამჯერად იმ მმართველობის პირობებში, რომლის ხედვა აბსოლუტურად ვერ უძლებდა ვერავითარ კრიტიკას. სწორედ ამ დროს გადაწყდა კონსერვირებული ძეგლის უკვე

რესტავრაცია, რომლის საპროექტო და განხორციელებული სამუშაოებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და აბსოლუტურადაა აცდენილი რესტავრაცია-კონსერვაციის დარგში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

7 „მშვიდობის“ პროპაგანდისტული ბანერები - ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი

სტატია წარმოადგენს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიისას მმართველი პარტიის მიერ გამოქვეყნებული და საჯარო სივრცეში განთავსებული პროპაგანდისტული ბანერების სახელოვნებათმცოდნეო ანალიზს. წერილის მიზანია, საზოგადოებამ მკაფიოდ და ნათლად დაინახოს თუ რა დამატებითი კონტექსტები და ქვეტექსტები იკითხება „ქართული ოცნების“ ბანერების მიღმა.

ესაა ბანერები, რომელთა ზოგადი შინაარსი ასეთი იყო - „არა ომს, აირჩიე მშვიდობა“ - ამ შინაარსის გამომხატველად კი წარმოდგენილი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსახულებები, სადაც მშვიდობის მხარეს გამოსახული იყო საქართველო და მისი „განვითარების“ ამსახველი ფოტოები, ხოლო ომის მხარეს უკრაინა და, მიმდინარე ომის შედეგად, იქ განადგურებული ინფრასტრუქტურა. აღნიშნული წარმოადგენდა მიზანმიმართულ მცდელობას საკუთარი მოსახლეობის დაშინების, დაზაფვრის და, რაც მთავარია, შეცდომაში შეყვანის. უკრაინა ისევე, როგორც ქართული ოპოზიციური პარტიები და, საზოგადოდ, მთელი დასავლური სამყარო, აღნიშნული ბანერების მიხედვით წარმოადგენდნენ ბნელ მხარეს, რომელსაც სურდა და, ამ ნარატივის მიხედვით, დღესაც სურს, საქართველოს ომში ჩათრევა, მისი განადგურება, ღირსების აყრა, ღირებულებათა უგულებელყოფა და ა.შ. რაც, ცხადია, აბსოლუტური აბსურდია, თუმცა მიზანი სწორედ ამ აბსურდის პროპაგანდირებაა.

8 გიორგი ჩუბინაშვილი და დავითგარეჯის კვლევები

გიორგი ჩუბინაშვილის მეტად მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში გამორჩეული ადგილი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში დაწყებულ, დავითგარეჯის მრავალმთის ძეგლების კვლევას უკავია.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გარეჯის მონასტრები არაერთი წიგნიერი მოგზაურისა თუ საეკლესიო სიძველეთა მოყვარულის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, მაგრამ სწორედ გ. ჩუბინაშვილმა დაუდო დასაბამი მრავალმთის ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის, ამასთან კი, ზოგადად, საქართველოში კლდეში ნაკვეთი კომპლექსების გეგმაზომიერ მეცნიერულ შესწავლას. გ. ჩუბინაშვილმა განსაზღვრა გარეჯის თანამედროვე კვლევების ძირითადი მიმართულებები, მისი ნაშრომი *Пещерные монастыри Давид-Гареджи* იძლევა იმ საბაზისო ცოდნას, რომელსაც დღესაც ეფუძნება ეს მრავალდარგობრივი კვლევები.

სტატიაში განხილულია ის უმნიშვნელოვანესი საკითხები რომლებიც გ, ჩუბინაშვილმა წამოჭრა თავის ნაშრომში და რომლებმაც დიდი გავლენა იქონია არა

მხოლოდ გარეჯის ძეგლების, არამედ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების შემდგომ კვლევებზე.

9 იერუსალიმის გამოსახვის თავისებური ნიმუშები შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში

ქალაქ იერუსალიმის გამოსახულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ კულტურაში და ხელოვნებაში, რადგან იგი არის მიწიერი სახე ზეცათა სასუფევლისა, ზეციური იერუსალიმისა, რომლისკენაც მიისწრაფვის ყოველი ქრისტიანის სული.

განსაკუთრებით საგულისხმოა მადაბას VI საუკუნის იატაკის მოზაიკა წმინდა მიწის ტოპოგრაფიული რუკით, სადაც გამოსახულია იერუსალიმის ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა

შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ქალაქ იერუსალიმის გამოსახულება სხვადასხვა სცენაში გვხვდება. იერუსალიმის ყველაზე მეტი გამოსახულება, ცხადია, *გზობაში* ანუ *იერუსალიმად შესვლის* სცენაშია, რომელიც გამოხსნილი კაცობრიობის სასუფეველში შესვლის, ადამიანის ზეციურ მამულში „დაბრუნების“ წინასახეა.

შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში გზობის მრავალრიცხოვანი ნიმუშებია შემორჩენილი. უამრავ ნაწარმოებს შორის სახით-მეტყველებითი თვალსაზრისით ნიშანდობლივია რამდენიმე, განსაკუთრებით საინტერესო ნიმუში.

XIII საუკუნის თანღილის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა (ზემო სვანეთი) გვთავაზობს ამ სცენის საკმაოდ იშვიათ ვერსიას. კომპოზიციის მარცხენა ნაწილში, მაცხოვრისა და მოციქულების ფიგურათა „უკან“ გამოსახულია მთა დაბალი ბორცვის სახით. მის თხემზე საფეხუროვან კვარცხლბეკზე აღმართულია ჯვარი, რომელიც ერთგვარი წინასწარუწყებაა და სახე მომავალი ჯვარცმისა, რაც ამ ბორცვს გოლგოთას მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა ამისა, ჯვრის გვერდით დაბალი ნაგებობაა, რომელიც ერთნავიან ეკლესიას ჰგავს – სვანური ეკლესიების ტიპურ ფორმას, სავარაუდოდ, ქრისტეს საფლავის ეკლესიას განასახიერებს.

ქალაქ იერუსალიმის ორიგინალური ინტერპრეტაციაა XVI საუკუნის ჭალის წმ, გიორგის ეკლესიის მოხატულობაში. ქალაქ იერუსალიმის გამოსახულებას გარეგნულად არასტანდარტული ფორმა აქვს – იგი უფრო ჰგავს ორი კოშკით ფლანკირებულ ტაძარს, თანაც არც გალავანი აქვს და არც ნაგებობები მის შიგნით; და რაც მთავარია, ქართული ასომთავრული წარწერა განმარტავს მას „საყდარი“ – კიდევ ერთი მინიშნება ამ ქალაქის საგანგებო მნიშვნელობაზე.

გზობის საკმაოდ უნიკალური სახეა მოცემული ამაშუკეთის ღმრთისმსობლის ეკლესიის XVI საუკუნის მოხატულობაში ქალაქი იერუსალიმი გამოსახულია მრავალსართულიანი, ჰორიზონტალურად გაშლილი,

ნაგებობის სახით, თუმცა კარიბჭის გარეშე მის წინ კი დგას ერთადერთი ფიგურა – ღმრთისმშობელი მარიამი – ერთმნიშვნელოვნად ამ სცენის სიმბოლური სახით-მეტყველებითი არსის გამოხატულება – მიწიერი ეკლესია, ზეცათა სასუფევლისკენ გახსნილი კარი, დაუტევნელი უფლის დამტევებელი, ზეციური იერუსალიმის მიწიერი სახე.

10 გელათის მოზაიკა

სტატიაში განხილულია გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის კონქის შემამკობელი მოზაიკა. განხილულია მისი შექმნის ისტორია, მისი შექმნელი ოსტატების წარმომავლობის საკითხი, ასევე ამ კომპოზიციის იკონოგრაფია და მხატვრული სახე. სტატიაში გაზიარებულია ცნობილი ქართველი მეცნიერის თინათინ ვირსალაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გელათის მოზაიკის შემოქმედი ბიზანტიაში განსწავლული ქართველი მხატვარი იყო.

გელათის მოზაიკა მე-12 საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის გამორჩეული ნიმუშია. იგი ტოლს არ უდებს თანადროულ ბიზანტიურ ნაწარმოებებს, თუმცა ბევრი თვალსაზრისით გამოირჩევა მათგან და სპეციფიკურად ქართული კედლის მხატვრობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს.

11 ქართული მართკუთკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები და მათი მიმართება გუმბათოვან ხუროთმოძღვრებასთან (VIII-X სს.)

სტატიაში განხილულია ქართული მართკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიების მიმართება გუმბათოვან არქიტექტურასთან. საქართველოში, როგორც წესი, საკურთხევლის სივრცე გადახურულია კონქით ან ცილინდრული კამარით. კონქიან IX-X საუკუნეების ნიმუშებს შორის გამოიყოფა ნაგებობათა ჯგუფი, სადაც საკურთხეველი გარკვეულ სიმაღლემდე სწორკუთხაა და ზევით კი ნახევარწრიული ხდება.

სტატიაში გაანალიზებულია სწორედ ამ ჯგუფის ეკლესიების თავისებურებები და მათი ხუროთმოძღვრული რაობა. გარდა ამისა, გადაიხედა ასევე კლიკის ჯვრის, ცხავატისა და ზონკარის ეკლესიების დათარიღების საკითხი და ქოროღოს ეკლესიის ზოგიერთი არქიტექტურული თავისებურება.

12 ადრე შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები - საკრალური სივრცის მარკერები

სტატიაში ჩამოყალიბებულია ქვაჯვარათა ფუნქციის ახლებური ხედვა, წარმოჩენილია მათი მნიშვნელობა საკრალური სივრცის შექმნაში. ქვაჯვარას სვეტი განიხილება, როგორც „სამყაროს სვეტის“ – Axis Mundi-ს მოდელი.

13 ჭედური ხელოვნების ქმნილებები ზარზმის მონასტრის საგანძურიდან

სტატია ეძღვნება ზარზმის მონასტრის საგანძურში არსებულ ჭედური ხელოვნების ქმნილებებს. საეკლესიო ხელოვნების ნიმუშები (ხატები,

სამწერობლები, ჭედური რელიეფების ფრაგმენტები) განხილულია წერილობითი წყაროების მონაცემებისა და საკუთრივ ხელოვნების ნიმუშების მხატვრული ანალიზის გამოყენებით.

14 დავით აღმაშენებლის პორტრეტი გელათში

გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში XVI საუკუნის იმერეთის სამეფო ოჯახთა (ბაგრატ III, დედოფალი ელენე, მეფე გიორგი II, დედოფალი რუსუდანი და უფლისწულ ბაგრატი) და აფხაზეთის კათოლიკოს ევდემონ I ჯგუფური პორტრეტის თავში გამოსახულია დავით IV აღმაშენებელი. როცა ეს კომპოზიცია შეიქმნა დავით IV დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ მოხატულობის მომგებლებმა (გიორგი II-მ და კათოლიკოსმა ევდემონმა) მისი, როგორც მონასტრის დამაარსებლისა და ღმრთისმშობლის ტაძრის ამშენებლის გამოსახვა აუცილებლად მიიჩნიეს. დავითი ქტიტორადაა წარმოდგენილი ეკლესიით ხელში. საქტიტორო რიგის თავში დავითის გამოსახულების მოთავსებით იმერეთის მეფეები ერთიანი საქართველოს უზენაესი მმართველისგან, დავით IV-სგან თავის წარმომავლობასა და მემკვიდრეობითობას უსვამდნენ ხაზს.

დავითის პორტრეტი იმერეთის მეფეთაგან გამიჯნულია, მათგან ინტერვალით არის დაშორებული. მისი ფიგურის ასწვრივ მოხატულობის ფონზე არსებული ნაკერი მიუთითებს, რომ დავითის გამოსახულება და მასთან ერთად უფლის მარჯვენაც ქტიტორთა რიგს მოგვიანებით დაემატა, თუმცა ეს მალევე მოხდა, რადგან, სტილურად ამ რიგის გამოსახულებები ერთნაირია. მკვლევართა მოსაზრებით, დავით აღმაშენებლის პორტრეტს ტაძრის თავდაპირველი მოხატულობაც (XII ს.) შეიცავდა, რაც სავსებით მოსალოდნელია. თუ ეს, მართლაც, ასე იყო, მაშინ, სავარაუდოა, რომ ის დღევანდელი პორტრეტის ადგილას იქნებოდა მოთავსებული და, უთუოდ, მომგებლად, ეკლესიით ხელში. სხვა ელემენტებით, დავით აღმაშენებლის გამოსახულება განსხვავდება XI-XIII სს–ის კედლის მხატვრობაში მიღებული მეფეთა პორტრეტებისგან; ისეთივე სამოსითა და ფრონტალური პოზითაა წარმოდგენილი, როგორითაც XVI ს–ის იმერეთის მეფეები. მაგრამ დავით აღმაშენებლის პორტრეტში ისეთი დეტალებიცაა (სახის ტიპი, დიდი ზომა და გამართული პროპორციები და სხვა), რომელიც მას ამ უკანასკნელთაგან განასხვავებს და გვაფიქრებინებს, რომ მხატვარი იცნობდა დავით აღმაშენებლის სხვა, უფრო ადრინდელ გამოსახულებას, რომელიც გელათის ეკლესიის პორტრეტისთვის ნიმუშად გამოიყენა.

15 საიმპერატორო ინსიგნიები შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე წარმოდგენილ მეფეთა გამოსახულებებზე

სტატია ეხება ქართულ მონეტებზე წარმოდგენილ სამეფო პორტრეტებს და სამეფო ინსიგნიებს. მასში განხილულია ორი მეფის, დავით IV-ის და გიორგი IV-ის სამეფო გამოსახულებები და მათი ინსიგნიები.

16 ახალი მიკვლევები თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში

ნაშრომში განხილულია თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბან ქვემო კალაში, ახლანდელ ლ. გუდიაშვილის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ორი საცხოვრებელი სახლი: ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/ ბ. ახოსპირელის I ჩიხი №1 და გ. აბესაძის ქ. №21. 2007 წლიდან ძეგლად აღრიცხული ეს შენობები სპეციალური კვლევის საგანი აქამდე არ გამხდარა.

ლ. გუდიაშვილის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია შუა საუკუნეების ქალაქის ერთ-ერთ საცხოვრებელ და სავაჭრო ფუნქციის მქონე მიკროუბანს წარმოადგენდა. ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ის ბაზრის მოედნის სახელითაცაა მოხსენიებული. აქ სახლობდნენ შეძლებული და წარჩინებული წარმომავლობის ოჯახები.

2018-2019 წლებში მიმდინარე რეაბილიტაციის დროს გაირკვა, რომ ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლები შეიცავს XVII, XVIII, XIX სს-ის შუა ხანების და XIX-ს-ის დასასრულის სამშენებლო ფენებს. საინტერესო და აქამდე უცნობი მასალები გამოვლინდა მათ შესახებ საარქივო კვლევის შედეგად, რაც მრავლისმთქმელია შუა საუკუნეების და XIX საუკუნის თბილისის ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად. სხვა უახლეს აღმოჩენებთან ერთად, ლ. გუდიაშვილის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ორი საცხოვრებელი სახლის შესწავლამ შესწორება შეიტანა გასული საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებაში, რომლის მიხედვით, თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის უწყვეტი საქალაქო ცხოვრების მიუხედავად, თბილისში არ შემონახულა ძველი საცხოვრებელი სახლები.

17 პატრონიკე შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში

შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურაში, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქრისტიანოში, მეორე სართულის გალერეები ფართოდ გამოიყენება როგორც დამხმარე ლიტურგიული სივრცეები. ზედა გალერეები აქტიურად გვხვდება ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ არქიტექტურაში სხვადასხვა საერო დანიშნულების შენობებში. ეს იყო მულტიფუნქციური სოციალური სივრცე, რომელიც დიდ როლს თამაშობდა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს არქიტექტურული კონცეფცია ქრისტიანულ მშენებლობაში მემკვიდრეობით გადმოვიდა რომაული ხუროთმოძღვრებიდან და აქტიურად გამოიყენებოდა უკვე პირველ დიდ საეკლესიო ნაგებობებში. ზედა გალერეები ადრებიზანტიური საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთ მახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს. ესაა სტრუქტურულად და ესთეტიკურად მნიშვნელოვანი ფორმა, რომელიც შენობის ფუნქციური დატვირთვის გაზრდის და გაუმჯობესების საშუალებას იძლევა და, ასევე, ხელს უწყობს ინტერიერის ვიზუალური გამომსახველობის აღქმას.

სტატიაში მოკლედაა განხილული პატრონიკეთა არქიტექტურა ბიზანტიურ საეკლესიო არქიტექტურაში, წერილობით წყაროებში შემორჩენილი ტერმინოლოგია და ძირითადი ნაწილი ეთმობა საქართველოში არსებულ

პატრონიკეებს, მათ ტიპოლოგიას და არქიტექტურულ მახასიათებლებს, მათ ფუნქციასა და ქართულ შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში არსებულ ტერმინოლოგიას.

18 სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის იოანე თოხაბის ერთი ხატის იკონოგრაფიულ-იდეოლოგიური სტრუქტურის შესახებ

სტატიაში განხილულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართველი ბერ-მონაზვნის ერთ-ერთი ხატი (მე-11-12 სს.), რომელიც რთული და კომპლექსური კომპოზიციური და იდეური სტრუქტურით ხასიათდება. ხატზე გამოსახულია დედაღვთისას ხუთი გამოსახულება, უფლის სასწაულები და ვნებები.

კომპოზიციურ-იკონოგრაფიული და იდეოლოგიური ასპექტების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია აღნიშნულ ციკლთა კავშირი ღვთისმშობლის ხატებებთან, საკუთრივ მარიამის ხატების სასწაულმოქმედ ხატთა კავშირი სასწაულებთან და ვნებებთან, რაც თავის მხრივ ხსნის დასაწყისად არის მოაზრებული.

19 ფერმწერიდან „ხატწერის მაესტრომდე“ - იტალიელი მხატვარი ლუიჯი ლონგო საქართველოში

თბილისის საისტორიო არქივში რამდენიმე დოკუმენტია დაცული, რომლებშიც ლონგოს შესახებ დღემდე გამოუქვეყნებელი მასალაა თავმოყრილი მის მიერ რესტავრირებული მხატვრობების თუ ეკლესიების მოხატვების შესახებ. ლუდვიგ ლონგოს ჩაუტარებია 1870-იან წლებში სიონის მხატვრობის რესტავრაცია, თანაც ორჯერ. ასევე მარტყოფის ეკლესიის მოხატულობის რესტავრაციაც. 1890-იან წლებში კი ლონგომ ჯერ თბილისის სამების ეკლესია მოხატა, შემდეგ კი, თბილისის ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი.
თემაში განხილულია საეკლესიო მხატვრობაში შესრულებულ რამდენიმე მასშტაბური პროექტი, რომელთა კვლევა ძირითადად საქართველოს საისტორიო არქივსა და პერიოდიკაში არსებული მასალის საფუძველზე განხორციელდა.

20 შენიშვნები თბილისისა და მისი გარეუბნების ბაღებზე (XIX საუკუნის I ნახევარი)

თბილისსა და მის შემოგარენში მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა ბაღებისა, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამკობდა ქალაქს. მათი შემცირებისა თუ გაქრობის პროცესი იმავე საუკუნეში დაიწყო და დღემდე გრძელდება. შედეგად, ამ ბაღების საერთო იერი, გეგმარება, სივრცობრივი სტრუქტურა, ფლორა, ინფრასტრუქტურა და დეკორატიული ღირებულება მხოლოდ ირიბი მონაცემებით შეიძლება იქნას შესწავლილი. სტატია წარმოადგენს ამ საკითხების კვლევისა და ბაღების სოციალური და კულტურული როლის შეფასების ცდას. მასში

განხილულია ორთაჭალის, კრწანისისა და სოლოლაკის ბაღები, მუშთაიდის ბაღი, მეფისნაცვლის სასახლის ბაღი, ბოტანიკური ბაღი და კერძო ბაღები.

XIX საუკუნის I ნახევარი თბილისში და, ზოგადად, საქართველოში ახალი დროის დასაწყისია. არაერთმნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ამ დრომ მოიტანა, კარგად არის ცნობილი. იმდროინდელი თბილისური ბაღები გვიჩვენებს მრავალფეროვან სურათს, რომელიც ცოცხლად ასახავს მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებს.

21 გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი

1106-1130 წლებში აგებული ღმრთისმშობლის შობის ტაძარი XII საუკუნის ყველაზე დიდი საეკლესიო შენობაა. ზომით ის ჩამოუვარდება XI საუკუნის გრანდიოზულ კათედრალებს, მაგრამ ბევრად სჭარბობს თამარის ეპოქის სამონასტრო ეკლესიებს. ტაძარი გელათის მონასტრის მთავარი ნაგებობაა როგორც ზომით, ისე მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით.

გელათის ტაძრის არქიტექტურული კომპოზიცია მიჰყვება სამთავისსა და სამთავროში შემუშავებულ ზოგად სქემას, მაგრამ უშუალო პროტოტიპი მას არ გააჩნია. ნაგებობის ძირითადი ბირთვი წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე ოდნავ წაგრძელებულ „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის სტრუქტურას ფართო ნათელი სივრცით. აღმოსავლეთით გეგმის მართკუთხედიდან გამოწეულია სამი წახნაგოვანი აფსიდი. დასავლეთით ტაძარს აქვს ნართექსი, სამხრეთით და ჩრდილოეთით - XII-XIII საუკუნეთა მანძილზე მიშენებული ეგვტერები და კარიბჭეები. შვერილი აფსიდებითა და სარკმლების დიდი ზომითა და სიმრავლით გელათი აფხაზეთის X-XI საუკუნეების ნაგებობებს მოგვაგონებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნათესაობა ბიჭვინთის კათედრალთან, რამაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის სიძველეთმცოდნეებს აფიქრებინა, რომ გელათის ტაძრის გეგმა ბიჭვინთიდან უნდა ყოფილიყო გადმოღებული. მოზაიკით შემკულ, კარგად განათებულ ხალვათ სივრცეში შეიძლება დავინახოთ ბიზანტიური არქიტექტურის ანარეკლი, რაც უნდა ასახავდეს დავით აღმაშენებლის ეპოქაში გაძლიერებულ ორიენტაციას ბიზანტიურ კულტურაზე.

ორნამენტული მორთულობის თითქმის სრული უქონლობა გელათის ტაძრის საფასადო გაფორმების ის თავისებურებაა, რომელიც მკვეთრად განასხვავებს მას როგორც უფრო ადრინდელი (XI საუკუნის I ნახევრის), ისე გვიანდელი (თამარის ეპოქის) უხვად მოჩუქურთმებული ეკლესიებისაგან. მსგავსი სურათი XII საუკუნის I ნახევრის კიდევ ორ მნიშვნელოვან ნაგებობაში (თიღვის მონასტრის ეკლესია, შიომღვიმის ღმრთისმშობლის ტაძარი) გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ეპოქის საერთო ტენდენციასთან, ერთგვარ „მკაცრი სტილთან“. დამკვიდრებული აზრით, დავით აღმაშენებლისა და მისი ასულის დაკვეთით აგებული ტაძრების გარე სახის სისადავე უნდა უკავშირდებოდეს ქრისტიანობის სოციალურ-ეთიკური იდეალების გიორგი მთაწმინდელისეულ გაგებას, რომელიც გაცხადებულია მის ცნობილ სიტყვებში ანონიმი ეპისკოპოსისადმი.

22 საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში

სტატიაში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში არსებული საერო პირთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა; საერო ხელისუფალთა რელიეფური გამოსახულებების, მათი ატრიბუტიკისა და თანმხლები წარწერების მეშვეობით, წარმოჩენილია შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების გამომხატველი რეგალიები, საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაცია და ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები; მოხმობილია ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები.

სტატიაში, ასევე, ყურადღება ეთმობა საერო ხელისუფალთა სკულპტურული გამოსახულებების ტაძართა ხუროთმოძღვრულ სტრუქტურაში განთავსებისა და მხატვრული გადაწყვეტის საკითხებს - გამოვლენილია თუ როგორ აისახა ამ რელიეფებზე თანადროული ქართული სახვითობის არტისტული ტენდენციები - ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელება, სტილური ინოვაციები და მეზობელი ქვეყნების ხელოვნების გავლენები.

23 ხახულის ღმრთისმშობლის კარედი ხატი

ხახულის კარედი ხატი სამნაწილიანი ტრიპტიქონია, ჭედური ორნამენტებით, მრავალი მინანქრით, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით შემკული. კარედი, როგორც ღვთისმშობლის X საუკუნის ხატის ჩასასვენებელი, დავით აღმაშენებლის თაოსნობით, მისი მემკვიდრის დემეტრე I-ის დროს (1125-1156 წწ.) შეიქმნა.

ტრიპტიქონის გარე-მოჭედილობას X ს–ის კარედის შემორჩენილი ნაწილი შეადგენს. იგი ვერცხლისაა, მცენარეული გამოსახულებებით. კარედის ცენტრალური ნაწილი მაღალი სინჯის ოქროსია, ფრთები – მოოქრული ვერცხლის, ორნამენტთა რელიეფი შედარებით მაღალია. ტრიპტიქონის შიდა და გარე ზედაპირის მცენარეული სახეები სამოთხის ბაღის სიმბოლიკას და ხსნის იდეას ასახავს. კარედის მინანქრები (სულ 115 მინანქარია), ძირითადად, ტიხრულია; XIX ს-ის რამდენიმე ფერწერული მინანქრით კი ძველებია ჩანაცვლებული. ტიხრული მინანქრები ქართული ხელობისაცაა და ბიზანტიურიც. ქართულნი დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის (VIII საუკუნიდან XII ს–ის პირველი ნახევრის ჩათვლით). ხახულის კარედის ჰარმონიული, მდიდრული ანსამბლი შუა საუკუნეების დეკორატიული ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლია.

დ) პუბლიკაციები უცხოეთში:

მონოგრაფია/წიგნი:

№	ავტორი	სათაური	გამომცემ-ლობა	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	ეკატერინე გედევანიშვილი	**Under the Sign of The Cross – the Georgian Facade Decoration and its Historical and Religious Context**	Brill		33	

ანოტაცია

1 **Under the Sign of The Cross – the Georgian Facade Decoration and its Historical and Religious Context**

ნაშრომის მიზნად ისახავს ქართული საფასადო შემკულობის იკონოგრაფიულ ანალიზს.

ქართულ ტაძრებში წარმოდგენილი ჯვრის აპოთეოზის თემატიკა დაკავშირებულია საქართველოში მიმდინარე მონოფიზიტ-დიოფიზიტთა შორის არსებულ საღვთისმეტყველო პოლემიკასთან. საგანგებოდაა განხილული საქართველოს სულიერ ისტორიაში მცხეთის ჯვრის მნიშვნელობა, მასთან ერთად კი საქართველოს ეროვნული რელიკვია - წმ. ნინოს ვაზის ჯვარი.

სტატია:

№	ავტორი	სათაური	სამეცნ. ორგანო	გამოც. ადგილი და კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	მარინე ბულია	**Rethinking the Labels: Wall Paintings by Royal Painter Tevdore in the Georgian Highlands**	ჟურნალი Zograf	ბელგრადი , სერბეთი ISSN: 0350-1361; eISSN: 2406-0755	18	მზია ჯანჯალია

		(გადაცემულია დასაბეჭდად)				
2	ეკატერინე გედევანიშვილი	**Mobility of Text: A key to Understanding the Murals of the Svipi Fasade Painting** *(დაიბეჭდება 2025 წ.)*	Sacred Mobilities in Byzantium and Beyond, People Objects and relics, Series: The Medieval Mediterranean, Vol. 140	Brill	31 (გვ. 72-103)	
3	მარიამ დიდებულიძე	**The Cycle of the Life of St. Nicholas in the 13th c. mural painting in Kintsvisi church, Georgia** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	კრებული Saint Nicholas	გამომცემლობა Ultreya, მილანი, იტალია	7 (გვ. 35-41)	
4	ეთერ ედიშერაშვილი	**Late Medieval and Early Modern Georgian Illuminated Documents: State of Study and Research Perspectives** *(გადაცემულია დასაბეჭდად 2026)*	Rivista di Storia della Miniatura, 2026	ROME ISBN: 9788891333889 ISSN: 1126-4772	15	
5	ირინე ელიზბარაშვილი	**რუსუდან გვერდწითელის**	The Global Encyclopedia of Women in	ლონდონი-ნიუ-იორკი	2	

		ცხოვრება და მოღვაწეობა *(პუბლიკაცია შედგება 2025 წელს)*	Architecture 1960-2015. Bloomsbury Encyclopaedia			
6	კიტი მაჩაბელი	**Adaptation of Elements of Sasanian Art in Early Christian Georgian Reliefs**	"Hunara" Journal of Ancient Iranian Arts and History, vol. 2, N 2, 2024	Casa Editrice Persiani in Bologna, Italy, EISSN: 2975-1608	21 (გვ.107 -127)	
7	მანანა სურამელაშვილი	**რუსუდან მეფისაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა** *(პუბლიკაცია შედგება 2025 წელს)*	The Global Encyclopedia of Women in Architecture 1960 – 2015. Bloomsbury Encyclopaedia	ლონდონი-ნიუ-იორკი	2	
8	თამარ ხუნდაძე	**Royal "Portraits" and Their Attributes as Represented in 10th-11th c. Georgian Sculpture**	Artists and Craftsmen on the Road. Georgian Medieval Architectural Sculpture in Interaction with Byzantine, Seljuks and Armenian, 2024	Weißenhorn, ISBN:987-3-87437-630-3	12 (გვ.101 -112)	ქრისტინე საბაშვილი

ანოტაცია

1 Rethinking the Labels: Wall Paintings by Royal Painter Tevdore in the Georgian Highlands

"მეფის მხატვარ" თევდორეს მოხატულობები საქართველოს მთიან რეგიონში, სვანეთში, იმ იშვიათ შემთხვევათაგანია შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში, როდესაც ერთი ავტორის რამდენიმე დოკუმენტურად

დადასტურებული ნიმუშია ცნობილი (იფრარი, 1096; ლაგურკა 1112; ნაკიფარი, 1130). მოხატულობების საქტიტორო წარწერებში დამკვეთთა ვინაობა, შესრულების წლები, მხატვრის სახელი და მისი გამორჩეული „მეფის მხატვრის“ სტატუსია დასახელებული. მიუხედავად იმისა, რომ თევდორეს მოხატულობები ქართული ისტორიისა და კულტურისათვის იკონური პერსონის, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანას განეკუთვნება და მხატვრის სახელიც უეჭველად მის კართან არის დაკავშირებული, სამეცნიერო პუბლიკაციებში ისინი უპირატესად რეგიონული სვანური მხატვრული სკოლის კონტექსტშია წარმოდგენილი.

წერილში განხილულია „მეფის მხატვრის“ მოხატულობების იკონოგრაფიული თემები და სტილური თავისებურებები, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებს, რომ მათი მხატვრული კონტექსტი ფართო და კომპლექსური იყო და ბიზანტიური მხატვრობის მოწინავე ტენდენციებთან სრულ თანაზიარობასთან ერთად, აღმოსავლეთ-ქრისტიანულ მხატვრულ ტრადიციასთან მრავალსაუკუნოვან კავშირსაც გულისხმობდა.

2 Mobility of Text: A key to Understanding the Murals of the Svipi Facade Painting

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის საფასადო შემკულობას, მის იკონოგრაფიულ-იკონოლოგიურ ანალიზს.

ნაშრომში წარმოდგენილია ფასადზე ასახული სიუჟეტის (აბრაამის სტუმართმოყვარეობა და წმ. მეომრები) ისტორიულ-სიმბოლური ინტერპრეტაცია.

3 The Cycle of the Life of St. Nicholas in the 13th c. mural painting in Kintsvisi church, Georgia

სტატიაში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში არსებული წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ციკლის ამსახველი ნიმუშები. გაკეთებულია მათი კლასიფიკაცია.ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მე-13 საუკუნის დამდეგის კედლის მხატვრობაში ჩართულ ციკლზე, რომელიც ყველაზე გავრცობილი ნიმუშია ამ წმინდანის ცხოვრებისა. განხილულია აგრეთვე ამგვარი ფართო ციკლის შექმნის სავარაუდო მიზეზები. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ეს განპირობებულია მოხატულობის დამკვეთის, თამარ მეფის წიგნობართუხუცესის ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ანტონი გლონისთავიძის განსაკუთრებული დამოკიდებულებით საქართველოს პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის მიმართ, რომელსაც თამარის ისტორიკოსი, ბასილი ეზოთმოძღვარი ადარებს წმ. ნიკოლოზს.

ასევე განხილულია შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების სხვა დარგებში დადასტურებული წმ. ნიკოლოზის გამოსახულებები. სტატია გამომცემლობამ Ultreya თარგმნა იტალიურად და სავარაუდოდ კრებული (Saint Nicholas), რომელიც მოიცავს ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენელთა ნაშრომებს ამ თემაზე, გამოიცემა 2025 წელს.

4 Late Medieval and Early Modern Georgian Illuminated Documents: State of Study and Research Perspectives

სტატია მოიცავს გვიანი შუა საუკუნეების ქართული მოხატული ისტორიული საბუთების შესწავლის მდგომარეობის, მისი კვლევის მეთოდოლოგიისა და სამომავლო პერსპექტივის საკითხების განხილვას.

ტექსტის პირველი ნაწილი ეთმობა მოხატული ქართული ისტორიული საბუთების, როგორც მხატვრული ფენომენის მიმოხილვას, რომელსაც ეტაპობრივად მოსდევს სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობა: მოხატული ისტორიული დოკუმენტების შესწავლის ისტორიის დეტალური თხრობა, ისტორიული საბუთების მხატვრობის კულტურულ-ისტორიულ ასპექტში განხილვა, დოკუმენტების მხატვრული გაფორმებისა და გვიანი შუა საუკუნეების ქართული საერო ხელოვნების ურთიერთმიმართების წარმოჩენა. სტატიის დასკვნითი ნაწილი ეთმობა ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგების წარმოდგენასა და მასალის კვლევის სამომავლო პერსპექტივების განხილვას.

5 რუსუდან გვერდწითელის ცხოვრება და მოღვაწეობა

წერილში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი მეცნიერის, არქიტექტორ-რესტავრატორ, რუსუდან გვერდწითელის ბიოგრაფიული მონაცემები და შემოქმედების ანალიზი.

6 Adaptation of Elements of Sasanian Art in Early Christian Georgian Reliefs

სტატიაში განხილულია სასანური ირანის გავლენების კვალი ადრეული შუა საუკუნეების ქართული რელიეფის ხელოვნებაში. რელიეფების კონკრეტულ ნიმუშებზე ნაჩვენებია, როგორ იყენებდნენ ქართველი მოქანდაკეები რელიეფურ კომპოზიციებში ირანში გავრცელებულ ორნამენტულ მოტივებს, დეკორატიულ ელემენტებსა და კომპოზიციურ სქემებს.

7 რუსუდან მეფისაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

საენციკლოპედიო სტატია მოიცავს რუსუდან (რუდა) მეფისაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს, პროფესიული საქმიანობის საყურადღებო მხარეებს და სამეცნიერო ნაშრომების ზოგად მიმოხილვას.

8 Royal “Portraits” and Their Attributes as Represented in 10th-11th c. Georgian Sculpture

სტატიაში განხილულია X-XI საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში წარმოდგენილი საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა მეზობელ კულტურებთან (ბიზანტია, სომხეთი, ირანი) კავშირში. სამეფო რელიეფური გამოსახულებების, მათი ატრიბუტებისა და თანმხლები წარწერების მეშვეობით, წარმოჩენილია როგორც შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების გამომხატველი ადგილობრივი რეგალიები, ისე, ამ

ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაცია და ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები და კავშირები.

ნაშრომში გაანალიზებულია ბრეძის, იჯარეთის, კარბის, დირბის, კუმურდოს, დოლისყანის, ტბეთის, ოშკის, ბაგრატის ტაძრის, იშხნის, ვალეს რელიეფებზე გამოსახულ საერო ხელისუფალთა ატრიბუტები - კვერთხი, შარავანდი, გვირგვინი - თავსაბური, სამოსი და სხვ. უცხოურ პარალელებთან შედარების საფუძველზე გამოვლენილია მათი მსგავსება- განსხვავებანი და თავისებურებანი.

სტატიაში ასევე, გარკვეული ყურადღება ეთმობა საერო ხელისუფალთა სკულპტურული გამოსახულებების ტაძართა არქიტექტურულ სტრუქტურაში განთავსებისა და მათი მხატვრული შესრულების საკითხებს; არსებული მასალისა და უცხოური პარალელების მოხმობით ნათლად გამოიკვეთა ამ ეპოქის ქართული სკულპტურის არტისტული ტენდენციები - ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გაგრძელება და სტილური ინოვაციები, ბიზანტიური თუ აღმოსავლური სახვითობის გავლენები.

IV. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა:

ა) საქართველოში:

№	ავტორი	სათაური	ფორუმის დასახელება	დრო და ადგილი	თანაავტორობა
1	დავით ხოშტარია	Persian Artistic Tradition and Architectural Orientalism in Nineteenth-Century Georgia	კონფერენცია “ურთიერთდაკავშირებული ცენტრალური აზია და სამხრეთ კავკასია: მიგრაცია, ვაჭრობა, გეოპოლიტიკა,” ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთისა და ევრაზიის კვლევის დევისის ცენტრის საქართველოს კვლევის პროგრამა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური აზიის პროგრამა	7-9.07. 2024, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	

2	მარიამ დიდებულიძე	ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სათავეებთან	საერთაშორისო კონფერენცია: კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი	1-3.11.2024, თბილისი, ქართული უნივერსიტეტი	
3	ნათია ნაცვლიშვილი	საეკლესიო ხმიანობის ინსტრუმენტები შუა საუკუნეების საქართველოში: სარეკელი და ზარი	IX საერთაშორისო კონფერენცია: არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები	11-12.10.2024, თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი	
4	თამარ ხოსროშვილი	ფერმწერიდან „ხატწერის მაესტრომდე“ - იტალიელი მხატვარი ლუიჯი ლონგო საქართველოში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	24-26.04.2024, თბილისი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	
5	ნოდარ არონიშიძე	ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაციის სამი ეტაპი (განხორციელებული პროექტი და სარესტავრაციო მეთოდოლოგიური მიდგომების საკითხები)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	24-26.04.2024, თბილისი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	
6	ნოდარ არონიშიძე	ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია	საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი	1-3. 11.2024, თბილისი, ქართული უნივერსიტეტი	
7	ნოდარ არონიშიძე	„ვარდისუბნის“ ორი ნაგებობის დათარიღების მცდელობა და მათი ურთიერთმიმართების საკითხი (ხრამის ხეობის მატერიალური კულტურის ისტორიიდან)	IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა ტენდენციები და გამოწვევები	12.10.2024, თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი	

გ) უცხოეთში:

№	ავტორი	სათაური	ფორუმის დასახელება	დრო და ადგილი	თანაავტორობა
1	ნათალია ჩიტიშვილი	Above the Nave: Architecture and Function of Upper-Level Spaces in Medieval Georgian Churches	Cultural Interactions in the Medieval Subcaucasian Region: Historiographical and Art-Historical Perspectives	4.12. 2024, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია	

ახალი ხელოვნების განყოფილება

I. სახელმწიფო პროგრამით (ბიუჯეტით) დაფინანსებული თემა/თემები (საანგარიშო წლისათვის):

ეს პუნქტი ეხება იმ სამეცნიერო ერთეულებს, რომლებიც კვლევას აწარმოებენ ოფიციალურად დამტკიცებული სამუშაო გეგმით (პროგრამული დაფინანსებით) ანუ სსიპ სამეცნიერო-კვლევით და უნივერსიტეტებთან და სხვა სტრუქტურებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს

№	თემის დასახელება	ვადები	კონკრეტული ეტაპი	შემსრულებლები (მათი როლებით)
1	**1960-70-იან წლებში გამოცემული ჟურნალების მხატვრული გაფორმება**	2024-2026	გარდამავალი	მარიამ გაჩეჩილაძე, ახალი ხელოვნების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
2	**ცენტრის ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში დაცული მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის არქივის დამუშავება**	2024-2025	გარდამავალი	მარიამ გაჩეჩილაძე
3	**ძიებები ნიკო ფიროსმანის შემოქმედების სრულყოფილი აღქმა-შეფასებისათვის**	2024-2025	გარდამავალი	გიორგი ხოშტარია
4	**საქართველოში კინოთეატრების არქიტექტურის ისტორიიდან**	2023-2025	გარდამავალი	თამაზ გერსამია, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
5	**სოციალისტური რეალიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში**	2022-2024	დასრულებული	მარინა მემმარიაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

6	ცენტრის ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის მასალების დამუშავება და გადარჩეული დოკუმენტაციის თარგმნა	2023-2026	გარდამავალი	მარინა მეძმარიაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
7	მოსე თოიძის შემოქმედება	2024-2025	გარდამავალი	სამსონ ლეჟავა, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
8	XX საუკუნის 60-70-80-იანი წლების ქართული არქიტექტურის მიმოხილვა	2022-2024	დასრულებული	ლალი ანდრონიკაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
9	XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კინო-მხატვრობა	2024	დასრულებული	მარიანა ოკლეი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
10	ქართული სათეატრო მხატვრობის ძირითადი ტენდენციები (1930-1940 წწ.)	2024-2025	გარდამავალი	ელენე თუმანიშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
11	XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა	2023-2024	დასრულებული	მაია მანია, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
12	XIX-XXსს.-ის მიჯნის ქანდაკება საქართველოში	2023-2024	დასრულებული	თამარ ბელაშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

	(იაკობ ნიკოლაძე)			
13	ავანგარდული წიგნი ტფილისში	2023-2025	გარდამავალი	თეა ტაბატაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
14	ქართული ხელოვნებისა და კულტურის ინსტიტუციონა ლიზაციის გზა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში	2024-2025	გარდამავალი	მზია ჩიხრაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
15	სივრცის პრობლემა 1910-იანი - 1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში	2024-2025	გარდამავალი	ნანა ყიფიანი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
16	ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში	2022-2027	გარდამავალი	ცისია კილაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
17	სატირული გრაფიკა და მოდერნიზმი საქართველო-ში	2023 - 2026	გარდამავალი	ნინო ჭოღოშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
18	XX საუკუნის დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული მინა	2024-2026	გარდამავალი	ნინო ჩიტორელიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი
19	თანამედროვე ქართულ მხატვრობა (1990-2000-იანი წწ. თაობის მაგალითზე)	2022-2026	გარდამავალი	დალი ლებანიძე, მეცნიერი თანამშრომელი მკვლევარი

20	**გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება**	2024-2026	გარდამავალი	დალი ლებანიძე, მეცნიერი თანამშრომელი, მკვლევარი
21	**სტალინური პერიოდის სახვითი ხელოვნების გამოფენები: ინსტიტუციური ჩარჩო, დანიშნულება, მიზნები**	2024-2025	გარდამავალი	ნინო ჭინჭარაული, მეცნიერი თანამშრომელი, მკვლევარი
22	**საბჭოთა პერიოდის ქართული ქანდაკება**	2023-2025	გარდამავალი	თემურ ქანთარია-ჯაბადარი, მეცნიერი თანამშრომელი, მკვლევარი
23	**გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება**	2024-2026	გარდამავალი	ეკატერინე ყარსელიშვილი, მეცნიერი თანამშრომელი, მკვლევარი
24	**გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება**	2024-2026	გარდამავალი	მარიამ მიქაძე, მეცნიერი თანამშრომელი, მკვლევარი

ანოტაცია

1 **1960-70-იან წლებში გამოცემული ჟურნალების მხატვრული გაფორმება**

წლევანდელი მუშაობა დაეთმო მასალის ნაწილობრივ დამუშავებას. ძირითადად ჩატარდა სამუშაო საბავშვო ჟურნალების გაფორმების ხაზით (ჟ. „დილა“, „პიონერი“; მხატვრები: გიორგი (გოგი) როინიშვილი, ჯემალ ლოლუა, ზურაბ ფორჩხიძე, თენგიზ სამსონაძე...).

2 მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის არქივის დამუშავება

ჩუბინაშვილის ცენტრში დაცული მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის საარქივო მასალის დამუშავება ხდება წიგნად გამოსაცემად მომზადების მიზნით. განხორციელებულ სამუშაოების პროცესში, ვლინდება მეტად საჭირო ინფორმაციები - ხდება მხატვრის არქივში არსებული ხელნაწერების გაშიფვრა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მხატვრის მიერ აკვარელის ტექნიკით მუშაობის სასწავლო სახელმძღვანელო, რომელიც 1970-იან წლებში ერთხელ უკვე არის გამოცემული, მაგრამ მასალის დამუშავების პროცესში დამატებითი ინფორმაციული და კვლევითი დეტალები იკვეთება. ყოველივე ეს მომავალში წიგნის ახლად გამოცემას ითვალისწინებს, რაც ესოდენ საჭიროა ამ რთული ტექნიკის სწავლებისთვის მხატვართა თაობების აღსაზრდელად.

3 ძიებები ნიკო ფიროსმანის შემოქმედების სრულყოფილი აღქმა-შეფასებისათვის

ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების სიღრმისეული კვლევის შედეგად ვლინდება რომ მისი შემოქმედების სრულყოფილი აღქმა-შეფასებისათვის არსებობს ორი ურთიერთ შემავსებელი გზა, მეთოდი: 1) მხატვრის ნამუშევრების გარჩევა მისი შემადგენელი ელემენტების, მხატვრული წყობის მიხედვით, ე.ი. უნდა განვიხილოთ, რას არჩევს ხელოვანი, როგორ აწესრიგებს იგი არჩეულ ასახვის საგანს ნიშნებს კომპოზიციაში, ნახატში, ფერში, შესრულების მანერაში და ამდენად გავიგოთ, თუ რას გვეუბნება იგი, როგორია მისი მთლიანობა თუ ჰარმონია და რამდენად ეფექტურია. 2) იმ ეპოქისა და ქვეყნის კულტურის განხილვა რომელშიც ყალიბდება და მუშაობს მხატვარი.

4 საქართველოში კინოთეატრების არქიტექტურის ისტორიიდან

სამუშაო გეგმის თანახმად ვმუშაობდი საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური და ქუთაისის ცენტრალურ არქივში, სადაც გავეცანი 1900–იანი წლების დასაწყისიდან 1910–იანი წლების ჩათვლით დაცულ საარქივო საბუთებს. ამ კვლევის შედეგად მოვიპოვე გარკვეული საარქივო მონაცემები ზემოაღნიშნულ პერიოდში აგებულ კინოთეატრების შენობა–ნაგებობათა შესახებ.

გარდა წერილობითი ცნობების მოპოვებისა, მნიშვნელოვანი იყო გრაფიკული მასალის მოპოვება, რომელიც წარმოადგენდა კინოთეატრების შემორჩენილ საარქივო პროექტებს, რამაც საშუალება მოგვცა მათი შედგენის ზუსტი თარიღის დადგენა, ასევე გაგვეცნო მათი ფუნქციური და აგრეთვე არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტილებების თავისებურებანი. რიგ

შემთხვევებში შესაძლებელი გახდა არა მარტო პროექტის ავტორების, არამედ კინოთეატრების მეპატრონეთა ვინაობის დადგენაც.

5 სოციალისტური რეალიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში

ნაშრომში განხილულია 1930-1950-ანი წლების ქართული ფერწერის ძირითადი თემები, ამ თემებზე მომუშავე მხატვრების შემოქმედებითი მანერა და ა.შ.

გამოყოფილია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ფერწერის თავისებურება და ეტაპები. გამოყოფილია წამყვანი თემები და ჟანრები - ბელადის პორტრეტები, რევოლუციის თემაზე შესრულებული მრავალფიგურიანი კომპოზიციები, ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის, მშენებლობის თემა და ამ თემაზე შესრულებული პეიზაჟები და კომპოზიციები.

ცალკე ნაწილად გამოყოფილია მოსე თოიძისა და დავით კაკაბაძის შემოქმედების განსხვავებული მიდგომა 1910-1920 წლებში და შემდგომ სსრკ დიქტატურის იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში.

6 ცენტრის ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის მასალების დამუშავება და გადარჩეული დოკუმენტაციის თარგმნა

სერგო ქობულაძის არქივი შეიცავს პირად წერილებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხასიათის სტატიებს, სქემებს და ა.შ, მასალა რუსულად არის წარმოდგენილი და მოითხოვს გადათარგმნას ქართულ ენაზე.
ამ ეტაპზე მოხდა ამ მასალის ნაწილის გადარჩევა, წაკითხვა და შინაარსის მიხედვით სისტემატიზაცია.

სამეცნიერო-თეორიული ხასიათის ჩანაწერები, სტატიები, მოხსენებები დალაგდა თემების მიხედვით.

სტატიები, რომელიც ეხება პროპორციების საკითხს ხელოვნებაში ცალკე საქაღალდეში მოთავსდა, მოხსენებები სასწავლო პროცესის თემაზე (წაკითხული თბილისის სამხატვრო აკადემიის სხდომაზე) - იყო ცალკე თემად გამოყოფილი. შემდგომში ამ მასალის ნაწილი ქართულ ენაზე იქნება თარგმნილი.

7 მოსე თოიძის შემოქმედება

მოსე თოიძის შემოქმედებაში ერთ-ერთი საკვანძო ქმნილებაა „მცხეთობა“, რომელშიც ქართული კულტურის პარადიგმული მახასიათებლებია თავმოყრილი. ის საუკუნეთა მიჯნას (XIX-XX) ეკუთვნის. მასში თავმოყრილია არსობრივი ნიშნები - კერძოდ ნაკვერჩხალი „კერა“ და მძლავრი ხეები - ესაა დარბაზის ალუზია. სვეტიცხოველი განსხვავებულია და საკრალურ ცენტრად ქცეული. წრიული განლაგება ცენტრის ირგვლივ პერსონაჟებისა სიმბოლურებს ერის ერთობას. საზეიმო განწყობა სურათისა აქ აღსავსეა კრებითობითა და განწყობისმიერად ქმნილება ამაღლებულია.

მოსე თოიძესთან ასევე საკვანძოა რუსთველთან დაკავშირებული თემა. ეს „ფერწერული რუსთველოლოგიაა“ - იმ დამხრობით, რომ მასში არის წარმოქმნილი ღამის იდუმალების მისტერია და აქცენტირებულია რუსთველთან საქართველოს დატოვების დრამა, ხოლო მეორე სურათში წარმოდგენილია მისი იერუსალიმის ტაძართან, კერძოდ მის კიბესთან მიახლება.

მხატვარმა „ბაზაზხანაში“ უჩვენა ფოვიზმთან მხვედრობის ნიშნები და ამასთან, გამოხატა მასინთეზირებულობა ძველ თბილისში ორიენტალურ სამყაროსთან მხვედრობისა.

მისი კოლორიტული პერსონაჟები პორტრეტის ჟანრში გამოირჩევა კონტაქტურობით, მახვილი დახასიათებითა და იმ სიმძაფრით, რითაც შესაძლოა, მაინსპირირებელიც ყოფილიყო ლადო გუდიაშვილისათვის.

8 XX საუკუნის 60-70-80-იანი წლების ქართული არქიტექტურის მიმოხილვა

ისტორიის ლოგიკა ასეთია, ხშირად დიდი სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების ბიძგი პოლიტიკური მოვლენები ხდება. ასე იყო მაშინაც, 1953 წ იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდგომ ყოფილ საბჭოეთში ახალი ცხოვრების ქარმა დაუბერა. დიქტატორის გარდაცვალებამ (როგორც ყოველთვის და ყველგან) მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ე.წ „ხრუშჩოვის დათბობამ„ ერთნაირად იჩინა თავი ხელოვნების თითქმის ყველა დარგში - კინოს, თეატრის, მხატვრობის და რა თქმა უნდა არქიტექტურის (როგორც მთავარი ხელოვნების) სფეროში.

უკვე 1954 წელს მოსკოვში ჩატარდა მშენებელთა, არქიტექტორთა და დარგის სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი, რომელზედაც ხრუშჩოვმა კატეგორიულად გააკრიტიკა „სტალინური არქიტექტურის“ სიძვირე და პომპეზურობა. ამ შტურმის საბაბი (როგორც იმ დროს ადვილად მოიძებნებოდა) გახდა არქიტექტორ გრადოვის წერილი ცკ-ს, რომელიც მიმართავდა პარტიის ხელმძღვანელობას, რომ ძველი პროფესურა ხელს უშლის მშენებლობასა და არქიტექტურაში ახალი ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას, რითაც ეღობება არქიტექტურული სფეროს და ბინათმშენებლობის გაიაფებასაც. აქედან იწყება პროცესი, რომელიც 1955 წელს დაგვირგვინდა დადგენილებით „ზედმეტობების აღმოფხვრის შესახებ არქიტექტურაში“. დადგენილება პირდაპირ მოუწოდებდა საბჭოთა არქიტექტორებს „შეესწავლათ და უფრო თამამად აეთვისებინათ სამამულო და საზღვარგარეთული მშენებლობის მოწინავე მიღწევები.“

ამ პროცესის შემადგენელი გახდა არქიტექტორების, ჯერ დარგის ხელმძღვანელების და შემდგომ მოქმედი პროფესიონალების ჯგუფების გაგზავნა საზღვარგარეთ - ამერიკასა და ევროპაში მოწინავე გამოცდილების გაზიარების და შთაბეჭდილებების ჩამოტანის განზრახვით. სწორედ ამის შემდგომ, უკვე 50-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა არქიტექტურული პროცესი ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირდა მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო მოდერნიზმს.

მიუხედავად იმისა, რომ თავად „დათბობის“ პოლიტიკური პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა და უკვე 1962 წელს ავანგარდისტების გამოფენის ცნობილი დარბევით დაგვირგვინდა, რასაც მოყვა ხელოვანთა მასიური გაძევება

ქვეყნიდან, არქიტექტურაში მომხდარი ბიძგი იმდენად ძლიერი იყო, რომ 80-ინი წლების ბოლომდე, ანუ ფაქტობრივად კავშირის დაშლამდე გაგრძელდა.

რით განსხვავდება ამ ვრცელი პერიოდიდან 60-70-იანი წლების პირობითად „ახალი ტალღის“ არქიტექტორების შემოქმედება. ალბათ, იმიტომ რომ ის მაინც განსხვავებული იყო, სრულიად განსაკუთრებული ენერგიით, ახლად აღმოჩენილი ფორმებითა და შესაძლებლობებით მეტყველების დაუოკებელი სურვილით, საქმის კეთების ხალისით და უშრეტი ფანტაზიით.

ასევე სწორედ ამ დროს ჩამოყალიბებულმა ე.წ. „არქიტექტურულ-შემოქმედებითმა სახელოსნოებმა ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და პროფესიული ერთობის, გნებავთ ამქრული გაერთიანებების ისეთი შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენებს, რომლებიც დღემდე შეუცვლელია.

არქიტექტურული პროცესი მთელ კავშირში დაიძრა მკვდარი წერტილიდან, რისი მაგალითებიც უხვად არსებობს ძირითადად რუსეთში - მოსკოვსა და პეტერბურგში, რესპუბლიკების დედაქალაქებში და პერიფერიებშიაც.

ამ პროექტების გაცნობისას ერთი მხრივ აშკარაა, რომ ჩვენი არქიტექტორები მსოფლიო მოდერნისტული არქიტექტურის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებიან, თუმცა საუკეთესო მაგალითებში ადგილობრივ ნიადაგზეც ხდება ინდივიდუალური არქიტექტურული სახეების შექმნა.

სულ ცოტა ხნის წინ „გახსნილი“ ქვეყნისთვის ეს ნამდვილი მიღწევა იყო, მით უფრო რომ ქართული თვისება მოდური ტენდენციების სწრაფი და ნიჭიერი შეთვისებისკენ, იქნება ეს მოდა, ყოფითი კულტურა, არქიტექტურა თუ სხვა. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდანაა ცნობილი. ჩვენი კულტურის რეფლექსია ეპიცენტრების მიღწევებზე ხშირად მართლაც განსაკუთრებულ სიმაღლეებს აღწევს. ასე მოხდა ამჯერადაც, მსოფლიო მოდერნისტული არქიტექტურის მიღწევები საფუძველი გახდა ჩვენი ხუროთმოძღვრებისთვის შთაგონების ძიებაში. ლე კორბოზიე, მის ვან დერ როე, კენძო ტანგე, ოსკარ ნიმეიერი - ყველა მათგანის ხელწერაც ამოსაცნობია ჩვენს ნიადაგზე.

ქართველ არქიტექტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამხრეთულმა ტემპერამენტმა და ადგილობრივმა ხუროთ-ტრადიციამ თავისი კვალი დააჩნია ამ უცხო არქიტექტურულ ფორმებს. მასალა, ფორმად-შეგრძნება, დინამიზმი, ეს ყველაფერი იმდენად აქაურია, რომ დღეს საქართველოში ამ არქიტექტურის აღმომჩენი უცხოელი აღტაცებულია მისი თვითმყოფადობით და სწორედ ამ ასპექტს აფასებს და იწონებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ფორმების უკან ახალი ტექნოლოგიები და საინჟინრო მიღწევები იდგა, რომლებიც უნივერსალურია და სწრაფად ვრცელდება მსოფლიოში პოლიტიკური რეჟიმების და დახშული ფარდების მიუხედავად.

ასე იყო 60-70-იან წლებშიაც. მოძველებული სამშენებლო სისტემა ახალმა რკინა-ბეტონის ასაკრებმა და პანელურმა კონსტრუქციებმა შეცვალა, თუმცა როგორც ყველგან და ყოველთვის არსებობს ნიჭიერი და უნიჭო გადაწყვეტები, ფართო და ვიწრო ხედვა. სწორედ ამიტომ გამოვყავით კვლევის საგნად განსაკუთრებით კაშკაშა ფიგურები. იყვნენ სხვებიც, შესაძლოა კიდევ მეტად დაფასებულნი და ღვაწლმოსილნი, მაგრამ მგონია, რომ ასეთი კვალი, როგორიც ამ პიროვნებებს არ დაუმჩნევიათ თანამედროვეობისთვის.

9 XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კინო-მხატვრობა

მსოფლიო კინოს ისტორია პირობითად ორ დიდ ეტაპად იყოფა: უხმო და ხმოვანი კინო. თითოეულის შიგნით კი ვითარდებოდა და ვითარდება ძალიან საინტერესო პროცესები, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნებაში მიმდინარე მრავალფეროვან მხატვრულ ძიებებთან. თავის ისტორიულ ჭრილში კინო ძირითადად ორი მიმართულებით განვითარდა; ერთი სინამდვილის ასახვას გვთავაზობს, მეორე კი პირობითი სამყაროს ფორმირებას.

სხვადასხვა მხატვრული ელემენტების გაერთიანება ერთ კინოსახეში არასდროს არ არის მექანიკურად გადაწყვეტილი. ის ახალ ესთეტიკურ მთლიანობას ეფუძნება, რომელიც თავისი კანონებით ფუნქციონირებს. გამომსახველობითი ხერხები არა მარტო ურთიერთქმედებენ, არამედ არსებობენ მთლიანობაში, მეტიც ვლინდებიან ერთი მეორის დახმარებით. ლიტერატურაში ჩნდება ახალი მიმართულება კინოდრამატურგია, მუსიკაში ახალი განხრა - კინომუსიკა. ფერწერული ამოცანების გადააზრების შედეგად წარმოიშვა კინო-მხატვრობა.

ხელოვნების თითოეული შემადგენელი, რომელიც წარმოქმნის კინო-სინთეზს, თითქოს თავისი თავის ერთგული რჩება, თუმცა ახალ ხარისხს იძენს. თვით კინოფილმში არც ერთ კომპონენტს არ გააჩნია ავტონომია და მიმართულია ერთიანი მხატვრული „ხატის“ შექმნისაკენ.

კინო-მხატვრის ძირითადი ამოცანაა ვიზუალური დრამატურგიის გადატანა სივრცეში. მისი მუშაობა თავისებური იდეურ-შემოქმედებითი, ზღაპრულ-მითოსური პროცესია.

50-იანი წლების მე-2 ნახევარში ხელოვანები ეძებდნენ ყველა შესაძლებლობას პირობითად, გადატანილი ხერხებით მოეტანათ მაყურებლამდე თავისი სათქმელი. ამიტომ იყენებდნენ სიმბოლოებს, ნიშნებს. კინოხელოვნებაში მიმდინარე ტენდენციები ძიების ახალ ფორმაში გადადის და ამავე დროს კინოპროდუქციაში თანადროული დასავლური კინოენის ნიშნებიც გამოიკვეთა.

ქართული კინოხელოვნების განსაკუთრებული აღმავლობის ხანა 60-70-იან წლებში იწყება. საბჭოთა კინემატოგრაფში გრძელდება პროპაგანდისტული ხაზი და ფილმების თემატიკა ძირითადად იგება კვლავ რევოლუციურ, ომის პატრიოტულ და საწარმოო თემაზე.ქართული კინო არა მარტო უძლებს ამ იდეოლოგიურ წნეხს, არამედ ახერხებს გვერდიც აუაროს. იგულისხმება, რომ მიუხედავად თემატური დაკმაყოფილებისა ქართველი ხელოვანები ისე „ფუთავენ“ შინაარსს, რომ ანიჭებენ ზოგად მნიშვნელობას და ირჩევენ იგავურ-მეტაფორულ, ალეგორიულ ფორმას. ამან განაპირობა, რომ საქართველოში ყალიბდება მკვეთრად ინდივიდუალური, ნაციონალური და მრავალფეროვანი ფორმის და დრამატურგიის ქართული კინო. ეს არის დრო,როდესაც ქართულ სივრცეში ჩნდება საავტორო კინემატოგრაფი. საერთოდ ეს ეტაპი აღინიშნება დიდი ძვრებით

ქართულ სახელოვნებო სივრცეში. ხდება მიბრუნება პირობით-პლასტიკური ენისადმი, ფერწერულობისადმი,იზრდება ფერის როლი როგორც სიმბოლურად, ასევე მხატვრულ-სახვითად. ხდება თითქოს რეფლექსია საუკუნის დასაწყისის 10-20-იან წლებთან, როდესაც ქართული ხელოვნება მიისწრაფვის და ხდება კიდეც დასავლური კულტურის ნაწილი. ეს პროცესი საკმაოდ დიდ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული გამომდინარე საბჭოთა იდეოლოგიის დიქტატიდან.

დაიწყო ახალი დროება ქართულ სახვით ხელოვნებაში. კინო მხატვრობაში ახალგაზრდების თაობა მოდის. დიმიტრი ერისთავი, დიმიტრი თაყაიშვილი, გიორგი ოჩიაური, ვახტანგ რურუა, ავთო ვარაზი, ამირ კაკაბაძე... ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მხატვრებისა, რომლებმაც ამ და შემდგომი პერიოდის კინო-მხატვრობის ისტორია .

10 ქართული სათეატრო მხატვრობის ძირითადი ტენდენციები (1930-1940 წწ.)

საკვლევი თემის დამუშავებისას XX ს-ის 30-40-იანი წლების ქართულ სასცენო მხატვრობაში გამოიკვეთა ფერწერული დეკორაციების უპირატესობა. ამიერიდან, კონსტრუქტივიზმი, რომელიც სასცენო სივრცის გაფორმების ერთ–ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენდა, საბჭოთა იდეოლოგიური ზეწოლიდან გამომდინარე, მოდერნისტულ-ფორმალისტურ მიმდინარეობად მიიჩნეოდა და დაიწყო რეალიზმის პრინციპების განმტკიცება, რომლებიც, ზოგჯერ, ნატურალიზმშიც გადადიოდა, რაც, ცხადია, ზღუდავდა თეატრალური ხელოვნებისთვის ესოდენ დამახასიათებელ და, ვიტყოდი, აუცილებელ პირობითობის ხარისხს.

აქედან გამომდინარე კი, სასცენო სივრცე, რომელიც ორგანზომილებიანი დაზგური ფერწერის ნიმუშის პრინციპით იგებოდა, სცენის კოლოფში „ჩასმული“ სურათის შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ ფერწერული ხაზის მომძლავრების შედეგად სათეატრო ხელოვნების პირობითი ბუნებისთვის არადამახასიათებელი, რეალურს მაქსიმალურად მიახლოებული, “ნამდვილი” და, ამდენად, მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესო, გარემოს შექმნა მოჰყვა.

11 XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა

XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) შესახებ ერთიანი ნაშრომისათვის მომზადდა ტექსტი, რომელიც XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურას შეეხება.

ტექსტი წარმოადგენს ნაშრომის - „XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა“ შესავალს და ორ ნაწილს მოიცავს - XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა და ურბანული განვითარება XIX საუკუნის პირველ ნახევარში და XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა და ურბანული განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. დიდძალი ბიბლიოგრაფიული მასალისა და ძირითადად საქართველოს

ეროვნულ არქივში მოპოვებული პროექტების დამუშავების შედეგად, ნაშრომში მოხმობილი და გაანალიზებულია თბილისის ურბანული განვითარება მთელი XIX საუკუნის სიგრძეზე. ნაშრომში წარმოდგენილია ბიბლიოგრაფიულ წყაროებში მოცემული საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობების, როგორც სტილისტური ევოლუცია, ისე ნაგებობების სივრცითი აგებულების თავისებურებები. ახლადგამოვლენილმა მასალამ საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი სახლების პროექტებისა, კი საშუალება მოგვცა თბილისის დღემდე უცნობი ნაგებობების იდენტიფიკაციის და მათი აღმშენებლების დადგენის და კლასიფიკაციის ერთიან სურათში წარმოდგენის.

ძირითადი აქცენტი თბილისის არქიტექტურის შესახებ თავში გაკეთებულია აგრეთვე საცხოვრებელი სახლების ტიპოლოგიასა და მათი სივრცითი აგებულების თავისებურებაზე. ნაშრომში შემოთავაზებულია ტიპოლოგიურად მნიშვნელოვანი საცხოვრებლების ერთი კონკრეტული ჯგუფის ანალიზიც.

ნაშრომი ილუსტრირებული იქნება რამდენიმე საარქივო და საკუთარი ფოტოებითა და საარქივო პროექტებით.

12 XIX-XX სს-ის მიჯნის ქანდაკება საქართველოში (იაკობ ნიკოლაძე)

იაკობ ნიკოლაძეს გამორჩეული ადგილი ეთმობა XIX-XX სს-ის მიჯნის ქართულ ქანდაკებაში. ის გახლავთ რეალურად პროფესიული ქართული დაზგური ქანდაკების ფუძემდებელი და, რაც უმნიშვნელოვანესია, სწორედ მას და მის მოწაფეებს უკავშირდება ხელოვნების ამ დარგის განვითარებისთვის XX ს-ის დასაწყისში, გამართული სისტემური სახის მინიჭების ეტაპიც ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

ცხადია, იაკობ ნიკოლაძე იმ ავტორთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის შესახებ არაერთი მონოგრაფიაა დაწერილი. თუმცა იმის გამო, რომ ამ ნაშრომების უმრავლესობის გამოცემის თარიღი იმ პერიოდს ემთხვევა, როცა, პოლიტიკური ცენზურის მიერ ინფორმაციაზე სრული წვდომა იზღუდებოდა, ხელოვანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრული სურათის წარმოჩენა დღესაც კი ჭირს. ამან განაპირობა ჩემი ინტერესიც ამ ხელოვანის შემოქმედებისადმი, განსაკუთრებით კი იმ ნამუშევრებისადმი, რაც არც ერთ მანამდელ გამოცემაში არ ფიგურირებდა.

ასევე დავასრულე მუშაობა თემაზე XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული ქანდაკება. აღნიშნული თემა პროექტის „XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნების ისტორია“ ფარგლებშია დაგეგმილი და საბოლოო პუბლიკაციის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. აქ საუბარია, აღნიშნულ დროით მონაკვეთში საქართველოში მოღვაწე უცხოელი მოქანდაკეების და მათი შემოქმედების შესახებ. ასევე განხილულია ქართული დაზგური, პროფესიული ქანდაკების პირველი ქართველი წარმომადგენლები, იაკობ ნიკოლაძე და მისი მოსწავლეების პირველი თაობა და მათი უმთავრესი შემოქმედებითი მახასიათებლები.

13 ავანგარდული წიგნი ტფილისში

თუკი ფუტურიზმ-ზაუმის ვიზუალიზაციის ფორმების თავისებურებებზე ვსაუბრობთ, ანუ, იმაზე, თუ რა განასხვავებს თბილისში გამოცემულ ავანგარდულ წიგნს თბილისამდე და თბილისის შემდეგაც შექმნილი ნამუშევრებისაგან, მაშინ სამი რამ უნდა გამოვყოთ: 1. ალექსეი კრუჩონიხის „თვითწერით“ შესრულებული წიგნები, 2. კირილე ზდანევიჩის ილუსტრაციები წიგნისთვის *„ისწავლეთ მხატვრებო“* (1918) და *1918* -ში (1917) შესული კამენსკის ორი რკინაბეტონის პოემა - *ტფილისი* და *მზე*; უფრო ზუსტად, კამენსკის რკინაბეტონის პოემების კირილე ზდანევიჩისეული ვიზუალური ინტერპრეტაცია და 3. ილია ზდანევიჩის *ასლააბლიჩიას* ციკლის ხუთი პიესა თავისი უნიკალური ტიპოგრაფიით.

2024 წელი დაეთმო ილია ზდანევიჩის თხზულებების ტიპოგრაფიისა და ვიზუალური ფორმების თავისებურებათა ანალიზს.

ილია ზდანევიჩი თავისი თხზულებების გამოცემას თბილისში იწყებს. თბილისშივე იწყება მისი ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები, რასაც ის შემდეგ პარიზშიც სიცოცხლის ბოლომდე არ მოეშვება. ტიპოგრაფიას ის თავად სწავლობს თბილისის გამომცემლობებში, ხან მარტო, ხანაც დამხმარესთან ერთად თვითონვე აწყობს ტიპოგრაფიულად ურთულესსა და უმშვენიერეს გვერდებს. საკუთარი ქმნილებების გარდა (*იანკო ალბანელების მეფე (Янко крУль албАнскай)* (1918, ტფილისი), *ვირი გაქირავებით (асЁл напракАт)* (1919, ტფილისი), *აღდგომის კუნძული (Остраф пАсхи) (1919, ტფილისი) ზგა თითქოს (згА Якабы)* (1919, ტფილისი), *ლიდანტიუ ფარამ (лидантЮ фАрам*) (1923, პარიზი), *41°*-ის სხვა გამოცემებში მას იმ დოზითა და იმ ხარისხით შეჰყავს ტიპოგრაფია წიგნის ავანგარდულ ქსოვილში, რაც რუსეთში მანამდე არასდროს ყოფილა. *41°*-ის ეს გამოცემები, განსაკუთრებით კი, მათი ყდები (მაგ.,*Миллиорк/მილიორკი, Лакированное трико/გალაქული ტრიკო, Малохолия в капоте/მალახოლია კაპოტში*) თავიანთი მრავალგვარ-მრავალფეროვანი ტიპოგრაფიული ფორმებით, მაგრამ სტრუქტურირებული ტექტონიკური წყობით, გვერდების კიდეებზე თავისუფალი ველების დატოვებითა და ანაბეჭდის მის შიგნითვე მოთავსებით - გვერდის კომპოზიციის საკუთარ ფორმაშივე დასრულებულობით ავანგარდული წიგნის გაფორმების მოსკოვურ-პეტერბურგულ ტრადიციას ცვლის. ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია თბილისში ავანგარდული წიგნის დიზაინის განსხვავებულ ესთეტიკას ამკვიდრებს. განსხვავებულს იმავე კამენსკისაგან ან იტალიური ფუტურიზმის ტიპოგრაფიის დინამიკური ექსპრესიულობისგან და დადას ირაციონალურ-ქაოსური, „შემთხვევითობის“ ფრაგმენტული ესთეტიკისგანაც. ამ თვისებების გამო ეს წიგნები რუსული ე.წ. ფუტურისტული წიგნის ისტორიაში ცალკე - ტფილისურ ჯგუფად უნდა გამოიყოს.

ილია ზდანევიჩის დრამატურგიული თხზულებების - *იანკო ალბანელების მეფე (Янко крУль албАнскай)* (1918, ტფილისი), *ვირი გაქირავებით (асЁл напракАт)* (1919, ტფილისი), *აღდგომის კუნძული (Остраф пАсхи) (1919, ტფილისი) ზგა თითქოს (згА Якабы)* (1919, ტფილისი), *ლიდანტიუ ფარამ (лидантЮ фАрам*) (1923, პარიზი) - ტიპოგრაფია რაღაც განსაკუთრებული ვიზუალური ფენომენია.

პირდაპირი გაგებით, ის არც ილუსტრაციაა, არც სურათი - აბსტრაქცია, არც დეკორაცია, მაგრამ არც მხოლოდ ტიპოგრაფია. ის ყველა ამ საწყისს მოიცავს. აფორმებს რა ტექსტს, ის მის ფორმირებასაც ახდენს, მის სემანტიკურ შრეებს ხსნის, თავისი ფორმით - მხატვრული ფორმით - პიესების, მთელი ციკლის ენობრივსა და დრამატურგიულ სტრუქტურას, მათს შინაარსსა და შინა-არსს ააშკარავებს.

14 ქართული ხელოვნებისა და კულტურის ინსტიტუციონალიზაციის გზა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

ნაშრომის პირველი ნაწილი მოიცავს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისა და კულტურის პოლიტიკის მიმოხილვა, რაც თავის მხრივ, ეროვნულობის ქვაკუთხედზე იდგა.

ახალგაზრდა ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე, სამწლიანი ისტორიიდან გამომდინარე, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შეძლო ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ჩამოყალიბებული გეგმის შემუშავება და მისი პოლიტიკის განსაზღვრა, თუმცა ამ პოლიტიკის მიმართულება პროგრესისა და ინოვაციისკენ, სწრაფი ცვლილებებისა და მოდერნულობისკენ სრულიად აშკარა იყო. საქართველოს მენშევიკური მთავრობა აგრძელებდა კულტურისა და ხელოვნების განვითარების იმ ეროვნულ გზას, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებდა სათავეს. განვიხილე დიმიტრი შევარდნაძის როლი კულტურისა და ხელოვნების დარგში მდგრადი ინსტიტუციების განვითარების საქმეში.

კვლევის შემდეგ ეტაპზე გაანალიზებული იქნება, ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ ხდებოდა სახელოვნებო ინსტიტუციების დაფუძნება, მათი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრით.

15 სივრცის პრობლემა 1910-იანი - 1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში

თემა ზოგადად განიხილავს ერთ სპეციფიკურ, ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას - ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც წარმოაჩენს ზოგადად ქართული ესთეტიკური აზროვნების ხასიათს. ამ კონტექსტში 2024-2025 წლებში მუშაობა წარიმართა და წარიმართება კიდევ უფრო სპეციფიკური მხრიდან - ისლამური კულტურული გამოცდილების მნიშვნელობა 1890-იანი -1930-იანი წლების ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში და სწორედ სივრცობრივი აზროვნების კუთხით.

მხედველობაში ვიღებთ ისტორიულ რეალობას - მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური, რელიგიური დაპირისპირების ფონისა, საქართველოზე განხორციელებული დაპყრობითი ომებისა, და სწორედ ამიტომაც, საქართველოს ისლამურ კულტურასთან თანაარსებობა გარდაუვალი და აშკარა ფაქტია; ამ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე და რაც მთავარია, კონკრეტული მასალის ანალიზის შედეგად ვიკვლევთ ისლამური კულტურული აზროვნების გავლენის ფაქტობრივ არსებობას ვიზუალურ მოდერნიზმზე და ავანგარდზე, რაც ცხადია, იკითხება.

საკვლევი მასალა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დახარისხებულია: 1. მარტივ დონეზე - თემატურად, აღმოსავლურ-ისლამური თემატიკის მიხედვით; 2. ფაქტების დონეზე (ისტორიული, ბიოგრაფიული ფაქტები, ურთიერთობები, სხვადასხვა ხასიათის ტექსტები, წერილები, კორესპონდენცია და სხვ); 3. ფორმის დონეზე, აღმოსავლურ-ისლამური მხატვრული ფორმის ადგილი მოდერნიზმსა და ავანგარდში, მისი წაკითხვის ბუნება; 4. იკონოლოგიური კვლევის დონეზე - ისლამური გამოცდილების უფრო ღრმა შრეების გამოვლენა.

კვლევა მოიცავს მოდერნისტული და ავანგარდული ხელოვნების მრავალდარგობრივ ვიზუალურ და ვერბალურ-ლიტერატურულ მასალას - ფერწერა, გრაფიკა, ავანგარდული წიგნი; გაანალიზებული იქნება მოდენისტული და ავანგარდული მიმართულებების ერთი მხრივ მსოფლხედვით-კონცეფტუალური ფუნდამენტი, მეორე მხრივ კი ამ მიმდინარეობების კონკრეტული წარმომადგენლების კონკრეტული ნამუშევრები.

კვლევის ორი ძირითადი შემადგენელია: 1. გამოსახულების კვლევა - რა სპეციფიკით უთავსდება ერთმანეთს აღმოსავლურ-ისლამური ანიკონიკური სახელოვნებო აზროვნება და ამდენად გამოსახულება, სურათოვნული აზროვნების ტრადიციაზე დაფუძნებულ მოდერნიზმსა და ავანგარდს. იყო თუ არა სურათოვნული აზროვნების ღრმა ტრადიცია საქართველოში. საუბარია არა დამთხვევებზე, მსგავსებებზე, გავლენებზე, არამედ გამოცდილებით გადმოსულ მხატვრული, ესთეტიკური აზროვნების და ამდენად მხატვრული ფორმის შექმნის მეთოდოლოგიაზე. 2. ფონის, კონტექსტების კვლევა: ა) თანადროული ვერბალური მასალა; ბ) წარსული, მოდერნიზმამდე/ავანგარდამდე არსებული ხელოვნება და თეორიული ლიტერატურა, გ) მოდერნული პერიოდის ადგილობრივი ურბანული კულტურა, რომელიც მრავალწილად წარსულიდან გადმოსული ტრადიციის მატარებელია.

16 ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში

ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში დიდი საკვლევი თემაა და რამდენიმე ქვეთემას მოიცავს. ესენია: მხატვრული ფორმის, მეთოდოლოგიის და მოდერნისტული მიმდინარეობების საკითხები, პორტრეტი და ავტოპორტრეტი, ქალაქისა და ურბანული გართობის თემა, კაფეები, ბაღები და სხვა, ირონიისა და თეატრის როლი მხატვრობაში, ომისა და რევოლუციის თემა, ნატურმორტი და სხვა. ასევე ეროვნული ფორმის პრობლემა ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში და ამ კონტექსტში მისი შედარება ევროპულ ტრადიციასთან. თემა მოიცავს ცნობილი ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედებას. ესენია: შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ ერისთავი, ლადო გუდიაშვილი და სხვები.

17 სატირული გრაფიკა და მოდერნიზმი საქართველოში

ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული კარიკატურების გარდა, 1910-1940 წლებში საქართველოში განსხვავებულ მხატვრულ სტილში მომუშავე არაერთი თაობის ხელოვანი მიმართავდა სატირული მხატვრობის ჟანრს. საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ეს ნამუშევრები, განსხვავებით პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნიმუშებისა, შესაძლოა, არ გამოირჩევა პოლიტიკური და სოციალური სიმძაფრით, თუმცა ძალიან საყურადღებოა მრავალი თვალსაზრისით. არცთუ იშვიათად, მათი საშუალებით ზოგიერთი გამოჩენილი მხატვარი სრულიად სხვა, ნაკლებად ცნობილი, კუთხით წარმოჩინდება.

სატირული მხატვრობის ჟანრში მოღვაწე მხატვრებს შორის საყურადღებოა 1910-20-იან წლებში არაერთი თბილისის მკვიდრი მოდერნისტი ხელოვანი, მაგალითად: ზიგა ვალიშევსკი, ბორის რომანოვსკი, ცხადია, სატირული მხატვრობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ალექსანდრ ფონ ზალცმანის თბილისში შექმნილი ნამუშევრები.

სარკასტული მხატვრობის არაერთი საყურადღებო ნიმუში გვხვდება გამოჩენილი ქართველი მოდერნისტების შემოქმედებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეულია მათი მოღვაწეობა თეატრში. 1920-30-იან წლებში ქართული თეატრალური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებს ქმნიან ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ლადო გუდიაშვილი, კირილ ზდანევიჩი, მიხეილ შავიშვილი, ელენე ახვლედიანი, ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი, ალექსანდრე ყაზბეგი და სოლიკო ვირსალაძე. მათ მიერ შესრულებულ კოსტიუმების ესკიზებში გასაოცარი იუმორითა და სიმძაფრითაა გადმოცემული თითოეული პერსონაჟის ხასიათი, თვისებები, მანერები, მიმიკა. თითოეული მათგანი ინდივიდუალობითა და სახასიათო ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა. ამ მხატვრების მოღვაწეობა უკავშირდება ქართული თეატრის საუკეთესო პერიოდს, ვიდრე საბჭოთა ცენზურა საბოლოოდ გაანადგურებდა ქართული მოდერნისტული კულტურის მთელ ეპოქას. XX საუკუნის პირველი მესამედის ქართული სატირული მხატვრობა მოიცავს კიდევ არაერთ შეუსწავლელ ნიმუშს, რომელთა აღმოჩენა და კვლევა მომავალშიც გაგრძელდება.

18 XX საუკუნის დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული მინა

მრავალწლიანი კვლევითი პროექტი „XX საუკუნის დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნება - „მხატვრული მინა“ - მოიცავს პროფესიული მინის ისტორიის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების შესწავლას. პროექტი მიზნად ისახავს 20 საუკუნის მხატვრული მინის მიმართულების სახელოვნებათმცოდნეო კვლევას. ის ხელს შეუწყობს XX საუკუნის მინის ხელოვნების ისტორიის სრულყოფილ შესწავლას, მისი კულტურული მნიშვნელობის გაანალიზებას და ისტორიულ ჭრილში შეფასებას.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

1. მინის შესახებ არსებული ლიტერატურის დამუშავება, მისი გამოყენების ტექნოლოგიებისა და განვითარების ისტორიის შესწავლის მიზანი, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მინას მნიშვნელობა და როლი დეკორატიულ გამოყენებით ხელოვნებაში;
2. ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე მიქაძესთან, რომლის ტრანსკრიპტიც წარმოადგენს კვლევით მასალას როგორც მხატვრის შემოქმედების და ისე მის მიერ გამოყენებული მინის ტექნიკის უკეთ შესასწავლად; 3. მხატვარ ალექსანდრე მიქაძის ნამუშევრების ფოტო-ფიქსაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მხატვრის ნამუშევრების ციფრული ფორმატით შენახვას, გავრცელებას პოპულარიზაციის მიზნით და მის სამომავლო კვლევას.

19 თანამედროვე ქართულ მხატვრობა (1990-2000-იანი წწ. თაობის მაგალითზე)

კვლევა მოიცავს 1990-ანელთა თაობის მხატვრების შემოქმედებით მოღვაწეობაზე დაკვირვებასა და გაანალიზებას თანამედროვე ხელოვნების განვითარების ჭრილში.

ამ მხატვართა შემოქმედების შესწავლა გულისხმობს მათ მხატვრობაზე თვალის მიდევნებას, ახალ მიღწევათა სრულად გააზრებას.

20 გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

ხდება სერგო ქობულაძის არქივში დაცული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის თარგმნა.

21 სტალინური პერიოდის სახვითი ხელოვნების გამოფენები: ინსტიტუციური ჩარჩო, დანიშნულება, მიზნები

ესაა ქართული კულტურის ყველაზე რეპრესიული დეკადების ისეთი საყურადღებო მხატვრული პროდუქტის კვლევის მცდელობა, როგორიც იყო მხატვრული გამოფენები.

პოლიტიკური ტერორის პირობებში დამახასიათებელ ფორმატს იძენდა მხატვრული ექსპოზიციები, რომელთაც წინ კიდევ უფრო საგულისხმო მოსამზადებელი პერიოდი უძღოდათ. საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომელიც ამ მხატვრული ღონისძიებების რეკონსტრუირების გარკვეულ საშუალებას იძლევა. გარდა საარქივო წყაროებისა, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იტევს თანადროული პერიოდული პრესა, სადაც საგამოფენო რეცენზიები მიმდინარე საგალერეო ცხოვრების ნიშანდობლივ „გაფილტვრას“ ახდენდა.

22 საბჭოთა პერიოდის ქართული ქანდაკება

თემა ეხება საქართველოს საბჭოთა პერიოდის ქანდაკებას 1920–50-ან წლებში, ამ პერიოდში მოღვაწე მოქანდაკეებს, მათ ნამუშევრების მოძიებას, იდენტიფიცირებას, თარიღების დაზუსტებას, მათ მხატვრულ-სტილისტურ

ანალიზს, ლოკალური და გლობალური კონტექსტების (კულტურული, პოლიტიკური და სხვ.) გათვალისწინებით.

23 გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

მუშაობა წარიმართა სერგო ქობულაძის სამეცნიერო ნაშრომზე „ოქროს კვეთა“. დამუშავდა თეორიული მასალის ამონარიდები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის მიერ 1998 წელს გამოქვეყნებული წიგნის „სერგო ქობულაძე. ოქროს კვეთა“ სახით, ასევე იდენტური ტექსტი „ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ“ (მცირე რედაქციით) მოვიძიეთ თამაზ ჩხენკელის თარგმანთა 2013 წელს გამოქვეყნებულ კრებულში. კანდელაკის წიგნი სამენოვანია (ქართული, რუსული, ინგლისური) და უფრო დიდი წილი დათმობილი აქვს ნახაზებს; სამწუხაროდ, ნახაზებს თან არ ახლავს განმარტებები.

24 გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

დამუშავდა სერგო ქობულაძის პირად არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მის 1956 წლის იტალიური მოგზაურობასა და ვენეციის ხელოვნების ბიენალეში მონაწილეობის შესახებ. შესწავლილ იქნა მისი პირადი ჩანაწერები - გეგმები, შთაბეჭდილებები, ჩანახატები; საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული მასალა, იმ პერიოდის იტალიური პრესა, რომელიც პირადად მხატვარს ჰქონდა შენახული თავისივე მითითებებითა და ხაზგასმებით. განსაკუთრებულად ხაზგასასმელია არქივში აღმოჩენილი ფოტოები, რომელიც მხატვრის თვალით დანახულ იტალიაზე აჩვენებს და განსაკუთრებულ მხატვრულ მნიშვნელოვნებას იძენს.

ამავდროულად, დამუშავდა სერგო ქობულაძის პირად ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები/კატალოგები ვენეციის XVIII ბიენალეს შესახებ. გარდა ამისა, მოძიებულ და შესწავლილ იქნა პარალელური ლიტერატურა - დასავლელი მეცნიერების კვლევები 1956 წლის ბიენალეს, საბჭოთა კავშირის პავილიონსა და იმ პერიოდის სახელოვნებო ტენდენციების შესახებ (მოძიებული იქნა ვენეციის ბიენალეს მნიშვნელოვანი საარქივო ფოტოები). ვენეციის XVIII ბიენალეზე საბჭოთა კავშირის პირველად გამოჩენის მნიშვნელოვნება და ამ კონტექსტში სერგო ქობულაძის შემოქმედების როლის ძიება, კიდევ დამატებით დაკვირვებას, მუშაობასა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რაც სამომავლო კვლევის საგანია.

II. სამეცნიერო საგრანტო პროექტები (სამამულო დაფინანსებით):

ა) დასრულებული:

№	თემის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწ. რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურიდან
1					
2					
3					
4					
5					

ანოტაცია

ბ) გარდამავალი (ანოტაცია - მხოლოდ საანგარიშო წელს შესრულებულ სამუშაოს):

№	თემის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწ. რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურიდან
1	**XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნების ისტორია**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი პროექტი (FR-21-8422)	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	თამარ ბელაშვილი (2022-2024) მარიამ გაჩეჩილაძე (2022-2024) მზია ჩიხრაძე (2022) მაია მანია (2023-2024) გიორგი ხოშტარია (2022) ცისია კილაძე (2023) ლალი ანდრონიკაშვილი (2022) ელენე თუმანიშვილი (2023) მარიანა ოკლეი (2022)	თამარ ბელაშვილი (2022-2024) მარიამ გაჩეჩილაძე (2022-2024) მზია ჩიხრაძე (2022) მაია მანია (2023-2024) გიორგი ხოშტარია (2022) ცისია კილაძე (2023) ლალი ანდრონიკაშვილი (2022) ელენე თუმანიშვილი (2023) მარიანა ოკლეი (2022) ნანა ყიფიანი (2022) მარინა მემმარიაშვილი (2023) სამსონ ლეჟავა (2022) სოფიო ჩიტორელიძე (2023)

				მარინა მემმარიაშვილი (2023) სამსონ ლეჟავა (2022) სოფიო ჩიტორელიძე (2023) ნინო ჭინჭარაული (2023) თეა ტაბატაძე (2023) თემურ ქანთარია-ჯაბადარი (2022-2024) თამაზ გერსამია (2022)	ნინო ჭინჭარაული (2023) თეა ტაბატაძე (2023) თემურ ქანთარია-ჯაბადარი (2022-2024) თამაზ გერსამია (2022)
2	**კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)**	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნინო ჭოღოშვილი ირინე აბესაძე ქრისტინე დარჩია სალომე ჭანტურიძე	ნინო ჭოღოშვილი

ანოტაცია

1 XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნების ისტორია

პროექტი გულისხმობს XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) შესახებ ერთიანი, გამოცემის მომზადებას. აღნიშნული ნაშრომი, სტრუქტურის თვალსაზრისით ნარკვევების ერთობლიობას წარმოადგენს. პროექტის მონაწილე თითოეული მკვლევარი თემატიკის, ქრონოლოგიისა და პრობლემის შესაბამისად, ტექსტის კონკრეტული ნაწილის (თავი, პარაგრაფი, და ა.შ.) ავტორია. წიგნის სტრუქტურული წყობა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მიჰყვება და ამიტომ საბოლოო ჯამში XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნების ისტორიის გაბმული სურათის შექმნა ხდება შესაძლებელი.

პროექტის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი თემები:

თამარ ბელაშვილი - XIX-XXსს.-ის მიჯნის ქანდაკება საქართველოში
მარიამ გაჩეჩილაძე - XXს.-ის ქართული გრაფიკა

თემურ ქანთარია-ჯაბადარი - XXს.-ის 30-50- წლების ქართული ქანდაკება
მზია ჩიხრაძე - ქართული მოდერნიზმი (ზოგადისტორიულ-კულტურული კონტექსტი)
ცისია კილაძე - XXს.-ის 20-30-იანი წლების ქართული ხელოვნება
თეა ტაბატაძე - ფუტურისტული წიგნი
ნანა ყიფიანი - ქართული მოდერნიზმი - პარიზული პერიოდი
მაია მანია - XIXს.-ის ქართული არქიტექტურა (თბილისი)
გიორგი ხოშტარია - ნიკო ფიროსმანის შემოქმედება
ლალი ანდრონიკაშვილი - XXს.-ის 60-80-იანი წლების ქართული არქიტექტურა
ელენე თუმანიშვილი - ქართული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება XIX/XXსს.-ის მიჯნა - XXს.-ის 70-იანი წლები
მარიანა ოკლეი - ქართული კინო-მხატვრობა
მარინა მემმარიაშვილი - სოცრეალიზმის ეტაპები ქართულ ფერწერაში (1920-1940)
სამსონ ლეჟავა - XXს.-ის 60-იანი წლების ქართული ფერწერა
სოფიო ჩიტორელიძე - XXს.-ის ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება
ნინო ჭინჭარაული - ხელოვნება როგორც პროფესია: დისციპლინის დაფუძნება (ქართული დაზგური მხატვრობის ისტორიიდან. XIX/XX სს-ის მიჯნა)
თამაზ გერსამია - XXს.-ის 10-50-იანი წლების ქართული არქიტექურა

2 კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)

პროექტის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებები ძირითადი პერსონალის მიერ მთლიანად შესრულებულია ფონდის მიერ განსაზღვრული ვადების ფარგლებში. პროექტის პროგრამული ნაწილი დასრულებულია: წიგნი-ალბომის ელექტრონული ფაილი გამზადებულია დასაბეჭდად, დასრულებულია ვებგვერდი (https://caricature.ge/), სადაც ატვირთულია აღნიშნული წიგნი-ალბომი. საბოლოო პროგრამული ანგარიში წარდგენილია ფონდში.

პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს დასრულებისათვის წამყვანმა ორგანიზაციამ (თსუ-მ) უნდა გამოაცხადოს ტენდერი, ხოლო შესაბამისად, გამარჯვებულმა სტამბამ უნდა განახორციელოს წიგნი-ალბომის ბეჭდვა. აღნიშნული სამუშაოებისთვის წამყვანი ორგანიზაცია ითხოვს ფონდისგან დამატებით ვადებს (სავარაუდოდ, 2025 წლის პირველ კვარტალს).

გ) პროექტები უცხოური დაფინანსებით:

№	თემის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწ. რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურიდან
1	**რათგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის მუზეუმის კოლექციაში დაცული ქართული თანამედროვე ხელოვნება**	Zimmerli Art Museum, Rutgers The University of New Jersey	Zimmerli Art Museum, Rutgers The University of New Jersey	მზია ჩიხრაძე მარიამ გაჩეჩილაძე მარინა მეძმარიაშვილი	მზია ჩიხრაძე მარიამ გაჩეჩილაძე მარინა მეძმარიაშვილი

ანოტაცია

1 **რათგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის მუზეუმის კოლექციაში დაცული ქართული თანამედროვე ხელოვნება**

რათგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის მუზეუმის ნორტონ და ნენსი დაჯის ნონ-კონფორმისტული პოსტსაბჭოთა ხელოვნების კოლექციაში ინახება მრავალი ქართველი არტისტის ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმმა დაიწყო მისი ვებ გვერდის საინფორმაციო განახლება.

ამასთან დაკავშირებით დაიწერა სტატიები ქართველ ხელოვანებზე:
მზია ჩიხრაძე - ბათუ სიხარულიძეზე, ლევან ჭოღოშვილზე, ნინო მორბედაძეზე, გივი კასრაძეზე და ლეილა შელიაზე;
მარინა გაჩეჩილაძე - ლალი ზამბახიძეზე, სერგო ქობულაძეზე, გოგი წერეთელზე;
მარინა მეძმარიაშვილი - ალბერტ დილბარიანზე, ლევ ბოიახჩევზე, ზულეიკა ბაჟბეუქ-მელიქოვზე;

სტატიებში შესულია მათი შემოქმედების ანალიზი, განხილულია ის ნამუშევრები, რაც ზიმერლის მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

III. სამეცნიერო პუბლიკაციები:

ივსება სამეცნიერო ერთეულის პერსონალის ანბანური სიის მიხედვით. პუნქტი, რომელიც არასრულად იქნება შევსებული, არ ჩაითვლება.

ა) მონოგრაფია/წიგნი:

№	ავტორი	სათაური	გამომცემ-ლობა	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა

1	მარიამ გაჩეჩილაძე	**იტალია 1956. ფოტოგრაფი სერგო ქობულაძე**	სეზანი	ISBN 978-9941-8-7326-3	202	მარიამ მიქაძე, ეკატერინე ყარსელიშვილი
2	წიგნის შემდგენლები მაია ფორჩხიძე და ერეკლე თავდგირიძე	**მხატვარ ზურაბ ფორჩხიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო წიგნი-ალბომი, თბ., 2024 , 128**	სეზანი	ISBN 978-9941-8-7089-7	10	**მარიამ გაჩეჩილაძე** წიგნის სამეცნიერო აპარატი
3	სამსონ ლეჟავა	ილუსტრირებული ალბომი **გიორგი ჯაში, თბ., 2024**	დეგა პრინტი	ISBN 978-9941-8	6	
4	თემურ ქანთარია-ჯაბადარი	**ვაჟა მუჯირიშვილი, თბ., 2024**	ორ-ენოვანი (ქართული და ინგლისური)კატალოგი	ISBN 978-9941-8-7097-2	2	

ანოტაცია

1 **იტალია 1956. ფოტოგრაფი სერგო ქობულაძე**

გამოცემა ეძღვნება სერგო ქობულაძის დაბადებიდან 115-ე წლისთავს.

წიგნი მოიცავს 1956 წელს ვენეციის XXVIII ბიენალეზე მონაწილეობის პერიოდში სერგო ქობულაძის მიერ გადაღებულ იტალიის ქალაქების ფოტოებს, რომელიც დაცულია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრის არქივში.

2 მხატვარ ზურაბ ფორჩხიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო წიგნი-ალბომი

წიგნი-ალბომი ეძღვნება ქართული გრაფიკული დარგის ერთ-ერთ გამორჩეული ხელოვანის ზურაბ ფორჩხიძის (1934-1993) დაბადებიდან 90 წლისთავის საიუბილეო თარიღს. იგი 1960-ანელთა თაობას მიეკუთვნება.

ზურაბ ფორჩხიძის შემოქმედება მოიცავს როგორც დაზგურ გრაფიკას, ასევე ყმაწვილთათვის და ზრდასრულთათვის განკუთვნილი ჟურნალების დასურათებას, წიგნის მხატვრულ გაფორმებას და პლაკატს, კარიკატურებსა და ილუსტრაციებს.

ჩემს მიერ წიგნისთვის მომზადდა სამეცნიერო აპარატი, შედგა მხატვრის მიერ გაფორმებული წიგნების, ჟურნალებისა და პლაკატების - თარიღებად დალაგებული ნუსხა. ISBN 978-9941-8-7089-7; თბ., სეზანი, 2024, 128 გვ.

3 გიორგი ჯაში

ალბომის შესავალ ტექსტში გაანალიზებულია მხატვრის პორტრეტული ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები. მისი მემკვიდრეობა ნათელყოფს დიდ მრავალფეროვნებას - მას აქვს ძლიერ სენსიტიური ნიმუშები, ხანდახან - დრამატიზებულიც. გვხვდება უფრო ხალისიანად კონტაქტური ქმნილებებიც. ზოგი პროტაგონისტი თითქოს „თვით-მიყურადებულიცაა“. არსებობს ასევე, „სიტუატიური“ პორტრეტები და ა.შ.

მთლიანობაში, ის უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებაში აღიარებულ, სახელმოხვეჭილ, პოპულარულ პიროვნებებს, რითაც ქმნის საქართველოს ინტელიგენციის თავისებურ, ტევად მატიანეს.

4 ვაჟა მუჯირიშვილი

ტექსტი ეხება ჭედური ხელოვნებისა და მცირე პლასტიკის დარგში მოღვაწე ვაჟა მუჯირიშვილის (დაიბადა 1939 წ.) შემოქმედების მცირე მიმოხილვასა და ანალიზს.

ბ) სახელმძღვანელო:

№	ავტორი	სათაური	გამომცემ-ლობა	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდენობა	თანაავტორობა
1						
2						
3						
4						

ანოტაცია

გ) სტატია:

№	ავტორი	სათაური	სამეცნ. ორგანო	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	მარიამ გაჩეჩილაძე	**წარუშლელი კვალი (მხატვარ გურამ ღლონტის შემოქმედება)**	ალმანახი მწიგნობარი-24, თბ., 2024	ISSN 2587-5469	14 (გვ. 168-182)	
2	მარიამ გაჩეჩილაძე	**ვახტანგ გიორგობიანის შემოქმედება**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088. georgianart.ge	10	
3	თამაზ გერსამია	**სამეცნიერო სტატიები არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების ტერმინზე, არქიტექტორებზე და ხელოვანებზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**	ენციკლოპედია "საქართველო", ტომი 5	ISBN 978-99928-20-30-8	40	
4	ცისია კილაძე	**შალვა ქიქოძის მხატვრობა** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088. georgianart	15 გვ.	
5	სამსონ ლეჟავა	**კონსტანტურობა და კონტექსტი ქართულ ხელოვნებაში. პრობლემის თემატიზაციის ცდა** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ჟურნალი - გული გონიერი	ISSN 1512 – 3650 ISBN 9771512365000	10	

6	მარიამ მიქაძე	**ვენეციის ხელოვნების XVIII ბიენალე - საბჭოთა კავშირის პავილიონი და სერგო ქობულაძე**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088 georgian art	15	
7	მარიამ მიქაძე	**არქივი, როგორც კვლევის სასიცოცხლო რესურსი და უახლესი ისტორიული მეხსიერება**	ჟურნალი Zegavlena N14	E-ISSN 2667-9728	5	
8	მარიამ მიქაძე	**ინტერვიუ რადიშ თორდიასთან**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088 georgian art.ge	25	
9	მარიამ მიქაძე	**ინტერვიუ ნინო ჯიშკარიანთან**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088 georgian art.ge	13	ეკატერინე ყარსელიშვილი
10	მარიამ მიქაძე	**ინტერვიუ ზურაბ გალდავასთან**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088 georgian art.ge	12	ეკატერინე ყარსელიშვილი
11	თეა ტაბატაძე	**ავანგარდული წიგნი თბილისში: ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ჟურნალი ACADEMIA #11	ISSN 1512-0899	8	
12	სოფიო ჩიტორელიძე	**თანამედროვე ქართული მინა - ძირითადი**	ელექტრონული ჟურნალი	ISSN 1512-4088	8	

		მახასიათებლები და ტენდენციები	Ars Georgica, სერია B	georgian art.ge		
13	მზია ჩიხრაძე	**ეროვნული ფორმის ძიებაში: პირველი რესპუბლიკა და ქართული მოდერნიზმი**	კრებული: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ფორმისა და შინაარსის ძიებაში	978-9941-8-6384-4	32	
14	თემურ ქანთარია–ჯაბადარი	**კინოთეატრ "რუსთაველის" საფასადო ქანდაკება და ისტორიულ-კულტურული კონტექსტი** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	ჟურნალი ACADEMIA #11	ISSN 1512-0899	12 გვ.	
15	ეკატერინე ყარსელიშვილი	**სერგო ქობულაძის სამეცნიერო ნაშრომის შესახებ**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088. georgian art.ge	5	
16	ეკატერინე ყარსელიშვილი	**ინტერვიუ ნუგზარ მემმარიშვილთან**	ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica, სერია B	ISSN 1512-4088. georgian art.ge	10	
17	ეკატერინე ყარსელიშვილი	**Conversation with Buka Galogre** *(გადაცემულია დასაბეჭდად)*	გაზეთი GEORGIATODAY	https://georgiatoday.ge/	11	
18	ნინო ჭინჭარაული	**ხელოვნების გაკვეთილები მოსკოვიდან:**	ჟურნალი ACADEMIA #11	ISSN 1512-0899	16	

		სტალინური პერიოდის საგანმანათლებლო მისიები საქართველოში *(გადაცემულია გამოსაცემად)*				
19	ნინო ჭინჭარაული	**Writing about Art in Soviet Georgia: the Function, Purpose, and Challenges of Review Criticism**	ჟურნალი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, #12, 2024	ISSN: 434-444	17	

ანოტაცია

1 წარუშლელი კვალი (მხატვარ გურამ ღლონტის შემოქმედება)

გურამ ღლონტის შემოქმედებას თანამედროვე ქართული გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული.

მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სრული კურსი წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციის სახელოსნოს მიხედვით და მიიღო მხატვარ-გრაფიკოსის წოდება (1970) სადიპლომო შრომის (ანა კალანდაძე. „ლექსების“ მხატვრული გრაფიკული გაფორმებისა და ილუსტრაციების - ლინოგრავიურის მასალით შესრულებული) ფრიადზე შეფასებით.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მხატვარი სერგო ქობულაძის ასპირანტურაში ჩარიცხულა და მუშაობა დაუწყია გამომცემლობა „ნაკადულში“, სადაც 2013 წლამდე უმუშავია მთავარ მხატვრად.

მხატვრის შემოქმედება ფართო სპექტრს მოიცავს, განვითარების გზა უწყვეტი და თანმიმდევრულია, მუშაობს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, აფორმებს წიგნებს, ქმნის მხატვრული შრიფტების ნაირგვარ ვარიანტებს, ასრულებს ილუსტრაციებს, მასვე ეკუთვნის გამომცემლობა „ნაკადულის“ 50 წლის საიუბილეო პლაკატიც. მის მიერ გაფორმებული წიგნები კი რამდენიმე ასეულს ითვლის. მის მიერ ხელდასხმული თითოეული წიგნი მხატვრის განსაკუთრებული ხელწერითაა გამორჩეული და მუდმივად დასამახსოვრებელ, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

2 ვახტანგ გიორგობიანის შემოქმედება

მხატვარი-გრაფიკოსმა ვახტანგ გიორგობიანმა თითქმის ხუთი ათეული წელი თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოღვაწეობას დაუთმო - თავის აღსაზრდელებს პლასტიკური ანატომიის ცოდნას აწვდიდა, რისი შესწავლაც მათ

აკადემიური ხატვის სრულფასოვან ათვისებაში ეხმარებოდა. ეს კი თავისთავად უმაღლესი სამხატვრო სასწავლო პროგრამის სრულფასოვნებას უწყობდა ხელს და სტუდენტის პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბებას აკადემიური ცოდნით უზრუნველყოფდა.

2024 წელს ვახტანგ გიორგობიანს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა. აკვარელის ტექნიკით შექმნილი პეიზაჟები, მხატვრის მიერ ამ რთული მასალის ოსტატური ფლობითაა გამორჩეული. გამჭვირვალე ტონალობათა ჰარმონიული შეხამებით მიღწეული ფაქიზი კოლორიტით ასახულია საქართველოს ბუნება. ნახატი რეალისტურია და ცოცხალი, მხატვარი თითქოსდა მაყურებელსაც უნაწილებს და თანაზიარ მონაწილედ ხდის იმ გარემოსას რომელსაც თავად ეცნობა.

ვახტანგ გიორგობიანი ოსტატურად ფლობს ასევე გრაფიკის ბეჭდურ ხერხებსაც, ახორციელებს ნამუშევრებს ოფორტისა და ლინოგრავიურის ტექნიკით. აქტიურად მუშაობდა პლაკატის სფეროშიც, აფორმებს წიგნებს.

ვახტანგ გიორგობიანი 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1990 წ.) სამხატვრო აკადემიის ანატომიის კათედრა ხელმძღვანელობდა. გამოსცა ორი წიგნი -„პლასტიკური ანატომიის სახელმძღვანელო. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის“ (თბ., „განათლება“, 1974; ექიმებთან - ს. კახიანთან ზ. კახიანთან, დ. ასათიანთან და მხატვარ ანატოლი მკურნალთან თანაავტორობით) და „პლასტიკური ანატომიის ცნობარი“. თბ., „განათლება“, 1985

3 სამეცნიერო სტატიები არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების ტერმინზე, არქიტექტორებზე და ხელოვანებზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ენციკლოპედიისთვის „საქართველო“ დაიწერა, ჯამში, 32 სამეცნიერო სტატია, სახელდობრ, 1. ტერმინებზე - კლასიციზმი, კონსტრუქტივიზმი; 2. არქიტექტორებზე - ქ. კობახიძეზე, რ. კიკნაძეზე, ს. კლდიაშვილზე, კ. ლეონტიევზე, გ. ლეჟავაზე, ბ. მამინაიშვილზე; 3. მხატვრებზე - რ. კონდახსაზოვზე, კ. კუკულაძეზე, ნ. კულეშზე, ე. ლანსერეზე, ზ. ლეჟავაზე, ქ. მაღალაშვილზე, გ. მაისურაძეზე, მ. მალაზონიაზე, ნ. მალაზონიაზე, ქ. მატაბელზე, კ. მახარაძეზე; 4. მოქანდაკეზე - გ. კორძახიაზე; 5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე - კინეპოსის სამონასტრო კომპლექსზე, კისისხევის წმ. ნინოს ეკლესიაზე, კონდოლის ნათლისმცემლის ეკლესიაზე, კოხტა ღმრთისმშობლის ეკლესიაზე, კოხტა ციხეზე, კულბითის ღმრთისმშობლის ეკლესიაზე, კუნტურის საყდარზე, ლაგურკაზე (წმ. კვირიკეს ეკლ. კალაში), ლაშთხვერის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიაზე, ლენკვერის ციხეზე, ლიკანის სასახლეზე, მარშლიანთ სასახლეზე.

4 შალვა ქიქოძის მხატვრობა

ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული წარმომადგენელია შალვა ქიქოძე (1894-1921). მან, ხანმოკლე სიცოცხლის

მიუხედავად, დაგვიტოვა ძალზე ინდივიდუალური, თვითმყოფადი ხელწერის მქონე შემოქმედება და შექმნა მხატვრული ხედვა, რომელიც ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული და ევროპულ მხატვრულ ტრადიციასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული. მისი მხატვრობა დატვირთულია სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, მძაფრი ემოციური მუხტითა და ირონიული, ამასთანავე, მორალისტური დამოკიდებულებით სამყაროს მიმართ. შალვა ქიქოძის მხატვრობა სამყაროს მისეული ფილოსოფიური ხედვაა და მისი შეცნობისკენ, ერთგვარი უნივერსალური კატეგორიებისკენ სწრაფვით გამოირჩევა ექსპრესიასა და ემოციურობასთან ერთად.

5 კონსტანტურობა და კონტექსტი ქართულ ხელოვნებაში. პრობლემის თემატიზაციის ცდა

სტატიაში განხილულია ქართული კულტურის კონსტანტური მახასიათებლები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში განსხვავებულად იჩენს თავს, თუმცა მუდმივ „ლაიტმოტივად“ მიუყვება ქართული კულტურის განვითარებას.

6 ვენეციის ხელოვნების XVIII ბიენალე - საბჭოთა კავშირის პავილიონი და სერგო ქობულაძე

სტატიაში მიმოხილულია ვენეციის ხელოვნების XVIII ბიენალეს - საბჭოთა კავშირის 22 წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გამოჩენას საერთაშორისო სახელოვნებო სცენაზე, სადაც სერგო ქობულაძე ერთ-ერთი მონაწილეა.

სტატიაში აგრეთვე ნაჩვენებია იმ პერიოდის მხატვრული ტენდენციები ერთი მხრივ, დასავლეთში და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში. გარდა ამისა, სტატია ეხება სერგო ქობულაძის იტალიური მოგზაურობას, იმ პერიოდის პრესის მიმოხილვას და რაც მთავარია, ამ მოგზაურობის ძალიან მნიშვნელოვან მხატვრულ მონაპოვარს - სერგო ქობულაძის იტალიურ ფოტოგრაფიას, სადაც მხატვრის კიდევ ერთი წახნაგი - განსაკუთრებულად საინტერესო და ღირებული მხატვრული ხედვა და ინტუიცია, ახლა უკვე ფოტოგრაფიის ენით, ვლინდება.

7 არქივი, როგორც კვლევის სასიცოცხლო რესურსი და უახლესი ისტორიული მეხსიერება

სტატია მიმოიხილავს არქივის მნიშვნელოვნებას ხელოვნების ისტორიკოსისათვის, როგორც უნიკალურ ინფორმაციულ სიმდიდრესთან წვდომის რესურსს და ამავდროულად, შემოქმედებითი ხედვისათვის - კურატორულ საქმიანობისთვის განსაკუთრებულ შთაგონების წყაროს.

სტატიაში ყურადღება ექცევა თანამედროვე სამყაროში კვლევით თუ შემოქმედებით პროცესებში საარქივო მასალის, როგორც კატალიზატორის, ფუნქციას. საარქივო რესურსთან შემხებლობაში, ხელოვნებათმცოდნე და მხატვარი, ერთი მხრივ, კავშირს აბამს წარსულთან, სვამს ახალ კითხვებს,

აზუსტებს ისტორიას და ამასთან, იბადება ახალი სააზროვნო ველი შემოქმედებითი პროცესებისათვის - კოლაბორაციებისა და გამოფენებისათვის.

8 ინტერვიუ რადიშ თორდიასთან

2024 წლის 23 ივლისს შედგა ინტერვიუ რადიშ თორდიასთან, სადაც მხატვარმა გაიხსენა თავისი ცხოვრების გზა ბავშვობიდან დღემდე. ინტერვიუ პანორამისეულად აღადგენს რადიშ თორდიას შემოქმედებით თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას - ბავშვობის წლებს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტურ თუ პედაგოგიური საქმიანობას, მხატვართა კავშირის პერიპეტიებს. მხატვარი იხსენებს განსაკუთრებულ ისტორიებს, სახელოვნებო სივრცის მნიშვნელოვან ადამიანებს, რაც ხელოვნებათმცოდნეებისათვის განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს XX საუკუნის შემოქმედებითი პროცესების შესწავლისა და დაზუსტებისათვის.

9 ინტერვიუ ნინო ჯიშკარიანთან

2024 წლის 14 აგვისტოს ჩუბინაშვილის ცენტრის არქივისათვის ჩაიწერა ვრცელი ინტერვიუ მხატვარ ნინო ჯიშკარიანთან. ინტერვიუში მხატვარი იხსენებს არამხოლოდ საკუთარ შემოქმედებით გზას, არამედ მამამისთან, მხატვარ ოთარ ჯიშკარიანთან დაკავშირებულ ისტორიებს, 1950-60-70-იან წლებს თავისი ეპოქისეული მახასიათებლებითა თუ საინტერესო ადამიანებით. აქვე ნინო ჯიშკარიანი ეხება თავის ძირითად საქმიანობას - წიგნის გაფორმებას, გრაფიკული დიზაინის პრობლემებს, შრიფტის მნიშვნელოვნებას. ამავდროულად, იხსენებს თავის პედაგოგიურ საქმიანობასაც, სამხატვრო აკადემიის უახლოეს წლებს და, ამასთან მიმართებით, კრიტიკულად იაზრებს სახელოვნებო სფეროში არსებულ სწავლების მეთოდებს.

10 ინტერვიუ ზურაბ გალდავასთან

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევით ცენტრის საგამოფენო დარბაზში 2024 წლის 24-27 სექტემბერს გაიმართა მხატვარ ზურაბ გალდავას გამოფენა. გამოფენის ფარგლებში, ჩუბინაშვილის ცენტრის არქივისათვის, ჩაიწერა ვრცელი ინტერვიუ მხატვართან, სადაც ზურაბ გალდავა იხსენებს პირველ შეხებას მხატვრობასთან, თავისი ძირითადი განათლების - ფილოსოფიის გავლენას საკუთარ შემოქმედებაზე თუ ლიტერატურისა და მუსიკის როლზე. განიხილავს თავის პოეზიას მხატვრობასთან მიმართებაში, როგორც „პოეზიას ილუსტრაციაში“. ამასთან, საუბრობს საკუთარი ნამუშევრების ტექნიკურ ნაწილზე, დღევანდელ სახელოვნებო პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე.

11 ავანგარდული წიგნი თბილისში: ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია

ილია ზდანევიჩის მრავალგვარი მემკვიდრეობიდან გამორჩეულია 1917-1923 წლებში ზაუმის ენაზე შექმნილი პენტალოგიის - *аслааблИчья-ъ (ვირის სახეობა)* ხუთი პიესა, ხუთი დრა: *იანკო ალბანელების მეფე (Янко крУль албАнскай)* (1918,

ტფილისი), *ვირი გაქირავებით (асЁл напракАт)* (1919, ტფილისი), *აღდგომის კუნძული (Остраф пАсхи) (1919, ტფილისი) ზგა თითქოს (згА Якабы)* (1919, ტფილისი), *ლიდანტიუ ფარამ (лидантЮ фАрам*) (1923, პარიზი). ეს წიგნები, თბილისის 41º-ის სხვა გამოცემებთან ერთად, ილია ზდანევიჩის პირველი ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები - მისი პირველი ვიზუალური ქმნილებებია. ტიპოგრაფიას ის თავად სწავლობს თბილისის გამომცემლობებში. ხან მარტო, ხანაც დამხმარესთან ერთად თვითონვე აწყობდა ტიპოგრაფიულად ურთულესსა და უმშვენიერეს გვერდებს.

ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია რაღაც განსაკუთრებული ვიზუალური ფენომენია. პირდაპირი გაგებით, ის არც ილუსტრაციაა, არც სურათი - აბსტრაქცია, არც დეკორაცია, მაგრამ არც მხოლოდ ტიპოგრაფია. ის ყველა ამ საწყისს მოიცავს. აფორმებს რა ტექსტს, ის მის ფორმირებასაც ახდენს, მის სემანტიკურ შრეებს ხსნის, თავისი ფორმით - მხატვრული ფორმით - პიესების, მთელი ციკლის ენობრივსა და დრამატურგიულ სტრუქტურას, მათს შინაარსსა და შინა-არსს ააშკარავებს.

12 თანამედროვე ქართული მინა - ძირითადი მახასიათებლები და ტენდენციები

სტატიაში განხილულია ქართული მხატვრული მინის ისტორიული განვითარება, მისი ტექნიკური და მხატვრული მიღწევები, ასევე თანამედროვე ტენდენციები. აღინიშნება მინის ხელოვნების როლი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებაში და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში. სტატია ხაზს უსვამს თბილისის სამხატვრო აკადემიის წვლილს ქართული მინის ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული.

განხილულია დამოუკიდებლობის პერიოდის გამოწვევები და მიღწევები, მათ შორის ტექნოლოგიური ექსპერიმენტები, ახალი ფორმებისა და სტილის ძიება, რაც ერთიანობაში განსაზღვრავს ქართული მინის თვითმყოფად მხატვრულ სახეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინდივიდუალური ხელოვანების საქმიანობას, რომლებმაც მინის მხატვრული დამუშავების ახალი ტექნოლოგიები და შემოქმედებითი ხედვები დაამკვიდრეს, რაც ამ დარგის თანამედროვეობასთან შესაბამისობას განაპირობებს.

სტატია ასახავს თანამედროვე ქართულ მხატვრულ მინაში სამგანზომილებიანი ობიექტებისა და ვიტრაჟული ხელოვნების განვითარების ტენდენციებს, სივრცულობისა და ფორმად-ქმნადობის პრობლემების გადაწყვეტას, ასევე მასალის ახალ ესთეტიკურ და ექსპრესიულ შესაძლებლობებს.

13 ეროვნული ფორმის ძიებაში: პირველი რესპუბლიკა და ქართული მოდერნიზმი

სტატიაში განხილულია ქართული მხატვრობის განვითარება პირველ რესპუბლიკამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვნებო პოლიტიკა, პირველი რესპუბლიკის დროინდელი ტფილისის კულტურული ცხოვრება, ილია ზდანევიჩის შემოქმედება და ტფილისური ავანგარდი, ქართული მოდერნიზმის ხასიათი (ეროვნულსა და ინტერნაციონალურს შორის) და ქართული მოდერნიზმის ბედი გასაბჭოების შემდგომ.

14კინოთეატრ “რუსთაველის“ საფასადო ქანდაკება და ისტორიულ-კულტურული კონტექსტი

ქართული საბჭოთა საფასადო ქანდაკების ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ქმნილებას წარმოადგენს რუსთაველის გამზირზე 1939 წელს გახსნილი კინოთეატრ „რუსთაველის“ (არქ. ნ. სევეროვი) საფასადო ქანდაკება, გაფორმებული მოქანდაკე ვ. თოფურიძისა და შ. მიქატაძის მიერ. მრგვალ ქანდაკებად შექმნილი საბჭოთა მოქალაქეების ალეგორიული გამოსახულებები (კოლმეურნე ქალი, მუშა კაცი, სპორტსმენთა წყვილი, და ალპინისტი) შემდეგი ნაბიჯია ქართული საბჭოთა საფასადო ქანდაკების ისტორიაში ამავე ქუჩის ე. წ. “იმელის” შენობის რელიეფების მერე, არქიტექტურისა და საავტორო ქანდაკების ურთიერთმიმართების, საქანდაკო პლასტიკის, იგივე ამ წლებში კულტივირებული სინთეზური ხელოვნების თვალსაზრისით.

15 სერგო ქობულაძის სამეცნიერო ნაშრომის შესახებ

თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია მხატვარ სერგო ქობულაძის თეორიული სამეცნიერო მოღვაწეობა. კერძოდ, ის ავტორია ოქროს კვეთის შესახებ სამეცნიერო ნაშრომის, რომელიც ახლა დაკარგულია. მოხსენებაში შეკრებილია განხილულია ამ ნაშრომის გამოქვეყნებული მონაკვეთები სხვადასხვა ენაზე. აღსანიშნავია, რომ ქობულაძეს საანალიზო მასალა მხოლოდ ისტორიულ ასპექტში არ აინტერესებდა, არამედ მის გამოყენებას თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგში გეგმავდა და სწორედ ამ კონტექსტში განიხილავდა ოქროს კვეთას.

16 ინტერვიუ ნუგზარ მეძმარიშვილთან

ნუგზარ მეძმარიაშვილი ცნობილი ქართველი მხატვარია. მისი შემოქმედების მანძილზე ის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდა, თუმცა ბოლო ხანებში განსაკუთრებით საინტერესოა მისი ციფრული გრაფიკა. ინტერვიუში ის საარქივო მასალასთან ერთად გვიზიარებს მის შეხედულებებს თანამედროვე ქართული მხატვრობის შესახებ.

17 Conversation with Buka Galogre

ესაა მხატვართან ვრცელი საუბარი, რომელიც რამდენიმე კვირა გაგრძელდა და წარმოადგენს ხელოვნებათმცოდნის მცდელობას თეორიულად დაგვანახოს მხატვრის ხედვა.

18 ხელოვნების გაკვეთილები მოსკოვიდან: სტალინური პერიოდის საგანმანათლებლო მისიები საქართველოში

ბოლშევიკური ანექსიით დაწყებული გასაბჭოების ისტორია საქართველოში, მრავალ ასპექტთან ერთად, ადგილობრივი ხელოვნების სოციალისტური მოთვინიერებით იწყება. მიუხედავად იმისა, რომ სახელოვნებო ინსტიტუციები

საქართველოში ჩრდილოეთთან შეთანხმებულ სამოქმედო პროგრამებს გადიოდა, ადგილობრივი გამგეობები და, განსაკუთრებით, მართვის ქვედა რგოლები ცდილობდა მოსკოვის დირექტივები არ გაეგო „ვიწროდ“, ხოლო რუსული დელეგაციების მისამართით გამოვლენილი „რევერანსული“ დამოკიდებულებები, არცთუ ხშირად, მხატვრული საზოგადოების ფარული, თუ ღია გაღიზიანების მიზეზი ხდებოდა.

კვლევის საგანს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მეტროპოლიური ცენტრებიდან ქართული სახვითი კულტურის კურირების მიზნით, მოვლინებული „სტუმრებისა“ და „საჩუქრების“ ფენომენზე დაკვირვებისა და მისი შეფასების მცდელობა. ამ მხრივ, საყურადღებოა საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის საარქივო ჩანაწერები, რომელთა გაცნობისას ბუნებრივად ჩნდება კითხვები საბჭოთა იმპერიალიზმთან დაკავშირებით, ხოლო მასალების ანალიზისას მკაფიოდ იკითხება პოსტ-კოლონიურ კატეგორიებთან სიახლოვე და ცენტრის და პერიფერიის არაცალსახა ურთიერთმიმართებები.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში ხელოვნების „განვითარების“ სურვილით და მოსკოვთან შეთანხმებით, სხვადასხვა დროს რეგულარულად იგზავნებოდა მოძრავი გამოფენები - სუსტი და საკამათო ექსპოზიციებით, ხოლო საგანმანათლებლო-დაზვერვითი მისიებით ჩამოდიოდნენ ე. წ. „გასტროლიორი“ კრიტიკოსები და ხელოვნების ისტორიკოსები, რომლებიც, ერთი მხრივ, ტენდენციურად აშუქებდნენ ქართული სახვითი ხელოვნების საკითხებს ცენტრალურ პრესაში, მეორე მხრივ, კითხულობდნენ პროპაგანდისტულ სალექციო კურსს თანამედროვე რუსული ხელოვნების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე ჩნდებოდა ოფიციალური შეხვედრების სამუშაო ენის პრობლემატიკა, მხატვრული განათლების სტრუქტურულ-მეთოდოლოგიურ მოცემულობაში უხეშად ჩარევის შემთხვევები და სხვ. ეს ყოველივე, საბჭოთა სისტემის ლეგიტიმიზაციის მიზნით და პროგრესის “ჩუქების” სახელით კეთდებოდა. საქართველო-რუსეთის გეოპოლიტიკურ კონტექსტში კი, პროგრესის იდეა მუდამ იკვებებოდა რუსეთთან გარდაუვალი და ჭეშმარიტი ინტეგრაციის მითით - უსაფრთხოების, კეთილდღეობის და განმანათლებლობის უცვლელი კომბინაციით.

19 Writing about Art in Soviet Georgia: the Function, Purpose, and Challenges of Review Criticism

სტატიის საგანს წარმოადგენს ქართული მხატვრული კრიტიკის მისიისა და ამოცანების, ფუნქციური და მიზნობრივი კომპონენტების, ორგანიზაციული კუთვნილების, იდეოლოგიურ კამპანიებში ჩართულობის საკითხთა შესწავლა 1930-1980-იანი წლების ქართული სახვითი ხელოვნების კონტექსტთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მხატვრული კრიტიკის დანიშნულებასა და გავლენებზე დაკვირვება, თანადროულ სახელოვნებო პროცესების დისკურსულ კონსტრუირებაში მისი როლის წარმოჩენა.

ქართული მხატვრული კრიტიკა მეტროპოლიურ რუსეთში შემუშავებული სავალდებულო პროგრამების გათვალისწინების მიუხედავად, არ წარმოადგენდა ცენტრალურ საბჭოთა ინსტიტუციებთან სრულად ასიმილირებულ პროდუქტს და როგორც რეგიონალური მოვლენა განასახიერებდა საბჭოთა იმპერიული პოლიტიკით ფორმირებულ ჰიბრიდულ მოვლენას - იერარქიული სტრუქტურის მქონე, რუსიფიკატორულ-დისკრიმინაციული ტენდენციებისა და, ამავდროულად, ნაციონალისტური მისწრაფებების წინააღმდეგობრივ ამალგამას, სადაც მუდმივად ინარჩუნებდა თავს ლოკალური კულტურული კოდებისადმი ინტერესი.

კვლევის შედეგები გამოკვეთს სახვითი ხელოვნების დარგში ქართული მხატვრული კრიტიკის 1) მრავალფუნქციურ, არაერთგვაროვან მოცემულობას, 2) საბჭოთა პერიოდის ქართული სახვითი ხელოვნების თვითიდენტიფიკაციის და რეპრეზენტაციის კანონზომიერებებს, 3) პარტიული ინსტრუმენტალიზაციის შედეგებს, 4) მძლავრი ინსტიტუციური ჩარჩოების ფონზე, თვითგამოხატვის ავთენტურობას და სუბალტერნულ იდენტობებთან ღრმა კავშირს.

დ) პუბლიკაციები უცხოეთში:

მონოგრაფია/წიგნი:

№	ავტორი	სათაური	გამომცემ-ლობა	საერთ. კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	მაია მანია	**მარია ჯანდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა**	The Global Encyclopedia of Women in Architecture 1960-2015. Bloomsbury Encyclopaedia *პუბლიკაცია შედგება 2025 წელს*	ლონდონი-ნიუ-იორკი	9 გვ.	

ანოტაცია

მარია ჯანდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა

საენციკლოპედიო სტატია მოიცავს არქიტექტორისა და არქიტექტურის მკვლევრის მარია ჯანდიერის ბიოგრაფიულ ცნობებს, პროფესიული საქმიანობის და სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას.

სტატია:

№	ავტორი	სათაური	სამეცნ. ორგანო	გამოც. ადგილი და კოდი	გვერდ. რაოდე-ნობა	თანაავტორობა
1	მარინა მეძმარიაშვილი	**Pirosmani and the Russian Avant-Garde**	კრებული Niko Pirosmanashvili: A Study of His Life and Art, 2024	Unikorn BN 8 5RW, INSN 978-1-911397-94-6	599 გვ. (სტატია 3 გვ.)	
2	ცისია კილაძე	**ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობის რეცეფციის ისტორია 1912-1930-იანი წლები** *(ჩაშვებულია გამოსაცემად)*	ქ. ლაიფციგის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, კრებული ნაივური ხელოვნების გადაფასების თვის. საერთაშორისო რეცეფცია და თეორიულ-მეთოდური საკითხების შესახებ		21	
3	ნინო ჭოლოშვილი	**Portraiture School of Tiflis** (ინგლისურ და პოლონურ ენებზე)	კრაკოვის ეროვნული მუზეუმი - MNK, 2024	MNK გამომცემლობა, კრაკოვი, 2024	7	

ანოტაცია

1 Pirosmani and the Russian Avant-Garde

სტატიაში განხილულია ფიროსმანის სურათების აღმოჩენის ისტორია და შემდგომი პოპულარიზაცია.

ხაზგასმულია 1911 წელს რუსეთიდან თბილისში ჩამოსული ძმების კირილე და ილია ზდანევიჩების და რუსი ავანგარდისტის ლე-დანტიუს როლი ფიროსმანის სურათების აღმოჩენაში და მოთხრობილია შემდგომში, 1913 წელს ავანგარდისტების გამოფენა „მიშენი“-სამ სურათების ექსპოზიციის ისტორია და გამოხმაურება პრესაში. გამოქვეყნებულია მიხეილ ლე-დანტიუს და მიხაილ ლარიონოვის წერილები, სადაც ნახსენების ლე-დანტიუს სურათები და მისი ფერწერის თავისებურებები და მნიშვნელობა. აგრეთვე აღწერილია ლე-დანტიუს „კავკასიური დღიური“, სადაც ფიროსმანის რამდენიმე ტილოს ჩანახატი იყო მოთავსებული. ფიროსმანისა და ლე-დანტიუს ფერწერის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ლე-დანტიუს ცნობილი ტილო „საზანდარი“ შექმნილია ფიროსმანის უცნობი სურათის საფუძველზე.

ამავე სტატიაში აღნიშნულია ფიროსმანის შემოქმედების გავლენა რუსულ ავანგარდზე. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია - შევჩენკოს „პოეტის პორტრეტი“, რომელიც ფიროსმანის „ილია ზდანევიჩის პორტრეტის“ სარკისებურ ანარეკლს წარმოადგენს. განხილულია ამ ორი ნამუშევრის მხატვრული და სტილისტური თავისებურებები.

2 ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობის რეცეფციის ისტორია 1912-1930-იანი წლები

სტატია შეეხება ნიკო ფიროსმანის შემოქმედების რეცეფციის ისტორიას 1910-ანი წლებიდან 1930 წლამდე.

განხილულია მხატვრის აღმოჩენის ისტორია, პირველი პუბლიკაციებისა და გამოფენების ისტორია, მისი ადრეული კვლევისა და შეფასების კრიტერიუმები და მისი ადგილი მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ჭრილში, ნაჩვენებია ისტორიოგრაფიული მიმოხილვის საფუძველზე, მეცნიერების სხვადასხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით, რომ ნიკო ფიროსმანის მხატვრობა ნაივური ხელოვნების ჭრილში ვერ იქნება განხილული, არამედ ის წარმოადგენს თვითმყოფად ფენომენს, რომელიც ეროვნული, ხალხური ტრადიციითაა ნასაზრდოები და ამავე დროს მოდერნისტული ხედვის საფუძველს წარმოადგენს ქართულ ხელოვნებაში.

3 Portraiture School of Tiflis

"Golden Fleece - Art of Georgia" – წარმოადგენს 2024 წელს კრაკოვის ეროვნული მუზეუმში მოწყობილი გამოფენის თანმდევ პუბლიკაციას.

აღნიშნული პუბლიკაციისთვის განკუთვნილ სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული თბილისური პორტრეტული სკოლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ასევე განხილულია სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი და

ცნობილი პორტრეტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე. პორტრეტებს თან ახლავს განმარტებანი და ანოტაციები.

IV. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა:

ა) საქართველოში:

№	ავტორი	სათაური	ფორუმის დასახელება	დრო და ადგილი	თანაავტორობა
1	მარიამ გაჩეჩილაძე	**ვახტანგ გიორგობიანის შემოქმედება**	კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე	28-29.11.2024 თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	
2	სამსონ ლეჟავა	**კონსტანტურობა და კონტექსტი ქართულ ხელოვნებაში. პრობლემის თემატიზაციის ცდა**	კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე	28-29.11.2024 თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	
3	სამსონ ლეჟავა	**ერთი არქიტექტურული დეტალის შესახებ ქისტაურში რ. ერისთავის მუზეუმის შენობაში**	საერთაშორისო კონფერენცია საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი	1-3.11.2024 თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი	

4	მარიანა ოკლეი	**ქართველი ქალი სცენოგრაფები თანამედროვე კრიზისული გამოწვევების კონტექსტში**	თბილისის სცენოგრაფთა საერთაშორისო ბიენალე და სიმპოზიუმი	25.09.-5.10.2024 თბილისი, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი	
5	მარიანა ოკლეი	**ომისშემდგომი პერიოდის ქართული კინო და კინო-მხატვრობა**	კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე	28-29.11.2024 თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	
6	თამარ ბელაშვილი	**იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრების მხატვრული გამომსახველობითობის უმთავრესი სტილისტური მახასიათებლები**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	24-26.04.2024 თბილისი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	
7	თამარ ბელაშვილი	**დავით კაკაბაძის 1930-იანი წლების ნამუშევრები და ფორმალიზმში დადანაშაულებული მხატვარი**	პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი სახვითი ხელოვნება - ტრადიცია, შესაძლებლობები და გამოწვევები	10-12.09.2024 თბილისი, თსუ ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	
8	თამარ ბელაშვილი	**თბილისში შოთა რუსთაველის ქანდაკების დადგმის მინით გამოცხადებული კონკურსის მასალები**	მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია არქივ-მცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა ტენდენციები და გამოწვევები	10-12.10.2024 თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი	

